ანგელი

ლიტერატურული ჟურნალი
№1, 2015

ინტერვიუ

წერილები

ვიცინი, ვტირი

ალექსანდრე ციხელაშვილის ილუსტრაციები

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:
ივანე ჯაფარიძე, თამარ შაიშმელაშვილი, ნათუნა შავგულიძე,
ინგა გოგიბერიძე, ნანული ბუკია, ჯუბა ლებელი

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:

სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;

ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



ანეული

№ 1. მარტი. 2015 წელი

ლიტერატურული ჟურნალი

კლასიკა

აბაჯი ნეიეთელი მომაკვდავის ფიქრები 3

პრეზა

ლელა თოთაძე თოლია 4

ინგა ბობიბეიიძე მინიატიურები 7

ერთი ლექსი **შოთა ტობონიძე** ღმერთმა უფლის გზით გატაროს 9

პოეზია

სოსო ნადირაძე 10

ედიანო სალუაძე 12

მოგონებები

თამაი მიქაძე 16

თავისუფალი ინტერვიუ

დავით ჟელიძე „ნახევარი საქართველო ჩემი მეგობარია“ 19

პოეზია

ნინო დაიბაისელი 22

ნინო მოდიხეხილაძე 24

პრეზა

ლეილა ჟიტომშვილი-სახლთხუსიშვილი კუნძული ყველასათვის 26

მეტლინური დღიურიდან

ხათუნა პატაშური შეხვედრა მწერალ ნიკოლაოს ზომბარტთან 29

პოეზია **მაია მეჯბანიანი** 31

„ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ პროზა-პოეზიის პრემია 32

პოეტის გასვენება

ნანული ბეჯია „ვინ წაქცევამდე იბრძვის“... 33

ნაზი ჯილასონია წერილი მარადიულს 34

ერთი ლექსი **მიხა ხელაშვილი** 38

პოეზია

ანზორ სიფაშვილი 39

ტასო თოფუჩია 41

პრეზა

ნინო დოხტეიშვილი ნინო (მოთხრობა) 43

საიუბილეო საღამო **თამაი შაიშმელაშვილი** „მთების ბალადა“ 44

ლიტერატურული კრიტიკა

ლევან ბებეიშვილი უკვე დროა, რომ „სალი კოლხელი“ ყოველი ბავშვის სამაგიდო წიგნი იყოს! 47

ნათელა ბოხელაშვილი „არ მიძებნია დიდების მტვერი“ – თემურ ჩალაბაშვილის პოეზია 48

პოეზია **მიმოზა სანავა** 50

თარგმანი **ფიანს ჯაფჯა** ცოლ-ქმარი (გერმანულიდან თარგმნა ხათუნა პატაშურმა) 52

კლასიკოსები და მათი მეგობები

მაია სეხსვაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსმიწერილი თასი და მართა სოლოღაშვილი-ერისთავისა 55

სისინო ჯეიკანიძე, ბიოხბი მელეა საიუბილეო მილოცვა ცისანა ჯანაშვილს 58

გასვენება მზია ჯიშკარიანი-ჯინმარიშვილი მართალი სიტყვის პატრონი 59

მსაგებლობა მამეჯა ვაშაჯიძე „საქართველოს ჰეროიკული მატიანე“ 60

ინტერვიუ ნინო ჩხიკვიშვილთან ფონდი „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“ – მისია და მიზნები 62

მაყვალა ლეონაშვილი მე ჰამლეტ გონაშვილთან მიმღერია 64

ჩვენი პატარემისთვის **ლეარა ჟანტეხია** ლექსები 66

ლიმიტი მეხაშვილი „ოქროს ვერძი“,ბაბურინი და გმირი ქალბატონი მარიუპოლიდან 68

სადღეისო საკითხავი **სამსონ ფიისსალავა** რას მოგვიტანენ ბოლშევიკები 71

ერთი ლექსი **იოსებ ხოხონიშვილი** ცად ავალ 72

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ ხმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ღებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოხბი ზურაბიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გოჩა სოზიაშვილი

გარეკანზე: ალექსანდრე სიხელაშვილის ფერწერული ნამუშევარი „ფანავაზი“

რედაქციის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

აბაჯი ნეჩეთელი



მომაკვდავის ფიქრები

თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!..
მოდი, ჯალათო, შენი მახვილი
შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰკარ!
ყოველი წვეთი ჩემი სისხლისა
თუკი გამოზრდის მამულიშვილსა,
ცოდვა არ არის, რომ მოვერიდო
მაშინ მე ტანჯვას და თვით სიკვდილსა?
არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს,
მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა!
მზად ვარ შევსწირო სული და ხორცი
და სამშობლოზე ვჰყრიდე თვით ფერფლსა!
თუმცა პირადი ჩემი ცხოვრება
ყოველთვის იყო ტანჯვა-ვაება,
მაგრამ სიკვდილში ვჰპოვებ სიცოცხლეს
და ის იქნება თვით უკვდავება,
თუკი იმედი მე საიქიოს
გამყვა უკეთეს მომავალისა,
რომ ჩემს შემდეგი შთამომავლობა
იქნება შემგნე თვისის ვალისა!
დიახ! თუ მოძმეთ გამოადგება
ჩემი სიკვდილი, მზადა ვარ მეცა...
გამოღვიძებულს სურვილს ქვეყნისას
ხელს მოუმართავს, მრწამს მე, თვით ზეცა!..

1911 წელი

ლელა თოთაძე

ორი თოლია*

სილაში ფეხებჩაფლული ვიდექი. ჩემ წინ წყლის უსასრულო სივრცე ჰორიზონტის ხაზს დაემძიმებინა. მაგრამ იმ წამს ეს სულ ერთი იყო: ერთ ბიჭს ვუყურებდი. ჩემხელას. მასაც, ისევე როგორც მე, წამითაც კი არ გაუხედავს ზღვისკენ. იდგა საღებავებით მოთხუპნული ჩამპალი ხის მოლბერტთან და სახეზე გაურკვეველი დარდი ეხატებოდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველაფერს გაიღებდა, რომ აზვირთებულ ტალღებზე მოლიცლიცე მზის სხივები ხელისგულებში მოექცია და ტილოზე გამოესახა, მაგრამ ამის სანაცვლოდ რატომღაც სილიან ტალახში ამოგანგლულ გამვლელებს ხატავდა ხუთი კაპიკის საფასურად.

მე მას ვიცნობდი. გოგა ერქვა. ჩემი მეზობლის, ტუჩგაგლეჯილი თამაზას ბიჭი იყო. სახლში მხოლოდ მამა-შვილი ცხოვრობდა, ხოლო მათი ოთახების ძველ კედლებში ვირთხებს დაედოთ ბინა. დედაჩემს არ უყვარდა თამაზა, მეტყოდა ხოლმე, მოერიდე, შარი არ აგიტეხოსო. მახსოვს, ეზოში, მშობლები რომ გადასძახებდნენ შვილებს, მალე ამოდითო, თან დააყოლებდნენ, თუ არ ამოხვალთ, თამაზა მოვა და მოგხედავთო.

გოგა ათი წლისა იყო, როცა მათხოვრობა შეწყვიტა. „ნეტავ რითი უნდა ირჩინოს თავიო“, – ამბობდა მამაჩემი. ქუჩებში, ავტობუსებში, სკოლებში ყველა მასზე საუბრობდა. აქამდე ცარიელი ეზოს სკამები მოჩურჩულე მოხუცებით გაივსო. შედარებით შეძლებული მაცხოვრებლები კაფეებში ჩუმად იცინოდნენ, მაგრამ სახეები კი წყენისაგან დაღრეჯოდათ, თითქოს აღარ იცოდნენ, ახლა ვის წინაშე გამოეჩინათ თავიანთი ძალაუფლება.

ერთხელ, შემთხვევით, კარის ჭუჭრუტანიდან დავინახე, რომ დედა ჩუმად დებდა მორჩენილი საჭმლით ამოვსებულ ჯამებს მათ ჭიისაგან გაღრღნილ ხის კართან. მაგრამ როცა იმავე დღეს სეირნობისას მათ სახლს ჩავუარეთ და მე ვუთხარი, დედა, ეტყობა, საჭმელი შინ შეუტანიათ-მეთქი. მან შეუმჩნევლად გამკრა ხელი და უხერხულად გაუღიმა მამას.

მართალია, არასოდეს არავის უთქვამს, მაგრამ ჩემი ბავშვური გონება ხვდებოდა, რომ ჩვენს დასახლებას არც თამაზას ბიჭი ეხატებოდა გულზე.

გოგა სანაპიროზე იდგა მოლბერტთან ერთად. მე შორიდან ვადევნებდი თვალს, რადგან აკრძალული მქონდა მასთან ლაპარაკი. მისი ყურებით კისერი მომღრეცოდა და მეგობრები გამეხუმრნენ, რა ქათამივით დგახარო, მაგრამ თავი მაინც არ მომიტრიალებია. პირველად დავინახე საღებავებით ხელში და არ ვიცი რატომ, ვინატრე, ნეტავ ძალიან კარგად ხატავდეს-მეთქი...

მეგობრების ჯგუფს გამოვეყვე და რადგან მამაჩემი ჩემთან არ იყო, გოგას მახლობლად წამოვწექი სანაპიროზე, ისე, რომ მისი თითოეული მონასმი დამენახა. ხელები თავქვეშ ამომედო, მჭრელი მზისაგან შეწუხებული თვალებს ვიწვრილებდი.

– ბიჭო, შეხედე ერთი ტუჩგაგლეჯილი თამაზას ბიჭს! – მომესმა უჩას ხმა – მაგას თავი პიკასო ხომ არა ჰგონია?

– ჭკუა უნდა ასწავლო ეგეთ ხეპრეს, თორემ დაგაჯდება მერე თავზე, – გამოეპასუხა ლევანა.

– წარმოიდგინე, რას იზამს რაც კი ნახატი აქვს, ყველა რომ დავუხიოთ? – იცინოდა უჩა, – ალბათ თან გადაყვება. მაგის მეტი საცოდავებს მაინც არაფერი აქვთ.

– დავუხიოთ რა, ჩვენგან რა მიდის. მერე გაიგებს სადაა მაგისი ადგილი. აქაოდა, მათხოვრობას აღარ ვკადრულობო – ბიჭმა.

როცა რაიმე ახალი იდეა გაჩნდებოდა ხოლმე ჩემი მეგობრების გონებაში, ძნელად თუ გაქრებოდა მერე. ახლაც კარგად მახსოვს, როგორ მომიტრიალდა ლევანა და მკითხა:

– რას იზამ, წამოხვალ?

– სად? – ვიკითხე გულუბრყვილოდ.

– სად და ჯანდაბაში! – უხეშად მომიგო უჩამ,- სად უნდა წამოხვიდე და, თამაზას სახლში. მაგათ ფანჯრებს მინებიც კი არა აქვს. გადავძვრებით, ვიპოვით ნახატებს და მოვუვლით.

უარს აზრი არ ჰქონდა. მაშინ მე უფრო მეტად გადამეკიდებოდნენ, ვიდრე გოგას. ჩემი ფანჯრის მინებს ქვებით ჩაამტვრევდნენ, „ლაჩარს“ შემარქმევდნენ და შეიძლება, თაგვებითაც გამომკიდებოდნენ. ტანმაღალ, ახოვან გოგას თაგვი კი არა, უზარმაზარი ვირთხაც ვერ შეაშინებდა.

საღამოს, როცა თამაზა და გოგა გარეთ, სანაპიროზე დავიგულეთ, შეუმჩნევლად გადავძვერით მათ ქოხში. შიგნით შესულებს დასანგრევად

---

* მოთხრობამ რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსში სპეციალური პრიზი მოიპოვა

გამზადებული კედლები, ერთი მაგიდა და ორი სკამი დაგვხვდა. ეს იყო მთელი მათი ავლადიდება. მაგიდაზე გოგას ნახატები იყო მიმოფანტული. ბიჭებმა ხელი დასტაცეს და გამეტებით დაუწყეს გლეჯა.

— რაღას უცდი? — შემომძახა უჩამ.

მე თვითონაც არ ვიცოდი, რატომ მივშტერებოდი ერთ ნახატზე გამოსახულ ნაცნობ ქალს, საჭმლით სავსე ჯამებით ხელში. და როცა ვიგრძენი, როგორ მკრა ლევანამ ხელი, დაუფიქრებლად ავიღე ფურცელი და ნაკუწებად ვაქციე. ნახევარ საათს გაგრძელდა გულისგამაწვრილებელი ფხრეწის ხმა.

ფანჯრიდან გასვლისას კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი ჩვენს ნახელავს: აქამდე ცარიელი მიწის იატაკი უამრავი ნაგლეჯით გავსებულიყო. მათზე აღბეჭდილი ფერები სივრცეში გაბნეულიყო. შეუსაბამოდ მომეჩვენა ერთმნეთზე დაყრილი ნაკუწები. უეცრად ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ადამიანის სული დავანაწევრე. ზიზღისაგან გამაჟრჟოლა და სასწრაფოდ მოვშორდი იქაურობას.

შუაღამისას ჩემი ოთახის კედლები ყვირილის საშინელმა ხმამ მოიცვა. მე ვიცანი თამაზას ხმამაღალი, ავისმომასწავლებელი ტონი და შიშისაგან ამაკანკალა. „მორჩა, გათავდა,“— გავიფიქრე გუნებაში.

— მამა! მამა! მოდი! — ვყვიროდი რაც ძალი და ღონე მქონდა, მანამ, სანამ ოთახის კარი არ გაიღო და ჩემი მშობლების სახეები არ დავინახე.

— ნუ გეშინია,— გამიღიმა დედამ,— თამაზა ყვირის, როცა დათვრება ხოლმე...

— თან ამ საღამოს განსაკუთრებითა გამწარებული,ა — მეგობრული ტონით დაუმატა მამამ,— ხომ იცი მაგისი ბიჭი, გოგა რომ ხატავს?

— კი, როგორ არა,— ვუპასუხე სასწრაფოდ.

— მაგ საცოდავი ბავშვის ნახატები დაუხევიათ. ლაწირაკები იქნებოდნენ, მაგათ მოსდით ხოლმე თავში ეგეთი აზრები. თორემ ვის რაში სჭირდებოდა მაგის გაკეთება?

ყელში სიტყვები გამჩხეროდა, რომელიც უნდა მეთქვა, სანამ დრო იყო, მაგრამ ვერ გავბედე.

— ასე რომ, ნუ გეშინია. — დაუმატა მან — შენ არაფერს არ გერჩის თამაზა.

მეორე დილით, ეზოში გამოვედი თუ არა გამწარებულ თამაზას შევეფეთე.

— ეი შენ, ბიჭო,— დამიძახა მან,— იცი, ვინ შემოძვრა ჩემთან?

ძლივს-ძლივობით ამოვღერღე, წარმოდგენა არა მაქვს- მეთქი და მაშინვე გავეცალე.

— ნეტავ რა ამწარებს ამ თამაზას,— გავიგონე იქვე მდგარი ბიძია ვანოს ხმა, — რაც ჩვენს დასახლებას მაგისთვის უთქვამს... რა მოხდა მერე, თუ რაღაც ნაჯღაბნი დაუხიეს მაგის ბიჭს?

— შენ რა იცი, ვანო, შვილი არა გყავს,— უპასუხეს ქალებმა.

პირველად გავიგონე თამაზაზე ზიზღის გარეშე ნათქვამი სიტყვები. „როცა გაიგებენ,— გავიფიქრე მე,— ყველა შემიძულებს, მამა ხმას აღარ გამცემს და დედა აღარ მომეფერება“.

უჩას და ლევანას ეს სულ არ ადარდებდათ.

— ერთ-ორ კვირაში ხალხს სულ გადააავიწყდება. ტუჩგაგლეჯილ თამაზაზე სადარდებლად ვის სცალია? ადგება გოგაც და დახატავს კიდევ თუ მოუნდა. კაცი ხომ არ მოგვიკლავს? — ამბობდა უჩა და გასიებულ თავს ხელით იჩრდილავდა,— უფ, რა მზეა, დავიტანჯე.

— შეხედე ერთი,— წამოიძახა ლევანამ,— პიკასომ ისევ ვერ ისწავლა ჭკუა!

მის მზერას თვალი გავაყოლე. სანაპიროზე უამრავი ხალხი ირეოდა. მათ შორის იდგა გოგა და ხისაგან საცოდავად გამოკორტნილი მოლბერტის გაფარჩხულ ფეხებს ქვიშაში ასობდა. ჩაბღაუჭებოდა იაფფასიან ფუნჯებს. მზით გარუჯული ბავშვური სახე დაბლა დაეხარა, მაგრამ მე მაინც ვხედავდი მის თვალებს, მისი სულის კლდისფერ სარკეებს, რომელშიც თავისუფლების უდიდესი სურვილი ირეკლებოდა. იმ წამს საშინელი შიში ვიგრძენი, ოღონდ არა თამაზასი, არამედ შიში იმისა, რომ ერთ დღეს ამ სარკეებში მეც მომიწევდა ჩახედვა და საკუთარი თავის დანახვა.

მისგან ოდნავ მოშორებით წამოვჯექი. მომწონდა იმის ცქერა, რომ რაღაც ცარიელი სითეთრისაგან უეცრად მთელი სამყარო იქმნებოდა. ჩემი ბავშვური გონება აღტაცებულიყო ასეთი სასწაულით, თუმცა ზოგჯერ გულიც კი დამიმძიმდებოდა ხოლმე იმაზე ფიქრით, რომ ასეთი რამ ჩემს ხელებს არ შეეძლოთ.

გოგამ საკუთარი ხელობით მალევე მიაგნო ხალხის გულისაკენ მიმავალ გზას: მოხუცებს ნაოჭების გარეშე ხატავდა, პუტკუნა გოგონებს გაახდუნებდა, გასხლიკულებს გაასუქებდა, უფერულ სახეებს ხელად გააღაჟღაჟებდა, ძირმაგარებს აქრობდა. ექიმივით იყო, სილამაზის ექიმივით. ყველა პრობლემას ერთი ხელის მოსმით აგვარებდა. ხალხი ბედნიერი მიდიოდა მისგან. გოგა დაგროვებულ კაპიკებს სათითაოდ გადაითვლიდა და მაშინ, როცა მოლბერტსამოფარებულ სახეს მზეს მიაფიცხებდა, ვხედავდი მის ოცნებას, რომელიც გავანადგურე.

ლევანამ ჩემი ჩაფიქრებული მზერა შეამჩნია და სიცილი აუტყდა.

— შენც ნერვები გეშლება, არა? აქამდე როგორ ვერ ვასწავლეთ ჭკუა?

უჩამ ირონიულად ჩაიცინა და გოგასკენ აიღო გეზი.

— დამხატე ძმურად, — უთხრა და ათი კაპიკი გადაუგდო. ხურდა ქვიშაში ჩავარდა, მაგრამ გოგა ასაღებად არ დახრილა.

— არ დაგხატავ,— მოუჭრა ბიჭმა.

უჩამ ხელი გაიქნია და მოლბერტი გადაყირავდა. შემდეგ მხრები აიჩეჩა, ვითომც არაფერიაო და ჩვენკენ წამოვიდა. რატომღაც გოგასთან მივედი. მას წამოეყენებინა მოლბერტი და ცდილობდა, კვლავ ქვიშაში ჩაეფლო. მე ვერაფრის თქმა ვერ გავბედე, მხოლოდ სილიანი ათკაპიკიანი ავიღე და გავუწოდე. მეჩვენებოდა, რომ გოგას ასვეტილი ტანი კიდევ უფრო მაპატარავებდა. ეს სხვა მაღალ ბიჭებთან არასოდეს დამმართნია.

— შენც იყავი? იქ, ჩემს სახლში... — მკითხა უეცრად და შეშინებულს გაწვდილი ხელი გამიშეშდა.

— კი. — ვუპასუხე ცოტა ხნის შემდეგ თავჩაღუნულმა. — მაგრამ არ მინდოდა.

ველოდი, როდის მკრავდა ხელს და წაქცეულს სახეში მუშტებს დამიშენდა, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა და ჩუმად თქვა:

— ვიცი.

ათკაპიკიანი უკან წავიღე და გამოვბრუნდი. მიუხედავად იმისა, რომ ხელი არავის უკრავს, მეჩვენებოდა, რომ მიწას ძლიერად დავენარცხე და ძნელად თუ შევძლებდი წამოდგომას. „მამამისს ეტყვის და თამაზაც არაფერს შეგვარჩენს“, — ვფიქრობდი მე, „დავიღუპე“.

ჩემი წინათგრძნობა გამართლდა: გოგას მამამისისთვის არაფერი დაუმალავს. როცა საღამოხანს ნაძვნარში ვიჯექი, მომეჩვენა, რომ ჩემი ჩრდილი უეცრად გაიზარდა. მხოლოდ რამოდენიმე წამის შემდეგ მივხვდი ამის მიზეზს, როცა უკან შევტრიალდი და გამწარებულ ტუჩგაგლეჯილ თამაზას ავხედე.

— რატომ მომატყუე? — მკითხა უხეშად და მეც სიმართლე ვუთხარი:

— არ ვიცი.

— გეშინია ჩემი?

— ძალიან. — ვუპასუხე — ძალიან მეშინია. მაპატიეთ, გთხოვთ.

— რომ არ გცემო? — ხმას აუწია, — რომ შენს მშობლებს არ ვუთხრა, რა ღლაპი შვილი ჰყავთ?

— მცემეთ, ჩემს მშობლებსაც უთხარით, და მთელ დასახლებას უთხარით, ვინცა ვარ, ტკივილნარევი ხმით გავიძახოდი მე, — მაპატიეთ ოღონდაც, მაპატიეთ!

გაჩერდა ტუჩგაგლეჯილი თამაზა. შარისთავი და მუდამ ჩხუბისამტეხი კაცი. ჩაფიქრებული იდგა დიდხანს და მეც მის წინ ავტუზულიყავი, სანამ არ მითხრა: „წადი შვილო, წადიო“. თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი, შევვარდი სახლში და ოთახში ჩავიკეტე. საწოლზე მოწყვეტით დავეშვი, თვალები დავხუჭე და ვინატრე, ნეტავ ჩამეძინოს-მეთქი. მაგრამ ვერაფრით დავიძინე. ვიწექი ასე, გაუნძრევლად და დიდხანს ვფიქრობდი, როგორ შემიძულებდა ყველა ძალიან მალე, როცა თამაზა ყოველივეს იტყოდა.

მაგრამ მეორე დღეს მსგავსი არაფერი მომხდარა, არც მესამე დღეს, არც იმის შემდეგ. მე მუდამ იმის შიშ-კანკალში ვიყავი, რომ ერთ დღესაც ყველაფერი გაირკვეოდა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ დასახლებამ სრულიად მიივიწყა გოგას ამბავი.

ამ ამბიდან რამდენიმე კვირა გასულიყო. ვსეირნობდი სანაპიროზე და თავს უბედურად ვგრძნობდი, როცა გოგას მოვკრავდი ხოლმე თვალს. ყველანაირად ვერიდებოდი, მაგრამ გული მაინც მისკენ მიმიწევდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველანი მის გარდა უსინათლოები ვყოფილიყავით. მხოლოდ ის ახერხებდა ხალხის დანახვას, სილამაზის შეგრძნებას, თავისუფლების აღქმას.

მარტო ვიყავი: არც უჩა და არც ლევანა. ბოლო დროს მერიდებოდნენ, მაგრამ საერთოდაც ვერ ვგრძნობდი მეგობრების ნაკლებობას. ვფიქრობდი მათთან ერთად ნამოქმედარ ყოველ სისულელეზე და მრცხვენოდა. მოგონებებში წასულმა, უეცრად შევამჩნიე, რომ გვერდით ვიღაც მომყვებოდა. თავი მოვაბრუნე. თამაზა იყო. რატომღაც არ გამკვირვებია.

— როდის აპირებთ, რომ ჩემს მშობლებს უთხრათ? — ვიკითხე ჩუმად, თითქოს მეშინოდა ვიღაც არ გამეღვიძებინა.

— არ ვაპირებ, — მითხრა თამაზამ და ჩამომხმარი ხელი მხარზე დამადო.— შეცდომას ყველა უშვებს.

რატომღაც გამახსენდა, როგორ მეჩხუბა ამას წინათ ვანო ძია, როცა შემთხვევით ფეხი დავაბიჯე და მომეჩვენა, რომ თითქოს იმ წამს ჩემს სამყაროში ყველაზე საშიში კაცი კი არა, მამაჩემი მომყვებოდა სანაპიროზე. ჩხუბისთავი თამაზა ერთადერთი კაცი იყო მთელ ჩემს ცხოვრებაში, რომელმაც ასეთი პასუხი გამცა მის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე.

— წადი, არ გინდა გოგამ დაგხატოს? — მხიარულად მკითხა მან და მე გავაცნობიერე, რომ ჩემდაუნებურად თითოეულ ნაბიჯს იმ ბიჭის მიმართულებით ვდგამდი, რომლის სამყაროსაც რამდენიმე კვირის წინ უმოწყალოდ ვანადგურებდი.

— დამხატავ? — ვკითხე გოგას და ჯიბიდან ათმანეთიანი ამოვიღე.

— ეგრე ძვირად არა, — გაეცინა ბიჭს, როცა ფულს დახედა. ყველაზე წვრილტარიანი ფუნჯი აიღო და ხატვა დაიწყო.

მე ვიდექი გაშეშებული. სუნთქვასაც კი ვიკავებდი, მინდოდა, რომ ნახატი ძალიან, ძალიან მშვენიერი გამოსულიყო. როცა დაამთავრა, გოგამ ფურცელი გამომიწოდა. მე მოლოდინით აღსავსემ დავხედე და გავვოცდი, როცა ჩემი ზუსტი ანარეკლი დავინახე. ველოდი, რომ გოგა ჩემს კეხიან ცხვირს გაასწორებდა, და ცისფერ თვალებს ოდნავ მაინც გამიმუქებდა. მაგრამ ზუსტად ისეთი ვიყავი, როგორიც სინამდვილეში.

„ალბათ, ჯერ კიდევ ვერ მაპატია დანაშაული“,— გავიფიქრე, მაგრამ არაფერი მითქვამს. მე გავუღიმე გოგას და გავუწოდე ხუთკაპიკიანი. არც მეტი, არც ნაკლები. თუმცა ამაზეც უარი მითხრა.

— ესეც მიყოფა, — მითხრა მან და რაღაცაზე მანიშნა. მე ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, რადგან ამ დროს საშინელმა ქარმა დაუბერა და ქვიშა ჰაერში აყარა. ერთადერთი, რაც აწეწილ მტვერში და სილაში მკრთალად დავინახე, იყო ჩემხელა ბიჭის გულწრფელი ღიმილი, ბიჭის, რომელსაც ხელისგულებში მოექცია მზის სხივები.

მე ხშირად მახსენდება ხოლმე ეს ღიმილი, და ჩემდაუნებურად სიხარულის გრძნობა მეუფლება. მახსენდება, რომ იმ წამს, მე დავლანდე საკუთარი თავი მის თვალებში, მაგრამ არ შემშინებია, რადგან ამ პატარა სარკეებიდან მიმზერდა უცოდველი ბედნიერი ბიჭი, რომელიც ძალიან, ძალიან მშვენიერი იყო, ნებისმიერ ნახატზე მშვენიერი.

რა დამავიწყებს, რომ სახლისაკენ მიმავალმა თვალი მოვკარი ზღვის ზედაპირზე მონავარდე ორ თოლიას, რომელიც სიშორისკენ მიფრინავდა და ვიგრძენი, როგორ მომიცვა თავისუფლებამ. მაშინღა გავაცნობიერე, რომ გოგა ჩემს ღიმილზე მიმანიშნებდა.

ინგა ბობიბეხიძე

მ ი ნ ი ა ტ ი უ რ ე ბ ი

შენ...

მიყვარს შენთან მოსვლა, ოთახში ნივთები კვლავ სისპეტაკის სუნით და პეწით პრიალებენ. ავეჯი და სურათები ძველია, ჩარჩოები ახალი, ნიღბები კი მიგიმატებია. ალბათ იფიქრე, უნიღბოდ ცხოვრების გავლა როგორ შევძელიო და, როგორც აქსესუარი, დაიმატე. აბა, ნიღაბი, ხომ არასოდეს გიტარებია – შენი თვალებიდან ყოველთვის ცისკრის ვარსკვლავი ანათებდა, სიმართლე და კეთილგონიერება გამოსჭვიოდა. არცერთი დღე არ ყოფილა, ვინმეს გზის გაკვლევაში, რომ არ დახმარებოდი. ზოგჯერ სხვებს, შენ, მუდმივად „უნიღბოდ მყოფი", ნიღბიანი ეგონე, რადგანაც არ სჯეროდათ, რომ მართლა შეიძლებოდა უანგაროდ ვინმეს დახმარება. შენ.... მიყვარს შენთან მოსვლა. ლარნაკები, რომლებიც მუდმივად ყვავილებს ელოდებიან, ზოგჯერ ცარიელია. მე რომ მოვალ, მაშინ ისინი იასამნებით, ყოჩივარდებით და გვირილებით ივსება. ამით გაზაფხულის სურნელი ზამთარშიც კი დატრიალდება და დაბზრიალდება ოთახში წარსულის დღიურების ფურცლები – ჯერ როგორც გრიგალი, ისე წამოვა თეთრი ფურცლები, მერე თოვლი ამ ფურცლებზე თეთრ წარსულს ჩაწერს, შემდეგ მოვარდება წვიმა და თქეში და ყველაფერს წაშლი (და განა წვიმა ყველა ნაკვალევს შლის?)... შენ... ამიტომაც, კიდევ უფრო მეტად მიყვარს შენთან მოსვლა. შენი ხმა და შენი სახე, შენი სახლის ნივთებივით წკრიალაა, შენი თვალები სევდიანია, მკაცრი და თბილი. შენ.... მიყვარს შენთან მოსვლა... და როგორც წელიწადში ერთხელ მდინარე იორდანე ჩერდება და რამდენიმე წუთით საპირისპირო მიმართულებით იწყებს დინებას, ისე საპირისპიროდ მიედინება ყველა შენი გზა და ჩერდება ყველა შენი ფიქრი და აზრი.

შენ.... მიყვარს შენთან მოსვლა. შენ!

სიყვარულის ელექსირი

გწამდა, მალე დადგებოდა გაზაფხული და ისევ ჩხრიალით წამოვიდოდა შენი სპილენძის დოქიდან სიყვარულის ელექსირი. ახლა კი, წელიწადის ოთხივე დრო მონაცვლეობით გატყობინებდა სიყვარულის მოახლოებას. შენ განუწყვეტლივ მირბოდი მის შესახვედრად. გაზაფხულზე, პირველად რომ დაინახე შეკენ მომავალი, გეგონა, სხვასთან მიდიოდა. აბიბინებულ მინდორში იმდენი ლამაზი ქალბატონი კრეფდა ყვავილებს, თავბრუ დაგეხვეოდა, მან კი შენ აგირჩია. ჩვეულებრივი, სუსტი, მწვანე თვალების იაპონური ჭრილით... ჰოდა, ამ თვალებში რომ ჩაგხედავდა, გავიწყდებოდა, ქვეყანაზე სიყვარულის გარდა რაიმე თუ არსებობდა... ჩაეფლობოდი ვარდების სურნელებაში, ხელს მოხვევდი იებსა და ენძელებს, მზის გულზე დაწვებოდი და ასე თბებოდი იმ სიყვარულის წვეთებით, სპილენძის დოქში რომ აგროვებდი. სიყვარულის ჯადოსნურ ელექსირი – ასე ეძახდა იგი ამ დოქს.... როგორ მოგწონდა, როცა ფრთხილად, ჩუმად, ამ დოქიდან სიყვარულის ერთი წვეთი ელექსირის დალევას მოგთხოვდა... სწორედ მაშინ დაიწყებდი ტყუილებს...

იცი? გუშინ დიდი სეტყვა მოვიდა, ჭექა-ქუხილმა არემარე გააყრუა, დოქი გარეთ დამრჩენოდა, მეხი დაეცა, ელექსირი კი დამექცა. ამ ტყუილზე ისე გულიანად გაიცინებდა, რომ ზაფხული შორსაც რომ ყოფილიყო, მალე მოვიდოდა. მზე თავის სხივებს უხვად მიმოფანტავდა ამ ლამაზ ველ-მინდვრებზე. მერე ღრუბლებიდან ცისფერი წვიმა წამოვიდოდა და ისევ აივსებოდა დოქი სიყვარულის ელექსირით. არც შემოდგომაზე უჩიოდი სიყვარულის ნაკლებობას. პირიქით, ამ დროს ქარი იმდენ ყვითელ ფოთოლს მიმოფანტავდა მინდორზე, რომ იბნეოდა შენი სიყვარული. გამხმარი ყვითელი ფოთლები, პეპლები ეგონა და ისევ, როგორც გაზაფხულზე და ზაფხულში, თბებოდი სიყვარულით და იმ წვეთებით, რომელიც, როგორც ანკარა ნაკადული, ისე მოედინებოდა სპილენძის დოქიდან...

მხოლოდ ზამთარში უჭირდა შენს სიყვარულს. როცა მზე ნაკლებად გიღიმოდა... როცა სუსხი და ყინვა ძლიერდებოდა, როცა სულ ქარი იყო და წვიმა, როცა მართლა გეშინოდა, ჭექა- ქუხილს არ დაეზიანებინა შენი სიყვარულის დოქი... ახვევდი ბებოს ნაჩუქარ ჭრელ თავშალში და თბილად ინახავდი ბუხრის თავზე. იცოდი. აქ ვერც თოვლი, ვერც ყინვა და ვერც სიძულვილი ვერ მიაგნებდა...

გწამდა, მალე დადგებოდა გაზაფხული და ისევ ჩხრიალით წამოვიდოდა შენი სპილენძის დოქიდან სიყვარულის ელექსირი.

ნაწნავები

ნაწნავები წელამდე ხვდებოდა. ოქროსფერი თმები მისი სიმდიდრე იყო. ფიქრობდა, არასდროს მოიჭრიდა თმის ღერიდან თუნდაც ერთ სანტიმეტრს. როცა დაიბადა, პატარა კულულები ჰქონდა. ეს კულულები ყველასთვის ჩვეულებრივი თმები იყო. მხოლოდ მან იცოდა, რომ ოქროსფერ თმებს მაგიური ძალა ჰქონდათ. ეს მაშინ მიხვდა, დედის მუცელში ცხრა თვე უმტკივნეულოდ რომ გაატარა. ყველაფერს გრძნობდა, რასაც დედა მისთვის აკეთებდა – საჭმელი თუ გემრიელი იყო, ფეხებს ქალთევზასავით გაასრიალებდა მუცელში, თუ უგემური მუცლის კედელზე მიაბაკუნებდა.

როცა დედა მისთვის ბეთჰოვენს ან ბახს ჩართავდა, მუსიკის ჰანგებზე შეეძლო ეძინა და თვალიც არ გაეხილა. მაგრამ სასწაული მაშინ მოახდინა, როცა დედა გაურკვეველი მიზეზების გამო ავად გახდა და ექიმები ვეღარ შველოდნენ... მაშინ პირველად გამოიძრო ოქროსფერი კულულიდან ერთი ღერი და დედას გაუგზავნა საკუთარი ჭიპლარით. ზუსტად ოცდაცამეტი დღე ერთი და იგივეს აკეთებდა და საოცრებაც მოხდა. ვერავინ მიხვდა დედის ვერც ავადმყოფობის და ვერც მორჩენის მიზეზს. დღეს კი? ნაწნავები წელამდე ხვდებოდა. ოქროსფერი თმები, რომელიც მისი სიმდიდრე იყო, მაკრატლის შეხებას ელოდებოდნენ... არადა რამდენი სასწაული მოახდინა – უშვილო ქალბატონები დედები გახადა, ავადმყოფი ბავშვები გამოაჯანმრთელა, ახალგაზრდები სწორ გზაზე დააყენა, მოხუცებს სიცოცხლე გაუხანგრძლივა... მხოლოდ დედა ვერ გახადა უკვდავი, რის გამოც დაეკარგათ ოქროსფერ კულულებს მაგიური ძალა. ნაწნავები წელამდე ხვდებოდა. ოქროსფერი თმები, რომელიც მისი სიმდიდრე იყო, მაკრატლის შეხებას ელოდებოდნენ...

არტახები

არ მინდა თავისუფლება! გადამაკარით არტახები, რომ არ ავიშვა. დამარწიეთ მაგრად აკვანში, რომ თავბრუ დამესხას და ვერ ვხედავდე გარე სამყაროს. როგორც ადრე, ისე ახლაც, სახეზე ჩადრი ჩამომაფარეთ, თვალებზე თეთრი მიტკალი, რომ ვერაფერს ვხედავდე. მინდა ვიგრძნო, მხოლოდ ის, რასაც ხელფეხშეკრული ჩვილი აკვანში გრძნობდა და მაინც თავისუფალ ქართველ ვაჟკაცად იზრდებოდა. ამ აკვნებიდან ფეხადგმულ ქართველებში, ისეთი გულები მინდა ბაგუნობდეს, ცას და მიწას ესმოდეს მათი ხმა, წინაპართაგან რომ იტყოდნენ – ასეთი ვაჟკაცები ათასწლეულში ერთნი იბადებიანო! არ მინდა თავისუფლება! მხოლოდ მინდა, ასეთი საოცნებო ვაჟკაცებით გაივსოს ჩემი ტანჯული ქვეყანა, მინდა იბადებოდნენ და კვდებოდნენ წესის და რიგის მიხედვით. მინდა, სიცოცხლე მხოლოდ სიხარულით იყოს აღსავსე და ისე გვიყვარდეს მხოლოდ, როგორც დედის ტკბილი იავნანა. არა! თავისუფლება არ მინდა! გადამაკარით არტახები!

ბუხარი

ბუხრიდან იშვა. არავინ იცოდა, რომ მისი დედაც და მამაც ბუხრის ზოგჯერ ცივი და ზოგჯერ თბილი კედლები იყო... ამიტომაც ცვალებადი ხასიათი ჰქონდა. თუ ზაფხული იყო, მაშინ უფრო ნაწყენი, გაბუტული და შეციებული დაიარებოდა. სწორედ მაშინ სტკიოდა ყველაზე მეტად შეციებული ძვლები, უახლდებოდა ნაიარევი და გადმოდიოდა ჭრილობებიდან სისხლი ზვირთებად. რას არ მისცემდა, რომ ეს ტკივილები არასდროს გახსენებოდა.

თითქმის მთელი ცხოვრება ცივ შემოდგომას და სუსხიან ზამთარს ნატრობდა. როგორ უხაროდა, როცა ქარი ძლიერად დაჰბერავდა და წამოიღებდა ნაღველს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და აქ მოიტანდა, მასთან. გაიხედავდა გარეთ და გულიც სიხარულით ევსებოდა – მთები და კლდეები, ზღვები და ტბები, ოკეანეები და სახლის სახურავებიც კი თეთრი, უხილავი, მოსალოდნელი ფიფქებით და მისი აურაცხელი ფიქრებით იფარებოდა. ჰოდა, ამ ფიქრებს რომ არ შესციებოდათ, მუდამ გაყინულები და გათოშილები რომ არ ყოფილიყვნენ, დაინთებოდა ბუხარში ცეცხლი, აგიზგიზდებოდა ნათელი და გათბებოდა არემარე. გათბებოდა ადამიანთა გულებიც და იგიც მხოლოდ მაშინ იყო ბედნიერი.... ფიქრობდა, ამაოდ არ მოვსულვარ ამ დალოცვილ დედამიწაზეო. ჩემი ბუხრის საკვამურიდან ამოსული კვამლი მთელ დედამიწას დაფარავს. მოედება ნისლად ადამიანთა გულებს ჩემი სითბო და სიყვარული, გაიდგამს ფესვებს სიკეთე, აღმოცენდება ვაზი, დაიბადება ვაჟი და დაერქმევა მას სახელად სამშობლო, ყველაზე თბილი და ყველაზე ნაზი, ყველაზე ზვიადი და ამაყი, ბრძენი, მართალი, ცივი, როგორც ყინული და მწველი, როგორც ცეცხლი.

ბუხრიდან იშვა. არავინ იცოდა, რომ მისი დედაც და მამაც ბუხრის ზოგჯერ ცივი და ზოგჯერ თბილი კედლები იყო.

ლურჯი ფრინველი

აი, ჩემი ცისარტყელაც. ადრეც მინდოდა მეამბნა, როგორ მოხდა ეს შვიდი ფერი ერთ ზოლში, მერე ცაში აფრინდა და წვიმის შემდეგ სამუდამო ბინა დაიდო მზის, მთვარის და ვარსკვლავების გვერდით.

...შორი გზიდან მოვდიოდი, გზად ერთი მუხა შემომხვდა. მუხა ძლიერი და ფესვმაგარი იყო, მაგრამ მის ძირში, პაწაწინა ლურჯთვალა ია იწონებდა თავს, ამოსულიყო და მუხას შესციცინებდა თვალებში. ფიქრობდა, რა ძლიერია, მას ხომ ვერავინ დაჩაგრავს, ფეხსაც კი ვერ დაადგამენ და ვერ გადათელავენო. ცოტა არ იყოს გახარებულიც იყო, რომ მუხის ძირში მოუწია ცხოვრება. თავს დაცულად გრძნობდა. მას რომ გავცილდი, ცაცხვის ხე შემომეფეთა. ცუდი დღეები ედგა საწყალს. სულ გასცლოდა ფოთლები, ჭია-ღუებს შეეჭამათ მისი ჯანმრთელი სხეული და ყვავებიც არ სცილდებოდნენ, თითქოს რაღაცას გრძნობდნენ... რაღა მექნა, მოვიქნიე

ნაჯახი და მოვჭერი. მოვჭერი ისე, რომ ფესვებს არ შევხებივარ. რა იცი, იქნებ გაიხაროს-მეთქი. წამოვედი და რას ვხედავ,მოხეთქავს მდინარე და მოაქვს,როგორც ნაფოტები თევზები, ადამიანთა გვამები, ურჩხულის თავები, დევების ეშვები....

მივხვდი, ახლა არაფერი აღარ მეშველება-მეთქი და ცაში ასაფრენად მოვემზადე.... ჰოდა, სწორედ ამ დროს მოფრინდა ჩემთან ლურჯი ფრინველი,თვალი არემარეს მოავლო,ცისქვეშეთიდან ფერები აკრიფა და ცაში წაიღო. თან მეც გამიყოლა „ისე ყოველი შემთხვევისათვის". ალბათ, ცისარტყელას ფერებს რომ დაანაწილებდა, მეც შემეკითხებოდა, ლურჯის შემდეგ წითელი ფერი უნდა თუ ყვითელიო. მე კი პასუხად ვეტყოდი – მხოლოდ მზისფერი.

შენი ვარსკვლავი

შეხედე, ციდან შენი ვარსკვლავი მოწყდა, ზუსტად ის დრო დადგა, სურვილები რომ უნდა ჩაიფიქრო და აგისრულდება... განა პატარაობიდან არ მოგწონდა ცისკენ ყურება. რა სახელებს არ მოიფიქრებდი და დაარქმევდი იმ ვარსკვლავებს, მთვარიან ცაზე რომ დაბორიალობდნენ. იმ ღამეს,თუკი ვარსკვლავები ვერცხლისფრად ანათებდნენ,ყოველთვის სასწაული ხდებოდა შენთვის. მთვარეს, რომელსაც მუდმივად გზა ებნეოდა, შინისკენ მიმავალს, და რომელსაც შენ ეგულებოდი მეგზურად, უცებ სიმღერა მოუნდებოდა. როგორც კი სიმღერას დაიწყებდა, მისი ნაკვალევი იშლებოდა და მხოლოდ ხმა ისმოდა, ტკბილი და მიუწვდომელი.

მთვარე ზოგჯერ ბურთივით მრგვალი ხდებოდა, გადაგორდებოდა თვალუწვდენელი ცის უსასრულობაში და ასე ტრიალებდა ცის ტატნობზე. ვარსკვლავები ამ დროს მის გვერდით ყოფნას ერიდებოდნენ, ძალიან მრგვალი იყო და დრეკადი. ეშინოდათ, თავიანთი წვეტიანი ქიმებით უეცრად არ შეხებოდნენ მის ზედაპირს და რაიმე არ დაეზიანებინათ. მხოლოდ ნახევარ მთვარედ რომ იწყებდა გადაქცევას, მაშინ უახლოვდებოდნენ და ბედავდნენ თვალებში ჩაეხედათ...

...მაშინ კი მთვარე სიმღერას იწყებდა და გაუჩინარდებოდა. ასე, ვერავინ ხედავდა მის მკრთალ ნათებას და ნაკვალევს. შენ კი ხმით აგნებდი. რადგანაც, ცის ტატნობის ბატონ-პატრონი იყავი. არასდროს შეგშლია არცერთი ბილიკი და გზა, სადაც მთვარე სახლობდა. იმ კიბეზე, რომელზეც ყოველ ღამე ადიოდა და ჩამოდიოდა, მუდამ თავისუფლება იყო, ფეხი რომ არ დაცურებოდა. შეხედე, რამდენი ვარსკვლავია ცაში, ამას ვინ დათვლის!. შეხედე,რამდენი სურვილი სრულდება! ამასაც ვინ მოთვლის. შენ ითვლიდი მხოლოდ იმ ბილიკებს, ნაკვალევს და კიბეების რაოდენობას, სადაც მთვარე ზოგჯერ ვერცხლისფერი, ზოგჯერ თეთრი და ზოგჯერ უფერო ნაფეხურებით დადიოდა. ამიტომაც შენთვის მუდმივად ის დრო იდგა, ციდან ვარსკვლავი რომ მოწყდება, სურვილი რომ უნდა ჩაიფიქრო და აუცილებლად აგისრულდება.

შეხედე, ციდან შენი ვარსკვლავი მოწყდა.

ერთი ლექსი

შოთა ტობონიძე

ღმერთმა უფლის გზით გატაროს

რამინ ჭელიძეს

რა კარგად გრძნობ
მოძმის გულის ფეთქვას,
თითქოს ხვდები
ჩვენს აზრსა და სათქმელს;
ბევრი ამბობს,
რაც მე უნდა მეთქვა:
რომ ფასი აქვს
შენს ქცევას და საქმეს.
არ მოვყვები
ათასნაირ წვრილმანს,
შენ არა ხარ
ფასადური კაცი;
შენზე მეტი
დაიკვეხნოს იმან,
ვინც იცოდეს
შენებრ სხვისი ფასი.
იმედად და
სიხარულად დახვალ,
ღვთის კაცივით
სპეტაკი ხარ, რამინ,
შენს ღირსებას
მზის ნათელი ახლავს,
ღმერთმა უფლის გზით
გატაროს, – ამინ!

სოსო ნაღიჰაძე

გზა ღარიბია

გზა ღარიბია ავანსცენებით,
და ვიმეორებ როლებს თავიდან,
კრამიტებივით სახლებს ენები
გადმოუყრიათ სახურავიდან...

აღარ გამოჩდნენ ძველი ხედები,
სარკმელთან ისევ სცივა ბელურას
და ცარიელი სახლის კედლები
საათებივით გაჩერებულან...

გარინდული ვარ, ვით ჰერმან ჰესე,
მერე კი ფუნჯით, როგორც საადი
ვეხები კედლებს და ვქოქავ ლექსებს,
ვით გაჩერებულ კედლის საათებს...

გზა ღარიბია ავანსცენებით,
და ვიმეორებ როლებს თავიდან,
კრამიტებივით სახლებს ენები
გადმოუყრიათ სახურავიდან...

* * *

სივრცეა ისევ უსაფეხურო,
ფოთლები ჰგვანან წვიმის ნათურებს,
დაფრინავს დღესაც დედა ბელურა
და ბარტყებივით, ქარებს აპურებს...

უცნაურია ყოველი მგზავრი,
გზას მინდობილი თავისებურად,
ბელურის ფრთებზე დაფრინავს ქარი,
და ქარის ფრთებზე ფრინავს ბელურა...

* * *

სად გაიფანტა
სურნელი დილის,
ან მოლოდინის
ბილიკი სადა,
ვაშლის ხეების
ნაღვლიან ჩრდილში
გზადაკარგული
ქარი ხარ, ადამ...
ცის სილუეტი
მომძახის, მზე ვარ,
ნიშანს ასხივებს
ყოველი რიცხვი,
ჰგავს შემოდგომა
დაცემულ ევას,
ხმელი ფოთოლი
უფარავს სირცხვილს..

* * *

ქარს გაუშლია
შენი თმები
— ჩემი ნოტები
და
დირიჟორს
ჰგავს
ყოველი ხე
მწვანე ტოტებით...

ქარი

ფანჯრიდან მესმის:
— მიშველეეე...
— ზოგჯერ,
ხანდახან წუთიც
დიდი რამეა,
ეს, ჩემი სახლის
სარეცხის თოკზე
ქარი ჰკიდია
სამი ღამეა...

ვაი, რომ...

გამიგია, რომ კაცს ცოდვა ღუპავს
და მოჩანს ბეწვის კიბე გზის ბოლოს,
ვაი, რომ გული გავუხსნა უფალს
და ცოტა სითბოც კი ვერ იპოვოს...
ახლა ვარსკვლავი ვარსკვლავებს მისდევს,
ასდევნებია მარხილს მარხილი,
ვაი, რომ გული იესო ქრისტეს
სიყვარულისგან დახვდეს დაცლილი...
დროს ვერცხლისფერი უჭირავს ცელი,
იქნევს და იქნევს ბოლო წუთამდე,
ვაი, რომ გულში შევუშვა მხსნელი
და ნაღვერდალიც კი არ ბჟუტავდეს...
გამიგია, რომ კაცს ცოდვა ღუპავს
და მოჩანს ბეწვის კიბე გზის ბოლოს,
ვაი, რომ გული გავუხსნა უფალს
და ცოტა სითბოც კი ვერ იპოვოს...

* * *

შენ უსამანო წერილებს წერდი,
და რადგან ჰგავხარ სამიზნის ნაშალს,
მიყავხარ ყველა დაუსმელ წერტილს,
როგორც გარღვეულ ჯებირს და კაშხალს....
ხან ოკეანედ იქცევა ღელეც,
გზა ეკარგებათ ნავებს და ნიჩბებს,
და ქარში ტოვებ შემართულ ხელებს,
როგორც განწირულ ძახილის ნიშნებს...
თოფდადევნებულ მგელს ჰგავხარ ჯიშით,
უკვე პატარა კვალიც წაშალე
და შეშინებულ ხეების ჩრდილში
აკვესებ თვალებს – ღამის მაშხალებს...
შენ უსამანო წერილებს წერდი,
და რადგან ჰგავხარ სამიზნის ნაშალს,
მიყავხარ ყველა დაუსმელ წერტილს,
როგორც გარღვეულ ჯებირს და კაშხალს...

დედა სახლშია

ის ღამე უნდა თეთრად მეთია,
იქ ვარსკვლავები იყვნენ მცველები,
ცივ სამარეში ვერ ჩაეტია
და სახლში დარჩა დედას ხელები...
ღამეს ვჭვრეტ მთვარის თასით გალეშილს
და ემატება ტკივილს ტკივილი,
ვერ ჩაეტია ცივ სამარეში
და სახლში დარჩა დედას ღიმილი...
მხრებით ტკივილი მიმაქვს ქარიქარ,
ცივ სასახლეში გამოხვეული,
ვერ გაეტია ჩახსნილ კარიდან
და სახლში დარჩა დედას სხეული...
ბორცვი მარტოა ახლა სრულიად,
და მეც მშვიდი ვარ ახლა სრულებით
და რადგან სახლი დედის სულია
მათბობს საკმევლის ნელი სურნელით...

დედაბრის ჩრდილი

ქარი არღვევდა ქოხს ქარის ნაშენს,
მიწას მიჰქონდა თავისი წილი
და გვაშინებდნენ დედები ბავშვებს,
დედაბრითა და დედაბრის ჩრდილით...
გადმოეფინა კედლების ჩივილს
სიბერე – ჩრჩილის შეჭმული ნოხი
და ჩანდა, როგორც ჭიანი კბილი,
კენტი ფანჯარა დედაბრის ქოხის...
და რადგან შიში გვთრგუნავს და გვაბნევს
ბავშვებს კი ხშირად მოაქვთ ზიანი,
ქვით ამოვუღეთ გაბზარულ სარკმელს,
ის ერთადერთი კბილი ჭიანი...
ქარი არღვევდა ქოხს ქარის ნაშენს,
მიწას მიჰქონდა თავისი წილი
და გვაშინებდნენ დედები ბავშვებს,
დედაბრითა და დედაბრის ჩრდილით...

* * *

დრო ხელგაწვდილი იდგა ხელანით,
გვეპარებოდა ჩქამი ურდოთა
და თეთრ ფურცელზე კალამს მელანი
კენტი ცრემლივით ჩამოუგორდა...

მელნისფერი აქვს ღამეს სხეული,
ვეღარ ვერევი კონკისტადორებს
და ლექსს კი არ ვწერ, გაოცებული
რვეულში კალმის ცრემლებს ვაგროვებ...

ეიდინო სალუსაძე

ამაღამ

რკინის ქოშებს
დაუჟანგდა ქუსლი,
რკინის ჯოხიც,
რა ხანია, დავდე.
ცერზე მიზის
დასევდება მუნჯი,
სალამს რომ ვერ
მიბედავდა ადრე.
წუხელ მუზებს
ვუმართავდი ნადიმს,
უძილობა ვასვი
მღვრიე ღამეს,
შენს მისამართს
ვაჩეჩებდი ძახილს,
მონატრება
კოკისპირით ვღვარე...
წამოვკრიფე
ცოდვაცა და მადლიც,
მიმოვფანტე
სურვილების გროვა.
ლექსო,
ფრთხილად გაიხურე კარი,
ვგრძნობ, ამაღამ
ანგელოსი მოვა.

ჟანგისფერი ლექსი

სიზმარს ჟანგისფერი ეცვა
მკრთალი ჟანგისფერი ფარდით
და ფერგახუნებულ ლექსსაც
ჟანგისფერ მაქმანით ვრთავდი.
სიზმრის იდუმალი ხელი
შენს სახეს ჟანგისფრით ხატავს,
შორს კი სადედოფლო შენი
გადმოჭრის ჟანგისფერ ღარტაფს.
...და მეც ჟანგისფერი მითრევს,
და მეც მიჟანგდება გული,
ჩემი ჟანგისფერი ღამე
იწვის მოჟანგისფრო ურვით.
დედოფლის სურვილი მწველი
ჟანგისფერ ყვავილებს ფანტავს,
გრძელი ჟანგისფერი ზოლი
მოსდევს მოჟანგისფრო ფატას...
და როს თვალს მილულავს მთვარე
ჟანგისფერ ხერესით მთვრალი,
ჟანგისფერ სარეცელს გაშლის
ჟანგისფერთმიანი ქალი.

რა ამინდია...

„აიდას“ მოსმენის შემდეგ

ამ ღამის მერე დილა უკვე
აღარ თენდება.
მკაცრი გრიალით ჩაიქროლეს
შლეგმა ეტლებმა.
სარკოფაგების დაიხურნენ
შავი კარები
და წამწამებიც დაიბურნენ
ჩამოღამებით...
ტრფობამ სიკვდილზე იქორწინა,
ზეიმს იხდიან!
რა ამინდია, ო, რადამეს,
რა ამინდია!..
ორი აბსტრაქტი!
ორი ოხვრა!
ძრწოლა სულს იტანს...
მესამე როგორ დამავიწყდა –
ვერდის მუსიკა!

გმადლობ, რომ მიხმე!

გზის აქეთ-იქით ჩამორიგდნენ ქერუბიმები,
ვაი, ამ აღმართს ვერ ავივლი შენებრ უბრალო!
აჰა, მაჯები! – ჩემი ხსნისთვის დაღვრილი სისხლი
სულ მისხალ-მისხალ მოგითვალო, მინდა, უფალო!
მოვდივარ! მინდა, ამოხსნილიც, ამოუხსნელიც,
ყოფნაც, არყოფნაც, საგოლგოთე ჯვართან დავყარო,
მოვდივარ!.. მაგრამ აბურდული, ჩაბნელებული
კალთები ვეღარ ავუკრიფე ამ ჩემს სამყაროს!
მოვდივარ, მტირალ იებს ვფანტავ დამფრთხალ მიწაზე,
შენი ცისკრები შეინახეს ჩემმა თვალებმა!
ცხელმა უდაბნომ ამოფეთქა ველთა სიმწვანე,
ო, ეს მინდვრები როგორ თბილად მესაფლავება!
შეკრულ მუჭებში სინანულის ნამცეცებს ვითვლი,
რიდის სითეთრე ბოლო გზაზე მოვიზედმეტე...
იორდანედან წამოფრენილ ქათქათა მტრედებს
ჩამოსასხდომად შევახარბე მხრების სითეთრე.
აი, გამოჩნდა! ამობრწყინდა ჩემი გოლგოთა!
მზე მეწამული იმ შორეულ ხანძრით ბურბურებს,
ვნების სამოსით შეიმოსა შავი კოჰორტა,
ცოდვილ ხელებმა აუკინძეს ფრთები შურდულებს...
მინდა, მოვასწრო შავ კალთების გაცისფერება,
ბნელ ღამეში რომ აფრიალეს ვნების ქარებმა
და ჩემს სხეულში ჩაკიდული კიბის ჩარღვევა,
უთვალავჯერ რომ ჩაირბინეს კუდიანებმა,
მინდა, მოვასწრო, გადავკვანძო გამწყდარი ხმები,
გუნდის ლოტბარი რომ უხმობდა დილით ამაოდ,
ვერ შევაკავე, მიიწევდნენ თავგამეტებით,
სადაც უფსკრულში ჩამომხრჩვალი ნისლი ქანაობს...
მიახლოვდება მოგუგუნე ცის ანათემა,
სიკვდილს რომ კვალში ჩავუდექი, უცებ დავბერდი!
მავიწყდებოდა ცის კოშკებზე ცეცხლის დანთება,
და მეათასედ მივაპობდი სივრცეს მთვარემდი...
ჩემი გოლგოთა! ამღვრეული მოთქმა გოდოლთა!
ვაი, ამ აღმართს ვერ ავივლი შენებრ უბრალო!
ვინ მომაშავა ჯვარზე ვნების ბედნიერება!
მინდა, შენს სივრცეს შევემატო ერთ ხმად, უფალო!
როგორც კი მიხმე, აკვნის ზონარს ხელი შევუშვი,
ჩვილის ტირილი გამოვაბი გრიგალს ტოტებზე,
ვერც კი შევნიშნე, ამიყვავდა მკერდზე ზამბახი,
თმებში ჩაწნული ოქროსფერით კვალში მომდევს მზე!
შენ კარგად იცი, გზაბნეული მგზავრი როდი ვარ!
გმადლობ, რომ მიხმე, გეახლები... მოვდი... მოვდივარ!..

ბრავო, მაესტრო!

ჩემი სიმშვიდის კარიბჭეთა საბრალო თრთოლვა
ეს მერამდენედ შემოლეწეს
ხმაურიანმა, უსულგულო კარნავალებმა
და ავადმყოფი ქუჩაბანდები – გაწვრილებული სისხლძარღვები
მათ ყიჟინას ვეღარ უძლებენ
და მომაკვდავი ჩემი სიმშვიდე,
ვხედავ, დღითიდღე იფარება
გაწბილებული ყაყაჩოების შხამიანი ტატუირებით...
შესდექ, მაესტრო!
ეგ სცენარი
სამყაროს მზისფერ სამოთხეებს გადააშავებს
და დედამიწის ზურმუხტები – მინდორ-ყანები
ერთიანად ჩანაცრდებიან.
გოგირდის სუნი მოიყოლეს იმ ნიღბებმა,
შენ რომ არიგებ!
გველისტყაოსნებს აუვსიათ გზაჯვარედინი,
თითოს რამდენი ნიღაბი მიაქვს,
ზოგი ახლავე მოსარგები,
ზოგიც კიდევ – სათადარიგო!
რიგში ჩამდგარან წარმართებიც ჯვრიან ტაძრიდან,
წმინდა ბარძიმთა სიტკბოებით დანაყრებულნი,
იმ ხეთა ჩრდილებს შეფარებულნი,
რომელთაც გმირმა მოწამეებმა
უკანასკნელი ამოსუნთქვები ჩამოურიგეს.
... და მებრალები, ჩემო მაისო,
უნამდვილესი შროშანების გადათეთრებით,
დედოფალ ვარდთა ალისფერი თავსაკრავებით...
და მებრალები, თავისუფლების დიადო ჰიმნო,
მარადმონების მიწისფერი ბაგით ნამღერო!..
ჩემო ძვირფასო სიყვარულო, სად დამეკარგე?!
ვხედავ, შენც ნიღბად გადაქცეულხარ
და ყალბი მეტრფე დაშაქრული იამბიკოთი
შენს საჩრდილობელს შემოჰფარვია.
ო, ბატონებო!
კულისების აქტიურო აქტიორებო!
როგორ თამამად გამოსულხართ გზაჯვარედნებზე
და ნიჭიერი დიდი მაესტრო
დროულად გაწვდით
სათნო ნიღაბთა უსასრულო მრავალფერობას!
ჯოჯოხეთური ორკესტრების ორკესტრანტებო!
დაჰკარით დოლებს!
ბილწი სუნთქვით გააცოცხლეთ საყვირთა ხმები!
არლეკინებო!
თქვენმა ხარხარმა ჩაანაცვლა ხმა ინტელექტის
და ბრძენთა ხმები ჩაიძირა ამ ღრიანცელში...
მალაყების სიმაღლე ზომეთ ყიჟინისცემით!

ჩემი ქალაქის მოედნები ეშმას რიტმებით ააცეკვეთ!
ჩემს გმირ მოედნებს თავზე დაამხეთ
ბილწი ნიღბების კორიანტელი
და შეასწავლეთ ლაღი ცხოვრება
სულგაყიდულთა კეთილდღეობით!
ხვატს მიუყარეთ
ჩემი და ჩემი შთამომავლების სიმშვიდეები ჩეროებიდან,
ის საბრალონი ცის ფერსაც ვეღარ შეეფარვიან,
რადგან ცის ფერი,
დიდი ხანია,
სალანძღავ სიტყვად გადაღებეს
წარმატებულმა ნიღბოსნებმა
განვითარებულ ავხორცობის აპოლოგიით.
ბრავო, მაესტრო!
ლუციფერის ეს დავალება
თქვენ წარმატებით შეასრულეთ
და ჩემს ქვეყანას
ჯოჯოხეთის კარიბჭენი
არნახულად ფართოდ გაუღეთ!
ძრწოდე, მაესტრო!
გაცილებით დიდი მაესტრო
დაგყურებს ციდან!

ვალიკო ნანობაშვილის ხსოვნის საღამო კონსერვატორიაში

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში სამოციანი წლებიდან ფოლკლორული ანსამბლებისა და გუნდების ხელმძღვანელის, დამსახურებული პედაგოგისა და გამოჩენილი ლოტბარის ვალიკო ნანობაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

საღამოზე, ნახევარი საუკუნის შემდეგ,პირველად გაიჟღერა რადიოს „ოქროს ფონდში“ დაცულმა ჩანაწერებმა ვალიკო ნანობაშვილის შესრულებით და ნაჩვენები იქნა მისივე მონაწილეობით ანსამბლებისა და გუნდების ვიდეომასალა.

ცნობილი ლოტბარის თანაკურსელებმა გაიხსენეს 60-იანი წლების კონსერვატორიაში, სტუდენტობის პერიოდში მათ მიერ პირველი ფოლკლორული ანსამბლის შექმნის ისტორია, რომელსაც გამოსვლები ჰქონდა მთაწმინდაზე იმ დროისათვის ახლად გახსნილ ტელევიზიაში, ასევე, ვალიკო ნანობაშვილის მეგობრებმა გაიხსენეს ერთად განვლილი გზები...

ხსოვნის საღამოზე სხვადასხვა სიმღერა შეასრულეს ცნობილმა თანამედროვე ფოლკლორულმა ანსამბლებმა: „მრავალჟამიერმა“, „ბასიანმა“, „ანჩისხატის მგალობელთა გუნდმა“.

ვალიკო ნანობაშვილის ხსოვნის საღამო ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ორგანიზებით ჩატარდა.

თამარ მიქაძე

აკაკი გაწერელია

ბატონ აკაკის არაერთხელ შევხვედრივარ ოჯახურ გარემოში, უმეტესად, ჩვენთან. მაშინ მცხეთის ქ. №8-ში, ლიტერატურის ინსტიტუტის სახლში ვცხოვრობდით.

აკაკი გაწერელია და მამაჩემი გივი მიქაძე წლების განმავლობაში პირნათლად ეწეოდნენ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ლიტერატურის ინსტიტუტში და მაშინდელ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელში. სამსახურის გარდა, ბევრი სხვა რამ აკავშირებდათ. მახსოვს, 90-იან წლებში როგორ უჭერდნენ მხარს ეროვნულ მოძრაობას... ლექსწყობის საკითხების გარშემო პერიოდულ გამოცემებში გამართული მწვავე დისკუსიების დროსაც ერთ სამეცნიერო ბანაკში იყვნენ. გარდა ამისა, დიდი პატივისცემა ჰქონდათ ერთმანეთისა. ბატონი აკაკის გულის მოგება კი, არც ისე ადვილი იყო. მით უფრო, რომ საკმაოდ უფროსი იყო მამაზე.

ერთი სახალისო ამბავი მახსენდება. ჩვენი ახლო მეზობლის გივი ლომიძის ოჯახში პატარა სუფრა იყო გაშლილი, რასთან დაკავშირებით, აღარ მახსოვს. თუმცა, მაშინ ხშირი იყო ასეთი შეხვედრები და დიდი მიზეზიც არ იყო საჭირო.

გივის მეუღლე, არაჩვეულებრივი ქალბატონი ლამარა შავგულიძე გულითადად გვმასპინძლობდა.

ჩვენი ოჯახი სრული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი: მშობლები, ჩემი უმცროსი და ქეთი, მე და ჩემი მეუღლე – სულხანი.

მოწვეული იყო აკაკი გაწერელია და მასპინძლის ერთი ნათესავი კაცი. სუფრას მამა თამადობდა. დინჯი, საფუძვლიანი სადღეგრძელოები იცოდა. გივი ლომიძე უფრო მკვირცხლი და რაკრაკა მოსაუბრე იყო, მაგრამ ოჯახის ნათესავი არვის აცლიდა სათქმელს და, რაც ქართული სუფრისთვის მიუღებელია, ამ მხრივ თამადასაც აჭარბებდა.

შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ ამ სურათის შემხედვარე ბატონი აკაკი უკმაყოფილო იყო. მისი ასაკისა და გაქანების კაცს აზრის გამოთქმის საშუალებაც არ მიეცა, არადა, ღრმად განათლებული პიროვნება იყო, ახლო წარსულის მემატიანე. ენაც სხვანაირად „უჭრიდა“. ერთი სიამოვნება იყო მისი მოსმენა, მაგრამ ვინ აცალა...

სულ ბოლოს, თამადის სადღეგრძელო რომ შეისვა, ბატონმა აკაკიმ მაშინღა მოახერხა ერთი სადღეგრძელოს უფლება მოეთხოვა, ჭიქა ასწია და ყველასათვის მოულოდნელად სულხანს მიმართა: „ყმაწვილო, თქვენ გაიმარჯვეთ, დღეს თქვენ კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ, რომ დუმილი ოქროა“.

ასე თავისებურად გამოხატა პროტესტი.

სულხანი ჩვენი ოჯახის ახალი სიძე იყო, ისედაც სიტყვაძვირი, იმ დღეს მორიდებულად ოჯდა სუფრასთან. ძალიან კი დაუფასდა სიჩუმე... მაშინ ამ სადღეგრძელოზე ბევრი ვიცინეთ, ჩვენც და თავად ბატონმა აკაკიმაც.

დღესაც მეღიმება ამ ამბის გახსენებაზე..

სერგო ქობულაძე

ჩვენი ქვიშხეთის სახლის სტუმრებზე საუბარი შორს წაგვიყვანს... ყიფიანების ძველი ალაგი ხშირად მასპინძლობდა საინტერესო ადამიანებს.

ამჯერად, სერგო ქობულაძე მინდა გავიხსენო, დიდებული მხატვარი, რომელიც მაშინ ჩემთვის, ბავშვისთვის, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი სტუმარი იყო ბებიის სახლისა.

ერთი ასეთი დღე მახსოვს.. ძველი სახლის აივანზე, ხის მრგვალი მაგიდაა გაშლილი.. ძველებური სერვიზი, ტკბილეული და ჩაი. სერგო ქობულაძე გვსტუმრობს და ბებიაჩემის დას, ელისაბედს (დოდო) ესაუბრება. დოდო ბებიას მწვანეფოთლებიანი კაბა აცვია და ზაფხულის სიცხისგან დიდი მარაოთი იგრილებს თავს. როგორც ყოველთვის, ძალიან ლამაზად გამოიყურება. ბატონი სერგოს აზრით, იმ ძველებურ აივანს ყველაზე მეტად ველური ვარდი დაამშვენებს, თან ერთ მხარეს უფრო ხშირად, მეორე მხარეს კი – ოდნავ, ერთ ხაზზე რომ იყოს ასული.

ბებიის კითხვას, თუ რატომ ერთ მხარეს, მხატვარი მოკლედ პასუხობს – ასე აჯობებს.

მიირთმევენ ჩაის, ბებია ყვება, რომ ჩვენ იმ უბნის ბავშვები ვდგამთ სპექტაკლს ანდერსენის ზღაპრების მიხედვით, რამდენიმე დღე რეპეტიციას გავდივართ, სამი დღის მერე კი – პრემიერა გვაქვს. იქვე ვდგავართ და წამყავნ მსახიობებად მოვიაზრებით 8-9 წლის ასაკის ბავშვები: თქვენი მონა- მორჩილი, ჩემი ბიძაშვილი სოფო პატარაია და მეგობარი ნინო ახვლედიანი. ბატონი სერგო მთელი სერიოზულობით გვიწონებს იდეას და ქაღალდს და ფანქარს გვთხოვს. მე მოვარბენინებ თაბახის თეთრ ფურცელს მამის უჯრიდან. ბატონი სერგო იღებს 6 ფურცელს, ყოფს ორად და ცოტახნით ეფლობა

საქმეში. მალე, რომ იტყვიან, ერთი ხელის მოსმით ვიღებთ თორმეტ ესკიზს, ზოგზე ადამიანის ფიგურაა გამოსახული, ზოგზე ტანსაცმელი. ყველაზე უფრო მეტად მომწონს ერთი ჩანახატი – ეს ჯადოსნული ეტლია – გვეუბნება მხატვარი. ეს არის და ეს..

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, ერთი რამ გაგვკვირვებია, კარგი, ჩვენ პატარები ვიყავით, ბებიებმა რატომ არ შეინახეს ეს ჩანახატები, რატომ?!

ძალიან კი მწყდება გული. ჩვენს საოჯახო არქივში სერგო ქობულაძის ერთი სურათია შემორჩენილი, ფანქრით შესრულებული დოდო ბებიას პორტრეტი. დიდი მხატვრის ჯადოსნული ეტლი კი – სხვა მის ჩანახატებთან ერთად დაიკარგა..

სამაგიეროდ, იმ სტუმრობის შემდეგ დაირგო და მალევე აყვავდა ვარდისფერი ველური ვარდი, ძველებური აივნის ერთ მხარეს ხშირად, მეორე მხარეს კი – ოდნავ, ერთ სვეტზე ასული.

ზურაბ ჩიქოვანი

თბილები, ტკბილები, სტუმართმოყვარეები, ხელგაშლილები, მომღერლები... ასეთები არიან ჩიქოვანები: მარიკა, გიგლა, ეკა, გვანცა... თავისი შვილებითა და ოჯახებით და პოეტის ცნობილი ლექსის არ იყოს: „იარონ, იარიონ, იარონ, ამინ!“

ამჯერად, უფროსი თაობის წარმომადგენელი მინდა გავიხსენო, ბატონი ზურაბი, რომელმაც ქალბატონ ითოსთან (იფიგენია) ერთად საფუძველი ჩაუყარა ამ სამაგალითოდ ქართულ ოჯახს.

პირველ კურსზე ვიყავით, მარიკამ სახლში რომ დაგვპატიჟა ბავშვები. ის დღე ნათლად დაგვამახსოვრდა, შეიძლება იმიტომაც, რომ ერთ-ერთი პირველი შეკრება იყო ჩვენი კურსის. ფილოლოგები ვიყავით და იყო ლექსების თქმა და ამბავი... ბატონი ზურაბი დაგვფუსფუსებდა, საინტერესო ამბებს გვიყვებოდა, სადღეგრძელოებს გვაშველებდა. საუბარიც ეხერხებოდა, თამადობაც და, რა თქმა უნდა, სიმღერაც. პროფესიონალი ფსიქიატრი მეტად პრინციპული და უკომპრომისო იყო უსამართლობასთან ბრძოლაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ორგანიზატორული უნარი, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ოჯახური ჰარმონიის და წარმატებების მიღწევა.

საჭიროების შემთხვევაში, არც სხვებისთვის იზოგავდა ენერგიას. ასე უშურველად გაუღო სახლის კარი უნივერსიტეტის მომღერალ გოგონებს, რომლებმაც მარიკასთან ერთად სტუდენტობისას კვარტეტი ჩამოაყალიბეს. მათი თქმით, რეპეტიციები, ძირითადად, ჩიქოვანების ოჯახში ტარდებოდა. საშემსრულებლო ხელოვნებასაც სწორედ იქ ეზიარნენ.

ერთი სიამოვნება იყო ოჯახის მოსმენა. რეპერტუარიც გემოვნებით იყო არჩეული, მათ შორის, ბატონ ზურაბის საავტორო სიმღერებიც იყო. ხშირად ვყოფილვარ ქობულეთის ქუჩაზე მათ კერძო სახლში, ერთი ასეთი საოჯახო კონცერტის შემდეგ ჩემმა ქალიშვილმა, სოფომ, რომელიც მაშინ 4-5 წლის თუ იქნებოდა, ასე მითხრა – დედა, რა კარგი ტელევიზორი იყოო. ნანახი რეალობა იმდენად შთამბეჭდავი და ემოციური იყო, ბავშვმა გადაცემად აღიქვა.

ბოლოს, ერთ ისტორიას გავიხსენებ, პატარა შესავლით. 90-იანი წლები იყო.. ომის, სიბნელის, გაჭირვების.. ჩვენს სახლში, მცხეთის ქუჩაზე, სოხუმელი ნათესავები ჩამოვიდნენ. მამის ბიძაშვილი ნოდარ მიქაძე სოხუმის გაზეთის რედაქტორი და ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე იყო. აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ არაფერი ახარებდა, პესიმიზმი მოერია, სულ ეცრემლებოდა თვალები. ვცხოვრობდით ასე... რთულად, მაგრამ ერთად...

ერთხელაც, მოდის ნოდარი და გვიყვება, რომ სამსახურში მასთან მივიდა ერთი უცნობი კაცი, რომელმაც გულით გამოხატა დახმარების სურვილი, სახლში წაიყვანა, კარადები გამოაღო და უთხრა: „რაც გინდოდეს ოჯახისთვის, წაიღე“. მერე მიიპატიჟა სუფრასთან და პროდუქტებიც გამოატანა. დამშვიდობებისას კი – თქვენ გვერდით მიგულეთო – უთქვამს.

ადვილი მისახვედრია, ვისზეც გვაქვს საუბარი..

ნოდარისთვის ასეთ დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.. ეს რა ადამიანი გავიცანიო, ამბობდა... თვალებშიც იმედის ნაპერწკლები გაუჩნდა..

დღეს, სამწუხაროდ, არცერთი აღარ არის ცოცხალი და საჭიროდ ჩავთვალე მომეყოლა ერთი ჩუმად გაკეთებული სიკეთის შესახებ. მსგავსი სიკეთე ბევრი უკეთებია ბატონ ზურაბსა და მის ოჯახს.

ჩიქოვანების ოჯახი

ჯემალ აჯიაშვილი

ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე არსებულ მწერალთა კოტეჯებში ზაფხულობით დიდი ჟრიამული იყო.

90-იან წლებშიც გრძელდებოდა ტრადიცია, იმართებოდა შემოქმედებითი საღამოები, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე, თბილისიდან ჩამოსული მწერლები თუ პოეტები.

იმ ადგილს განსაკუთრებული ხიბლი აქვს, ამიტომაც დაუვიწყარია ის დღეები.

მთარგმენლებიდან გამოვარჩევდი დავით წერედიანის, გივი შაჰნაზარისა და ჯემალ აჯიაშვილის თანავარსკვლავედს. დიდი სიამოვნება იყო ბატონი დავითის არაჩვეულებრივი თარგმანების მოსმენა, რომელთაგან განსაკუთრებით ვიიონი გვიყვარდა. პუშკინის ცნობილი ლექსის „я вас любил"- ის შაჰნაზარისეული თარგმანი კი ზეპირად ვიცოდით.

იმ პერიოდში დავუახლოვდი წერედიანების ოჯახს, იგივე შემიძლია ვთქვა ბატონ გივიზე.

ერთ-ერთ ასეთ საღამოზე გავიცანი ბატონი ჯემალიც. ღონისძიება, როგორც ყოველთვის, სახლ-მუზეუმის გვერდით, ვერანდიან შენობაში ტარდებოდა და პოეტი შარლოტა კვანტალიანი უძღვებოდა ჩვეული შემართებით.

ბატონმა ჯემალმა წაიკითხა თავისი თარგმანები, ასევე, საკუთარი ლექსები. შემოქმედება ხომ მეტად მოსაწონი იყო, კარგადაც კითხულობდა, რასაც სასიამოვნო ხმის ტემბრი უწყობდა ხელს. შემდეგ ვერანდაზე გავედით. ოქ ორიოდე თბილი სიტყვა მითხრა ჩემს მინიატიურაზე „გადაუხდელი დაბადების დღე", რომელიც ორ სხვა ნაწარმოებთან ერთად წავიკითხე იმ დღეს. მერე დააყოლა: „ახლა გავიგე, გურამ პატარაიას დის შვილი ყოფილხართ, ბრწყინვალე კაცი იყო (ზუსტად ამ სიტყვებით მითხრა), მასთან ორი ისეთი მოგონება მაკავშირებს, მაგას სხვა დროს მოგიყვებით", – უფრო შესაფერი სიტუაცია იგულისხმა, ალბათ. რა თქმა უნდა, ძალიან მესიამოვნა, თან სამომავლოდ, გურამ პატარაიას ალბომის გამოცემა გვქონდა ჩაფიქრებული და იქ ვაპირებდი მისი მოგონების შეტანას.

ჩვენი შემდეგი შეხვედრა იყო თბილისში, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მისი ახალი წიგნის წარდგენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. წიგნის პრეზენტაციამ არაჩვეულებრივად ჩაიარა, სულ ბოლოს, ავტორის სურვილით, მეგრული სიმღერები გაჟღერდა. სახლში ძალიან კმაყოფილი დავბრუნდი ახალი გამოცემული წიგნითა და ავტორის წარწერით.

მერე იყო ისევ ქვიშხეთი. ერთხელაც, მწერლებში ჩასულს დამსვენებლები აფორიაქებულები დამიხვდნენ. უპატრონო კატა მომკვდარიყო, მანამდე იქ ბევრი ურბენია და ეჭვობდნენ, ცოფი ხომ არ ჰქონდაო – დიდი და პატარა ხაშურში გაიქცა აცრის გასაკეთებლად. ყველაზე მხნედ ბატონი ჯემალი გამოიყურებოდა, არც შრატი გაუკეთებია – არ ჰგავს ცოფსო, ამბობდა. როგორც მერე გამოირკვა, მართალი იყო. საერთო ფორიაქში დიდხანს ვერ გავძელი და მალევე დავბრუნდი სახლში. იმ დღესაც არ მომეცა საშუალება და არც იყო დრო სხვა რამეზე საუბრისა.

ამის მერე ბატონ ჯემალს აღარ შევხვედრივარ, მეორე წელს შეიძლება ავცდით კიდეც.. შემდეგ წელს დატოვა საქართველო, მერე კი... საუბედუროდ, წუთისოფელიც...

ვინც იცნობდა, ყველას გულს ტკივილიანად შეეხო მისი გარდაცვალება. გამორჩეულად ნიჭიერი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი იყო.

მისი სიტყვები კი ხშირად გამხსენებია და მიფიქრია, ნეტავ, რაზე უნდა ესაუბრა? რა ბრწყინვალე მოგონება ჰქონდა ჯემალ აჯიაშვილს გურამ პატარაიაზე? სამწუხაროდ, აქ მყოფნი ვეღარასოდეს გავიგებთ. ეს უკვე ორი უდროოდ წასული რჩეული პიროვნების საიდუმლოდ დარჩა...

შეხვედრა ჯემალ აჯიაშვილთან

„ნახევარი საქართველო ჩემი მეგობარია“

თენგიზ და **ნატო არჩვაძეებს** ზედმეტი წარდგენა არ სჭირდებათ. ალბათ მხოლოდ უნდა თანავუგრძნოთ იმათ, ვისაც ბატონი თენგიზი არც სცენაზე უნახავს და არც კინოფილმში. მისი ქალიშვილი ნატოც უნიჭიერესი მსახიობია, თუმცა, უნდა ითქვას, ისიც, როგორც ბევრი მისი თანატოლი, ჩვენი გაუკუღმართებული ცხოვრების მსხვერპლია.

გადავწყვიტე, მამა-შვილთან თავისუფალი ინტერვიუ ამეღო, ზედმეტი ჩაკითხვების გარეშე, უბრალოდ, კითხვა – პასუხი, არც კომენტარი და არც არაფერი ზედმეტი. ვფიქრობ, ასე უფრო უკეთ წარმოვაჩინე მათი პიროვნება.

– ბატონო თენგიზ, რომელი კინო თუ თეატრალური როლი გენატრებათ?

– არაფერი მენატრება, ოღონდ ბავშვები იყვნენ კარგად...

– სად უფრო საწვალებელი სამუშაოა – თეატრში თუ კინოში?

– მე თეატრში უფრო თავისუფლად ვგრძნობდი თავს. კინო პოპულარობას უწყობს ხელს, მეტი შესაძლებლობებია. მურმანსკში და, საერთოდ, რუსეთში, ქუჩაში მაჩერებდნენ... ორივე მძიმეა. საერთოდ, მძიმე პროფესიაა, პროფესიული თვალსაზრისით თუ მიუდგები, მთლიანად გითხოვს, ძალიან დიდი ნერვული ენერგია იხარჯება. ტექნიკურად კინო უფრო რთულია – დარში, ავდარში, თოვლში, წვიმაში, წყალში, ელოდები ამინდს, წვიმას, ლუკმაპურს. მთათუშეთში ვიყავით და უამინდობა იყო, ვერტმფრენმა ორი კვირით დაიგვიანა, საკვები ვერ მოგვაწოდა, ჩვენც არაფერი გვქონდა მომარაგებული. რეზო ინანიშვილის ერთ მოთხრობას ვიღებდით, „ფერმა მთაში“ ჰქვია...

– თქვენი განსახიერებული რომელი პერსონაჟი მოერგებოდა დღევანდელ საქართველოს და თქვენი რომელი გმირის ცხოვრებით ისურვებდით დღევანდელ საქართველოში ცხოვრებას?

– დღევანდელ საქართველოს ბატონი ზარანდია მოერგებოდა. თავით თხემამდე ქართველი კაცი იყო, მამულიშვილი. მერე რა, რომ ისეთი სამსახური ჰქონდა, საქართველოს გონიერი კაცის ხელი სჭირდება. ღმერთით, მოგვევლინა... იქ ხომ ამბობს, კაცი უნდა ეყოს ხელფასსო და არა ასე, ეს ჩვენი ბატონი ხელმძღვანელები რომ სულ თავისთვის ექაჩებოდნენ... შედეგიც მოიმკეს, არ ეგონათ, ასე რომ მოხდებოდა?! იმათმა საქციელმა არ დარაზმა ეს ხალხი? ყველაფრის უგულებელყოფამ, უნამუსობამ, ზომიერების არცოდნამ!..

– ოდნავ ახალგაზრდა რომ იყოთ, არ ჩაიცვამდით მუშნი ზარანდიას ცხოვრებისეულ მუნდირს?

– ალბათ ვერა. რაც შეეხება მუნდირს, არასოდეს მყვარებია, სამოქალაქო ტანსაცმელს ჩავიცვამდი. მუნდირის კაცი არასოდეს ვყოფილვარ.

– მუნდირი პირობითად ვთქვი, ზარანდიას ცხოვრებით თუ იცხოვრებდით-მეთქი?

– არა, ის სხვა პიროვნება იყო. მე უბრალოდ, განვახორციელე. ისევ ჩემი, თენგიზ არჩვაძის ცხოვრებით ვიცხოვრებდი. ყოველთვის რიგითი კაცის პოზიცია მერჩივნა და ასეც ვიყავი. არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ ვყოფილვარ და არც ვიქნები, არც არავის ვემხრობი. მამაჩემიც ასე ცხოვრობდა. მე მამაჩემის შვილი ვარ. ჩემი საქმე კარგი ლიტერატურა და კარგი ხელოვნება იყო. პოლიტიკა არასოდეს მაინტერესებდა.

ამასობაში ნატო არჩვაძეც შემოგვიერთდა.

– ბედნიერი ხართ?

– არა.

ნატო: – სადღაც წავიკითხე, ბედნიერება ისეთი რამ არის, რაც არა გვაქვს და რასაც ერთ მშვენიერ დღეს ვკარგავთო. როცა კარგავ, მერე გრძნობ, რაც არის ბედნირება... ალბათ, სილამაზე, სიმართლე, სიყვარული, ამ სიყვარულის აღქმის ნიჭია ბედნიერება.

– ბედნიერების ყველაზე მძაფრი განცდა როდის გქონდათ?

თენგიზი: – როცა შვილები, შვილიშვილები შემეძინა, ვიფიქრე, ბედნიერი ვარ-მეთქი, მაგრამ ეს არ ყოფილა საკმარისი.

ნატო: – ასე ერთი სიტყვით ვერ გიპასუხებთ.

– თქვენი რომელიმე კინო ან სცენური გმირი თუ არის ნამდვილად ბედნიერი?

თენგიზი: – არც ერთი.

ნატო: – მე არა მაქვს სახეების მდიდრული გალერეა... ალბათ, არა.

– რა იყო მუშნის უბედურება?

თენგიზი: – ქართველი კაცი რომ იყო.

ნატო: – ალბათ ის, რომ უნდოდა თავისი პიროვნული მე, თავისი კაცობა შეენარჩუნებინა და თავისი საქმეც ეკეთებინა.

– ყური მოვკარი, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს ფილმი „დათა თუთაშხია" არ მოეწონაო. თქვენ?

თენგიზი: – მე არც ერთი ჩემი ფილმი არ მინახავს. არადა, ბევრ სურათში მითამაშია.

– რატომ?

თენგიზი: – ამას ბევრი მიზეზი აქვს...

ნატო: – მე მომწონს.

– დღევანდელი გადასახედიდან, მსახიობობა რომ არა, რას აირჩევდით?

თენგიზი:– მე ვხატავდი. რა განსხვავებაა, იგივე მხატვარი ვარ, ოღონდ ეკრანული... ბუღალტერი ვერ ვიქნებოდი, ფული არასოდეს დამითვლია. იმიტომაც არა მაქვს.

ნატო: – მსახიობობა, ალბათ, ჩემი პირადული, სულიერი მდგომარეობის გამოსახვაა და დროს მნიშვნელობა არა აქვს.

– ორიოდე სიტყვით დამიხასიათეთ ძველი თაობის მსახიობები.

თენგიზი: – ზღაპარი ხალხი იყო, უმაღლესი რანგის პროფესიონალიზმი ჰქონდათ. პიროვნებები იყვნენ და ჩუმად, უხმაუროდ იღვწოდნენ.

ნატო:– მართალია მამა, პიროვნებები იყვნენ და ეს პიროვნებები და ჯიში გვაკლია ახლა.

– ღვინო უფრო გიყვართ თუ შამპანური, კონიაკი?

თენგიზი: – ღვინო, კახური ღვინო.

ნატო: – მეც.

– ყავის მსმელი თუ გქვიათ?

თენგიზი: – ა-პა-პა-პა, ყველა ყავის მსმელის შუბაც დავხიე.

ნატო: – მე ვარ.

– თქვენი მეგობრები ვინ არიან და საიდან მოდიხართ – უბნიდან, სკოლიდან, თეატრიდან?

თენგიზი: – ნახევარი საქართველო ჩემი მეგობარია, პროფესიას რა მნიშვნელობა აქვს. მე მოფარიკავეც ვიყავი, ცხენოსანიც... სპორტსმენი მეგობრებიც მყავს, ექიმები... ბერდია ბოკერია, სიმონიკა სხირტლაძე, ყველა ქართველი თამადა ჩემი მეგობარი იყო, ჭაბუა... პოეტები, მხატვრები...

ნატო:– მთავარია ენდობოდე და მის სოციალურ მდგომარეობას რა მნიშვნელობა აქვს.

– ქალაქგარეთ რა მიმართულებით გსიამოვნებთ გასეირნება?

თენგიზი:– ჩემი ტკივილია აქაურობა, თბილისის გარშემო, კუს ტბა. მზის ამოსვლას უძოს მთაზე შევხვედრივარ. ადით აბა ახლა უძოზე! ვაკის პარკიდან სამი საათი უნდა უძომდე, იქიდან კოჯრამდე ნახევარი კილომეტრია და კოჯორში, რაჭველ მეგობრებთან რომ დავეშვებოდი, ვა, ჩვენი თენგიზუკა მოსულა, კაცოო... ბეთანია ხომ ზღაპარია!

ნატო: – ძალიან დიდი სიამოვნებაა მამასთან ერთად ქალაქგარეთ გასვლა და მოგზაურობა, იმიტომ რომ ყველა მთის, ძეგლის, ქვის ისტორია იცის. ეს სითბო და სიყვარული მეც გადმომედო და გაზაფხულდება თუ არა, ერთი სული მაქვს, სადმე წავიდე.

– წელიწადის დროებიდან რომელი გიყვართ?

თენგიზი: – გააჩნია, ტანსაცმელი როგორ მიწყობს ხელს, ესე იგი, გაზაფხულ-ზაფხული. ჩრდილოეთ პოლუსზე ისეთი ტანსაცმელი მომცეს, შიგნით სპირალები ჰქონდა და ათბობდა. მატანდნენ, რა ვიცოდი ათეული წლების წინ ისეთ დღეში თუ ჩავვარდებოდით, თორემ როგორ დავტოვებდი!

ნატო: – მე ზაფხული მიყვარს.

– ვისი გეიმედებოდათ და გეიმედებათ ცხოვრებაში?

თენგიზი:– იმედი მხოლოდ დედის სიყვარულისა მქონდა. არანორმალურად მიყვარს და, ესე იგი, იმედი მაქვს შვილების, მაგრამ მათი იმედი ხომ მე უნდა ვიყო.

ნატო: – ღმერთის!

– თქვენ და სიმღერა...

თენგიზი: – სიმღერა დიდებულია, ხატია, ერთადერთია, შეიძლება იგივე იმედი დაარქვა სიმღერას. ძალიან დიდია, განსაკუთრებით ხალხური!

ნატო:– საოცრად მიყვარს სიმღერა და მოსმენა, მით უმეტეს, როცა კარგად ასრულებენ.

– ლამაზი ქალი...

თენგიზი – ყველა დედა, ვისაც შვილები ჰყავს.

ნატო: – და ზრუნავს თავის შვილებზე.

– ღალატი...

თენგიზი: – მე აკაკი ხორავასთან ვითამაშე სუმბათაშვილ-იუჟინის პიესაში „ღალატი". თვითონ ღალატის ფორმაა საზიზღარი.

ნატო:– საერთოდ არ მიყვარს ტყუილი. მე მგონი, ყველაზე შეურაცხმყოფელია, როცა გატყუებენ და ღალატიც ეს არის.

– ნატო, ორი სიტყვით დამიხასიათე მამა. ბატონო თენგიზ, შვილებთან ურთიერთობიდან რას გაიხსენებდით?

ნატო: – მამაკაცებში პატივს ვცემ კაცურ საქციელს და ჯიშს. ეს არის მამაჩემი.

თენგიზი:– იცით, რა მითხრა ჩემმა შვილიშვილმა? მაშინ ხუთი წლისა იყო. იპოდრომზე მყავდა, პატარა ცეცხლი დავანთეთ და შამფურზე ვაშლი შევუბრაწე. არც მიკითხავს, ისე თქვა: ბაბუ, იცი როგორ მიყვარხარ? როგორც ლუკმაპური და წვეთი წყალიო.

– თქვენი ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ცხოვრების გზაზე – ვინ შეგძრათ, ვინ გაგაოცათ

ყველაზე მეტად. როგორც დადებითი,ისე უარყოფითი მაგალითი.

თენგიზი: – მამაჩემის წყალობით პოეზიასთან ვიყავი ახლოს და... გალაკტიონმა! ძალიან იმოქმედა! მერე გიორგი ლეონიძემ! ბედნიერი ვარ, რომ ორივე გავიცანი...

ქართულმა უსინდისობამ იმოქმედა ძალიან!

ნატო: – დიდი დადებითი ემოციური სტრესი შეიძლება,ალბათ,მხოლოდ შვილმა და შვილიშვილმა გამოიწვიოს და იმ ადამიანმა, ვინც საოცრად გიყვარს, სიცოცხლეზე მეტად.

უარყოფითი ემოცია? – მეგობრის ღალატზე უარესი, ალბათ, არაფერია.

– გაჭირვების ჟამს ხომ არ გიფიქრიათ, რაღაც უფრო სარფიანი საქმისთვის მოგეკიდათ ხელი, ვთქვათ, სერიალების გახმოვანებისთვის...

თენგიზი: – ა-პა-პა-პა! ეგ არ გამაგონოთ!

ნატო: – იმდენად მძულს სერიალები, ეჭვი მეპარება, რომ მათი გახმოვანება შევძლო.

– ფულს როგორ მოიხმართ?

თენგიზი: – თქვენ?

ნატო: – დავხარჯავდი, ჩემზე გაჭირვებულს ხელს გავუმართავდი.

– რომელი ცხოვრება გირჩევნიათ, გუშინდელი თუ დღევანდელი?

თენგიზი: – უწინ ახალგაზრდაც ვიყავი და მეტსაც ვმუშაობდი, საშუალებაც მეტი იყო...

ნატო: – გუშინდელი...

– თქვენმა ახლობელმა, შვილმა, შვილიშვილმა საცხოვრებლად უცხოეთში წასვლა რომ მოისურვოს, რა განცდა დაგეუფლებათ?

თენგიზი: – მოიკვეთება ჩემგან!

ნატო: – ემიგრაციაში ჩვენ ვერ წავალთ. სხვათა შორის, მამას რომ დავყვებოდი გადაღებებზე, ისე გამიჯდა ძვალსა და რბილში!.. სულ მეუბნებოდა, ნახე, რა ხედია, ნახე რა ძეგლია... ეს შენია, ასეთი სხვაგან არ არისო...

– დღევანდელ ვითარებაში ქართული ხასიათი, მენტალიტეტი ხელს ხომ არ გიშლით?

თენგიზი: – მიშლის, იმიტომ რომ ძალიან ემოციური ვარ. მე სულით ქართველი ვარ, ჩემია ეს, სისხლი, ხორცი...

ნატო: – ქართული როგორ შეიძლება ხელს გიშლიდეს? რომელ ქართველსაც ხელს უშლის ქართული, იმან ვაჟას წერილები წაიკითხოს კოსმოპოლიტიზმზე.

– ბოლო ხანს რა წაიკითხეთ?

თენგიზი: – ვერ გეტყვით, რვა-ცხრა წიგნს ერთად ვკითხულობ, კაფკას, ხელახლა ვუბრუნდები მარკესს, ილია ყოველთვის მაგიდაზე მიდევს. ჩემი ინტერესების სფერო განწყობის მიხედვით იცვლება. ზღაპრებს ვკითხულობ და მერე კაფკას მივუბრუნდები.

ნატო: – მეც ასე ვარ, შექსპირის სონეტებს ვკითხულობ და სტუდენტებთან ვაჟას შემოქმედებაზე ვმუშაობ. სულ დაბეჩავებული, ემოციებისგან დაცლილი რომ ბრუნდები შინ და შექსპირს და ვაჟას წაიკითხავ, მერე ყველაფერი ბევრად გიადვილდება.

– თქვენი ცხოვრების წიგნი...

თენგიზი: – ბიბლია, სახარება.

ნატო: – ჩემი ცხოვრების წიგნია ის, სადაც სიბრძნე და სიკეთეა.

– თქვენ და...

თენგიზი: – გალაკტიონი!

ნატო: – ვაჟა!

– თქვენი დამოკიდებულება თბილისობასთან?

თენგიზი: – სპექტაკლის გარდა დადგმული არაფერი მიყვარს, არც არასოდეს ვყოფილვარ რიყეზე,თუმცა რიყე სადღაა, მუდამ შინ ვიკეტებოდი. ჩემი ზეიმი მაშინ არის, როცა ქალაქი მოვლილია, თავისი კანონებით ცხოვრობს და ასეთ ცხოვრებას ხელს არ უშლიან.

ნატო: – ადრე რომ ვზეიმობდით, ის უფრო მომწონდა.

– მთაწმინდის პანთეონი...

თენგიზი: – იქ მხოლოდ ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი უნდა იყვნენ.

ნატო: – მთაწმინდა ჩემი ბავშვობაა, იმიტომ რომ სოლოლაკში გავიზარდე და ბებო სულ იქ მასეირნებდა. ის საყდარიც ძალიან მიყვარს, რაღაც იდუმალი საკანი იმ სულიერებისა, რომელიც ნელ-ნელა იკარგება.

– ღირსების ორდენზე რას იტყვით?

თენგიზი: – მე რომ გადმომცეს, არც დადებითი, არც უარყოფითი ვნება არ მქონია.

ნატო: – მე მგონი, ღირსება ადამიანს უნდა ჰქონდეს.

– თქვენი აზრით, რუსთაველის პრემია გამორჩეული ღვაწლისთვის უნდა გაიცეს, თუ როგორც დღეს არის, ლამის რიგრიგობით რომ რიგდება?

თენგიზი: – რუსთაველის სახელს ხშირად არ უნდა ვატრიალებდეთ. თუ არაფერი გამორჩეული შეიქმნა, მაშ, რატომ ვანიჭებთ? ეტყობა, არც ჩემთვის უნდა გადმოეცათ ეს პრემია.

ნატო: – ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას რა სჯობს, სადაც ყველა ლაურეატი ნიჭიერია. მე, მაგალითად, მეამაყება ასეთ ქვეყანაში ცხროვრება.

– დასასრულს, ბატონო თენგიზ, რატომ უყვარხართ ხალხს?

თენგიზი: – არ ვიცი.

ნატო: – საერთოდ, ადამიანები სხვას პატივს სცემენ რაღაც კონკრეტული თვისებების გამო, ალბათ, მამაჩემსაც აქვს ასეთი თვისებები.

საუბარს უძღვებოდა **დავით ჭელიძე**

პოეზია

ნინო ღაჩბაისელი

ვამბობდი, მიყვარხარ!

დრო იყო, ჯერ არც კი გიცნობდი,
და მაინც გეძებდი, გიხმობდი,
იმ წარსულს ცოდვა ვით ვუთვალო,
უყურო ვიყავ და უთვალო,
და მაინც, არ ვიცი,
რის გამო
ვამბობდი: – მიყვარხარ, უფალო!

და ერთხელ სიზმარში გიხილე,
შევკრთი და ვერა გაგიმხილე,
ან უფალს რა როგორ უფარო,
მის წინ უღონო ხარ, უფარო...
ვიდექ დაბნეული,
ვთრთოდი და
ვერ გითხარ: – მიყვარხარ, უფალო!

სიკვდილ-სიცოცხლესთან ვცილობდი,
მიჭირდა და ახსნას ვცდილობდი,
დღე მედგა, გულთან მოუბარო,
უმზეო, უმთო და უბარო...
– მიშველე, მომხედე,
შემინდე! –
გიხმობდი – მიყვარხარ, უფალო!

შენდობას, ო, როგორ ველოდი!
გთხოვდი და არაფერს მშველოდი,
გაგიხდი მე უარმყოფელი,
ვირჩიე ეს წუთისოფელი
და მაშინ გითხარი:
არ ვიცი,
მიყვარხარ თუ არა, უფალო!

არ იყო შენდობა ადვილი?
შენ ახლო ვერ ვპოვე ადგილი.
,,ძვირფასი – არის სულ უფასო'',
ელოდე, შენსას ულუფასო! -
რატომ-ღა მასმინე,
მანანე!
გითხარი: – არ მყავხარ, უფალო!

ან გული ვის უნდა ვუხარო,
ან თავი ვის უნდა ვუხარო,
ვარ უქონელი და უვალო.
ვერ გპოვე გზავ, სავალ-უვალო,
შენ ჩემსას ვერასდროს
გაიგებ
უფალო, უფალო, უფალო!

ჰოდა,
რაკი ახლა,
როგორც იქნა, მისმენ,
გეტყვი,
რასაც მივხვდი ამასობაში:
მე, ასე თუ ისე, მესმოდა შენი,
განვიცდიდი შენს ტკივილებს,
და ყოველ გახსენებაზე მეტირებოდა.
იმას კი ვერ ვხვდებოდი,
რომ ჩემსას შენ ვერაფერს გაიგებდი,
რადგან მცირე ტკივილის მცნობელს
დიდის წარმოდგენაც შეუძლია და თანაგრძნობაც,
შენთვის კი,
შენთვის,
სამყაროსხელა ტკივილის გადამტანისთვის,
აბა, რა იქნებოდა ჩემი ქალური სატკივარები!
შენ ეკალ-ბარდებიდან და მორევიდან,
ცეცხლიდან და კლდისპირიდან
უვნებელი გამოგყავდი,
მე კიდევ, ნაკაწრები მეწვის და
თან სული შემიბერე-მეთქი...
და
ამის აღმომჩენმა შვებით ამოვისუნთქე...
რას ვიზამთ,
ასეთი გამოდგა ჩვენი სიყვარული:
ორივე მხრიდან – ცალმხრივი.

შენ, ძალო, გამძლებო მრავლისა,
შენ, გზაო შენივე მრევლისა,
ყოფილხარ კეთილისმყოფელი,
გულში გაქვს ადგილ-სამყოფელი,
ხმითა და უხმოდაც
მოგიხმობ:
– მიყვარხარ, მიყვარხარ, უფალო!

ასე მტერი დაგეცალოს!

(ხალხურ მოტივებზე)

ღვინობისთვე რო დადგება,
დაიძვრება ქარებიო,
ერთიანად გაიყოლოს
ჩვენი მინაქარებიო.

გიორგობის თვეც მააწევს,
მოუმატებს წვიმასაო,
ვისაც ჩვენი ბედი შურდეს,
ჩვენი დარდიც იმასაო!

გიორგობაც მაილევა,
ქრისტეშობის ჯერიაო.
მტყუანს იმან დაუჯეროს,
ვისაც დაუჯერიაო!

ქრისტეშობის დღეც ჩაივლის,
წინ ახალი წელიაო.
სხვაც ჩაუთქვას – არ ასცდება,
ვისაც რა უწერიაო.

ხვავი მოგცეს, ჯანი მოგცეს,
ფარი, ფარა, ფართალიო,
ასე მტერი დაგეცალოს,
თუ გული გაქვს მართალიო!

ლამის

(ციკლიდან: ეტიუდები)

წუხანდელი
– უჩემოდაც გადახდილა!
ღამე სარქველგადახდილი –
– აი დილა!

სიცივისგან დახორკლილი
ლურჯი მკლავი,
თვალში ცრემლი –
მთელი ყოფის ამრეკლავი.

ბალახის ღერს
დილის სიო ანანავებს,
მოწყდეს ლამის
ღერის წკიპზე მოქანავე
წვეთი ნამის.

გასაქცევ-შესაქცევისა

თუ სამშობლო
ისე გიცქერს,
ვით ავქალი – გერს,
თუ გულს გიკლავს
დღენიადაგ,
მისთვის ანაძგერს, –

– შეგიწირავს,
თუკი დროზე
ვერსად წაუხვალ.
რაც დღეს არ გაქვს,
ნუ გგონია,
მოგეცემა ხვალ.

გამოსავალს –
ვეღარ ვხედავთ,
– მხოლოდ გასავალს.
ხსნას ველით და
ემატება
ვალი ისევ ვალს.

ყველამ იცის,
უჭირს, უჭირს
ძალიანაც ერს.
ზოგი,
ვითომც არაფერი,
მაღლა იშვერს ცერს.

გატოკდები?! –
– მიგასრესენ,
ვით მინაზე მწერს...
ნინომ რა ქნას,
აჰყვა წერას –
– შესაქცევად წერს.

ვისაც უნდა,
აუხსნელი
გაიგოს და ხსნას! –
– უწინდელი
გაიხსენეთ:
„– ღმერთი მოგვცემს ხსნას!"

ნინო მოდხეჯილაძე

გპოვე, უფალო

ბევრი ძებნა-წვალების მერე
გპოვე, უფალო...
გზააბნეული, გაყინული
ბევრჯერ გეძახდი.
(ვითხოვდი შველას...)
მაგრამ მაშინ აღმოგაჩინე,
როცა ხელგაწვდილს
შევაგებე ჩემი მარჯვენა...
და მივხვდი, ღმერთი
სხვის თვალებში თუ დაინახე,
შენც გეშველება,
შენც გაივლი სიყვარულის გზას
და ამაღლდები!

ოღონდაც

ახსენით ჩემს მიწას მარწუხი,
მიჯნა და საზღვარი არ მინდა!
საწუთრომ გამაბა მახეში,
სული კი ჩიტივით გაფრინდა...
მივტირი ხავსისფერ ჩეროებს,
კენჭებად დაშლილა კლდეები,
ამბობენ ცის სადღეგრძელოებს,
მე მიწას ვმონებ და ვნებდები.
ჩაშლილ გალავნებში დარდს ვმარხავ,
მინდვრებად გაშლილა ნისლები
და თითქოს აწმყოში აღარ ვარ,
დღეს უკვე წარსულად ვითვლები...
ლეგენდებს წყაროს წყალს გავატან,
ოდესმე რომ დიდი ყოფილხარ,
მეც ვეტყვი ჩემს შვილებს არაკად
და ისეთ ტკივილებს მომიტანს...
ის, რასაც დღეს ვეღარ ვპატრონობ,
ამ მხრებით რად ვეღარ გერევი,
სინდისი დამპყრობელს არ ჰმონებს,
ბორკილით დამიბეს ხელები...
ჩემს მიწას ახსენით მარწუხი,
ცისპირს წითელი მზე ასხივებს,
ოღონდაც სიცოცხლის ბოლომდე
ქართული გალობა მასმინეთ!

განწყობა

მგლისფერი გამხდარა ცხოვრება,
ცხონება სულს, აბა რად უნდა,
დაბრუნდა სევდა და ორფერი
ღრუბლები, შავ- თეთრი, მარგუნა...
ზამთრისპირს სამყაროს დუმილი,
აღარ მეუცხოვებ-დარდება,
ავივსებ ხელისგულს ნისლებით
და მთებს მიმოვავლებ ბლანდებად.
სადა ხარ, სადა ხარ, გეძახი,
ვერ გავხდი ლაჟვარდის სიმაღლე...
რა შორი ყოფილა ზეცამდე,
რა ძნელი – ღირსებით... მიწაზე.

მრავალწერტილი...

ტალახს ნუ შეაყრი ანგელოზს, ციციკორე,
ყველას ხელები გვაქვს ცოდვიანი,
ბედი ცაში წყდება, ბედი, თორემ...
უცოლოც კაცია და ცოლიანიც...
ფუფალა თუ მოარღვევს ოღრო-ჩოღროს,
წუმპეს აიტაცებს კაბის კალთა,
შიოლა... ყველასია, ყველა გოგოს
უნდა კაცი სწორედ მაგისთანა.
გთხოვ, ნუ შეაფურთხებ, ანგელოზს, ციციკორე,
შენც ხომ ხელები გაქვს ცოდვიანი,
ბედი ცაში წყდება, ბედი, თორემ...
უცოლოს ერქმეოდა ცოლიანი...
ლოდებთან დაჩოქილს, ნანგრევთან სიკვდილი,
ჩაქოლილ ანგელოზს დასცქერის ქვის ყორე,
ერთადერთს, ერთადერთს, დაკარგულს მივტირი,
სული, ტალახისთვის ცოდვაა, ციციკორე...

გამითბე სული

თვალი დავხუჭე,
მზის ბილიკს მივდევ,
ათინათების რიგი ჰქონია,
დავისაკუთრე
უმანკო სივრცე
და შევეზარდე
მელანქოლიას...
იისფერ ზეცას
აუდგამს ფეხი,
ქალამნებს ვუქსოვ
და თვლები მიმდის,
მიწა კი ღრუბლებს
ასკდება ლექსით,
ნისლების ურდოს
აწყურებს პეშვით...
მხოლოდ ეს ერთხელ
გამითბე სული,
თორემ ზამთარი
სარეცელს მტაცებს,
დავდივარ მარტო
და ვეძებ მზის ფერს,
ყვავილობისთვე
შეუსვამთ ატმებს...

ნაბიჯებია ჩვენი ცხოვრება

ნაბიჯებია ჩვენი ცხოვრება,
მოვდივართ დარდით, იმედით, რწმენით,
დაბადებისას უნდა ვიტიროთ,
სიცილ-ტირილით ვცოცხლობთ და ვკვდებით.
ერთი ლოცვაა წუთისოფელი,
მოვალთ და წავალთ განგების ნებით,
ჩვენი დღეები შედევრებია,
მოხატულები ზეციურ ხელით.
ძალიან გვიყვარს და გვძაგს ძალიან,
ვერ გავარკვიე, ჯაბნის რომელი,
შეუცნობლობის შეცნობის ჟინი
სისხლივით გვიდუღს, დაუდგრომელი.
ვალებს ვიგროვებთ, ვისტუმრებთ ჯაფით,
ო, ღმერთო, შენი ნუ მევალება,
და სიყვარულსაც ისეთს ითხოვენ,
მე რომ ვერასდროს ვერ მეყვარება...
დღეს არ გავარჩევ მტყუანს და მართალს,
ქარები ცოდვებს მომაგებებენ,
ხანდახან დარდით ცხოვრება მზაფრავს,
ხან კი ფიქრები არ მასვენებენ,
ჩემი ნაბიჯი გახდება კვალი?
დღეები ფიქრებს მიასკეცებენ,
ჩემი გაზრდილი ალგეთის ლეკვნი,
ივარგებენ და იქართველებენ?

ოთხი დრო ოთხ ტაეპში

ნუშის ტოტებში შეყუჟულა ეს გაზაფხული,
ზაფხულს კი მორცხვად შეჰპარვია ფერი იისა,
ხაპიდან — დოქში იზმორება შემოდგომა და
ზამთარი ბილიკს ეპარება გამთენიისას...

ზამთრისპირულის ფერია

განწყობა ამინდისდარი,
დარი არ ეთქმის თქეშია,
თუ არი, რაისთვის არი —
ზამთრისპირულის ფერშია...
სიცოცხლეს ვამბობ, თორემ რა
სიკვდილით იქნებ ჩამოთბეს,
ერთია, —
არა მგონია,
რომ უწვალებლად ჩამოდგეს.

პროზა

ლეილა ჟიტოშვილი-
სახლთხუსიშვილი

კუნძული ყველასთვის

„სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა...“

შოთა რუსთაველი

უკვე ას წელს ითვლიდა; კარგა ხანია, უმეტეს დროს საწოლში ატარებდა; ჯოხზე დაყრდნობილი, ოთახებშიღა ახერხებდა ფრატუნს, ისიც ცოტა ხნით – მალე იღლებოდა...

ლოტკინის გორაზე,თავის აშენებულ სახლში ბევრნი ირეოდნენ, განსაკუთრებით მოზარდები – ღმერთმა ამრავლოთ!.. ზოგს ვერც კი სცნობდა, მაგრამ ამაზე აღარ დარდობდა... ოთხი შვილიდან შემორჩენილ ორ შვილს – ყველასგან გამოარჩევდა, ერთი სამოცდათვრამეტისა იყო,მეორე – სამოცდათერთმეტისა... დედასა ჰგავდნენ, რუსუდანს; მასავით საშუალოზე მაღლები, ღიმილიან-დალოცვილები იყვნენ...

– ეჰ, ნეტა იმ დროს! – რუსიკო რომ მოეწონა, ძილი რომ დაუფრთხა და დღე და ღამ, უბნის ინსპექტორივით, სულ იმათ სახლთან ტრიალებდა... – სიყვარული? – იყო, ჰქონდათ,– ოღონდ საკუთარი, მათებური... იმას,რასაც დიდი ტელევიზორის ეკრანზე ხედავს, თამაშად და უცხოდ ეჩვენება; სიყვარულისა აბა,რა სცხიათ?! ეგ არის, კარგად არიან გაწაფულები ხვევნასა და ლოშნაში... ახლა ჩასაცმელი? რასა ჰგვანან... საკუთარ ბადიშებს შეჰყურებს და ვერ იგებს, რატომ აცვიათ მუხლებსა და ბარძაყებზე გამოხეული ჯინსები – თითქოს არა შიათ, არა სწყურიათ, ამის გაჭირვება არა აქვთ.... ერთ-ერთმა რაღაც მიუკიბ-მოუკიბა,თავმომწონედ აუხსნა – მოდაშიაო და ამდენი და ამდენი ღირსო!.. იმ დღეს ერთი ჟურნალისტი მოვიდა – ინტერვიუს ჩასაწერად, იმასაც ასეთივე ფარღალალა შარვალი ეცვა?!.. დაუჯდა წინ და კითხვებით გაასავათა; პასუხებს, როგორც შეეძლო, სცემდა, მაგრამ მაინც რაღაცნაირად მორიდებით – იმ დროში დაბადებულ-გაზრდილისათვის, სამშობლო თქვენთვის რა იყოო? – აბა, ეს კითხვაა?! – სამშობლო რომ „ერთია ქვეყანაზედა“, ამას კითხვა უნდა?! ანდა, ჩვენი ტრადიციები რომ ჩვენია და მოფრთხილება სჭირდება, განა ეს საკითხავია?!.

მამაპაპეული, ორნამენტებით დამშვენებული, ვერცხლის ხანჯალი თავისკენ,– ლეიბის ქვეშა აქვს ამოდებული!.. უცნაურობად უთვლიან, თუმცა ვერავინ უბედავს იქიდან მის აღებას; იციან, ამას რა ამბავიც მოჰყვება; ესე უნდა და მორჩა! – რად უნდა? – გარკვეული პასუხი არა აქვს... – ვითომ,თავს იცავს? – მაგრამ, ვისგან ან რისგან?! – არაა! – მასში სამშობლოს წარსულს,წინაპრებს,სიამაყესა და თავის კაცობას ხედავს... შიგადაშიგ,როცა ფეხზეა, ბალიშებს გვერდზე გადააწყობს,ლეიბის თავს ასწევს,ხანჯალს სათუთად აიღებს,ხელში შეატრიალ-შემოატრიალებს, მოეფერება და ისევ თავის ადგილზე დაასვენებს...

გარშემომყოფები თავს ევლებოდნენ, მაგრამ რა – აღარ იცოდა, უნდოდა თუ არა ეს გადაჭარბებული ყურადღება, ადამიანური მიეთმოეთი...

ყოველ კვირა თუ არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც, ბანაობა გამოწერილი ჰქონდა; – რა დიდი ომის გადახდა და რა ბანაობა?!.. დასძახებდა თუ არა არჩილა ომახიანად:– მამი,რა გუნებას ეკითხები? არ იცი,რომ საჭირო და აუცილებელია?! აბა, რამენაირად მოინდომე, ცოტა შეწუხდი და ჩვენც შეგვიწყე ხელი, ჩვენც ცოდონი ვართ; სად გაგონილა ამაზე „არ მინდას“ ძახილი?!. – დაა,საკითხიც დადებითად გადაწყდებოდა; დარეკავდნენ იმასთან, იმასთან – რა, სირანასთან და ისიც ნახევარ საათში იმათ ჭიშკართან იდგა თავისი მოყვითალო ჩანთითა და დალოცვილ მკერდზე ქარვის მძივითა... იმის დანახვა და ხასიათის გაფუჭება ერთი იყო!.. – შვილები დიდის ამბით შეიყვანდნენ აბაზანაში; მერე სირანა მკლავებს დაიკაპიწებდა, – ჯანიანად შეუდგებოდა ზურგისა და ტანის ხეხვას... თავზე ხო – ისე უსვამდა ხელებს, რომ ლამის

ძირს აგდებინებდა... ისე სწრაფად ამშრალებდა, რომ ნეკნები სტკიოდა... ისევ დიდის ამბით გამოიყვანდნენ და საძინებელ ოთახში შეაბრძანებდნენ...ჭამითაც... – ჭამდა, ხან ზედმეტი ხვეწნა-მუდარის გამო, ხანაც აუცილებლობა ააღებინებდა ხოლმე ხელში კოვზსა და ჩანგალს... ამას ხო ჭამა არ ერქვა, იცმუცნებოდა რა „ბებრულად“! – პროთეზი? – რა სათქმელია, გერმანული ჰქონდა! – შვილები თავს იწონებდნენ თავიანთი „მარიფათობით“...

გერონტი მიუხვდა გულის წადილს და რამდენიმე წლის წინ ერთი კარგი რადიო დაუდგა, სხვადასხვა არხს იჭერდა! ისე დაუმეგობრდა, რომ მის გარეშე ვეღარა ძლებდა; განსაკუთარებით მუსიკალური გადაცემები მოსწონდა...

სიმღერა უყვარდა, სმენაცა ჰქონდა და სასიამოვნო მეორე ხმაც, მისი კერპი ჰამლეტ გონაშვილი იყო... – „დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან“... – გამორჩეულად უყვარდა; პირველივე წუთიდანვე, ტანში, ენით გამოუთქმელი ჟრუანტელი დაუვლიდა... სხვანაირი სიმღერებიც მოსწონდა, რაღაც სიტყვებიც ჰქონდა დამახსოვრებული და ხანდახან, როცა ხასიათზე იყო, წაიღიღინებდა: – „გააქროლე, მეეტლევ, ლურჯა ცხენები! / მე თბილისის აივნებს მოვეფერები!“... / „შეგხვდები და თვალს გარიდებ, / ვერ გარიდებ გულს“!.../

ახსოვს, მას მერე, რაც სამეგობრო-სანაცნობოდან თითო-თითოდ შემორჩნენ ერთმანეთს, სულ სხვანაირად, ხმადაბალ ცრემლებამდე დაიყვანდნენ ხოლმე გამორჩეული სიმღერის სევდიან ფრაზებს: – „მიგორავს, ბორანი მიგორავს, / მიგორავს და ნელა მიდის... / ცხოვრებას თავის წესი აქვს, /მიდის და ტოვებს ნაკვალევს.../ ცხოვრება მართლაც ფანდია, / ბოლოს პირღია სამარე“.../

თვალზე ცრემლმომდგარი ისმენდა: აკაკის, გალაკტიონის, გოგლას... უშანგის ვერიკოს, ეროსის... ხმას; ვანო სარაჯიშვილის, დათკა გამრეკელის, დავით ანდღულაძის შესრულებულ საოპერო არიებს...

ერთიმეორეზე აკოკოლავებულ ბალიშებზე მისვენებულს ერთადერთი საფიქრალი ჰქონდა: – სად და როგორ გაეპარა ცხოვრება?! – ასე ადვილი იყო ამის დადგენა?!.

მეხსიერებას ხშირად უწყობდა გამოცდას, ფიქრით ხან რას გადასწვდებოდა და ხან რას; ნათლად ახსოვდა მშობლები, და-ძმები... დედა – ლამაზი, გულკეთილი, კარგი მოქართულე, მეოჯახე – ისეთ გემრიელ საჭმელებსა და ნამცხვრებს ამზადებდა – ჭამით ვერ გაძღებოდი!.. ხშირად უჯდა ზინგერის ფირმის საკერავ მანქანას და ქმარ-შვილს სიყვარულით უკერავდა შარვლებს, ბლუზებს, კაბებს...

შაბათ-კვირას მამის მეგობრები მოდიოდნენ; თამაშობდნენ ნარდს, საუბრობდნენ ნანახ სპექტაკლებზე, წაკითხულზე... რამდენიმე ჭიქა „რქაწითელსაც“ გადაჰკრავდნენ; გიტარაზე „დები იშხნელების“ უცვლელ რეპერტუარს დაამღერებდნენ... შეზარხოშებულები, შეღამებულზე დაიშლებოდნენ...

თავადაც მამასავით იქცეოდა. მოიცლიდა თუ არა, რუსუდანი ბავშვებს გამოპრანჭავდა და – სულ სიცილ-კისკისით ჩაივლიდნენ ვარაზისხევს... აუყვებოდნენ ცირკის კიბეებს, შევიდოდნენ გაჩირაღდნებულ დარბაზში და გულისფანცქალით შეჰყურებდნენ ჰაერში მოქანავე მამაც აკრობატებს, ცხენებზე მოჯირითეებს... გაწვრთნილ ძაღლებსა და დათვებს... ერთხელ ლომი და ვეფხვიც ნახეს...

ახსოვს... შიმშილი, გაჭირვება, შიშიანობა – ჩურჩულით საუბრები... დამთავრებული ომით გამოწვეული სიხარული... სტამბის თანამშრომლებთან ერთად შვიდი ნოემბრისა და პირველი მაისის დემონსტრაციებზე გასვლა და სამთავრობო ტრიბუნისკენ გაღიმებული „ვაშას“! – შეძახილი... თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ზეიმი... გაგარინის კოსმოსში გაფრენა... სკოლის ეზო და ქართულის მასწავლებელი... პირველი შვილის დაბადებით გამოწვეული სიამაყე...

მაშინ რუსიკოს მშობლებთან ცხოვრობდნენ; ახსოვს, ქუჩის ბოლოში – შინსახკომელებს დაედოთ ბინა: რუხაძეს, რაფავასა და სხვებს... მათი ეზოს ალაყაფს სპეციალური დაცვა იცავდა, შიგნით ვინ შეგიშვებდა?!.. იქ შეღწევა მხოლოდ ერთხელ შეძლო, – ვარდის ბუჩქებისა და კვიპაროსების ბაღნარში მკვიდრად ნაგები, სვეტებით დამშვენებული სამსართულიანი საცხოვრებელი შენობა იდგა; თუ ხელმარჯვნივ წახვიდოდი, ლამაზ ნაძვნარში მოხვდებოდი, რომლის სიღრმეშიც თეთრად ანათებდა გადახურული ფანჩატური... იყო სიმყუდროვე და რაღაცნაირი იდუმალება; ტერიტორია აგურის მაღალი გალავნით იყო გარშემორტყმული... ჩინოსნები ფეხით არ დადიოდნენ – დილა-საღამოს მძღოლები, შეძლებისდაგვარად, უხმაუროდ მიასრიალებდნენ – იმდროისათვის გამორჩეულ „ზიმის“ მარკის მანქანებს... მათ ეზო-კარს ყველანი „რუხაძის ეზოს“ ეძახდნენ, ამას კრძალვითა და თან რაღაცნაირი მოგუდული ხმით ამბობდნენ...

– ეჰ, წავიდა, ყველაფერი სადღაც წავიდა, რძისფერ ბურუსს შეერია და წავიდა...

რამდენიმე თვეში ერთხელ „ბილობილს“ ასმევდნენ, ალბათ ისიც, რაც ახსოვდა, ამის ბრალი თუ იყო?!.. – რად გინდა ხმის გამცემი, დამლაპარაკებელი, თავისი ტოლი და სწორი აღარა ჰყავდა; ყველანი, რახანია, უკვე იქით, გაღმა გასულიყვნენ მარილზე... რამდენჯერ უსურვებიათ დღეგრძელობა და დიდხანს სიცოცხლე... წლები გავიდა, დღეგრძელად ითვლება, მაგრამ რასა და ვის მოახმაროს?!... მისმა რიგმა ვერა

და ვერ მოაღწია... სულ ახსოვდა – სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადო... უნდოდა, მართლა უნდოდა, ამ ვალის მოხდა... კარგად იცოდა, რომ ვალის შერჩენა, რისიც გინდა, არაკაცობაა!

ბოლოს, შვიდი წლის წინ იყო, შინაურები ძალიან რომ შეაშინა... შვილიშვილმა, დემნამ, სასულიერო აკადემიაში რომ ასწავლიდა, მოუყვანა მამა იოსები; იმან აზიარა, დალოცა და ჯანის სიმრთელე უსურვა, მას მერე ავადობის მხრიდან, პატარ-პატარა „გამოხტომები“ იყო; მალევე დაასევდნენ ექიმებს და ყველაფერი ისევ თავის კალაპოტში დგებოდა...

რახანია მობეზრდა ცხოვრებისეული ფაცი-ფუცი... პირი იქითა აქვს, გაუგებრობაშია ჩავარდნილი, სიკვდილ-სიცოცხლის გაუგებრობაში... „სიბერე-სიკვდილით გარშემორტყმული კუნძულიაო“... – შეიძლება ამაზე კარგადაც უთქვამს ვინმეს, მაგრამ წლებია ესა აქვს აკვიატებული!..

რამდენჯერ უცდია ეს კუნძული წარმოედგინა, თუმცა უშედეგოდ; სხვადასხვა წარმოსახვა მუდმივად ერთმანეთში ერეოდა და აქეთ-იქით ფეტვის მარცვლებივით ეფანტებოდა... ახლაც, ბინაში ჩამოვარდნილი სიწყნარით ისარგებლა და თვალები მილულა, გონება დაძაბა... თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ, ჟანგისფერი სივრცის ცენტრში ამობურცულმა კუნძულმა ნელ-ნელა ამოტივტივება დაიწყო... კარგად რომ დააკვირდა, ექსტაზის ფერხულში ჩაბმული დეფორმირებული მაჯლაჯუნები დაინახა – კიბო, ტუბერკულოზი, ინფარქტი, დიაბეტი, ლეიკემია... სხვები და სხვები; მათი კლოუნადა ამაზრზენი და გულისამრევი იყო; ამ უგულოებთან თხოვნა, მუდარა არასოდეს ჭრიდა... ჯერჯერობით ვერცერთი ვერ მორეოდა...

რა უნდოდა ამ სიბილწეში „პარასკევას“ ტყუილა ეძებდა?!.. წიგნის ფურცლებს შეფარებული, ახალი მკითხველის მოლოდინში ნებიერად გადაწოლილიყო რობინზონ კრუზოს მოწნული ლიანების ჰამაკში...

ყვითელი სივრცე წითელ-ყავისფერი მასის შენარევით დამძიმებულიყო... სადღაც, მარცხენა მხრის ჩაღრმავებიდან ორთქლის ხვეულები სანახაობას აბუნტებდნენ; მოულოდნელად ამტყდარი ქარი თეთრი ქულების ცხელ ფანტელებს აქეთ-იქით მიერეკებოდა...

მოხუცი ოდნავ შეირხა, შეეცადა, ისე დაეჭირა სხეული, რომ კუნძულისთვის ზემოდან დაეხედა – მოახერხა!.. – სიბერემ, მისი სახით, ქვემოდან ამოხედა; თითქოს შველას სთხოვდაო, ისე უმზერდა ნახევრად მოჭუტული თვალებით; სახე ღრმა ნაოჭებით დაღარვოდა, კანი ლაქებით, მეჭეჭებითა და მოწითალო ფერის ხალებით ავსებოდა... თმა სადღა ჰქონდა?! თავი ძველი, თეთრი ხილაბანდით წაეკრა; კისერი ბლის ყუნწივით წაწვრილებოდა... ხელებსა და ფეხებზე ცისფერი, მსხვილად ამომჯდარი ვენები რელსებივით სერავდნენ სიმწრით მოპოვებულ ფართობს... კარგა ხანია, საკუთარ „მეგობარს“ ვეღარა ხედავდა, ლეთარგიულ ძილს მისცემოდა, აღარაფერსა გრძნობდა, აღარაფერი ეყურებოდა... მხოლოდ წვერი, ბალანი და ფრჩხილები განაგრძობდნენ ზრდასა და ყელყელაობას; ვის რა ჭირად უნდოდა მათი თავმოწონება?!.

თვლემაში მიხვდა – სამოცდაათი წლიდან ამ დრომდე, როგორ თანდათან ვიწროვდებოდა კუნძულის რკალი, სიბერეს თავის არტახებში აქცევდა... ჯერ კი სიბერე ზეიმობდა, თუმცა რა ზეიმია თანამეინახეების გარეშე?!.. იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა, გამალებით დაუწყო ძებნა! არა, ისინი აქ არ იყვნენ; მიხვდა, უკლებლივ ყველა, მხოლოდ სიზმრებშიღა ახსენებდა თავს: იქ უხაროდათ, იქ წუხდნენ, ხვდებოდნენ უცნაურსა და ამოუცნობ ადგილებში...

ფეხის ხმაზე გამოფხიზლდა; ერთ-ერთმა რძალმა ლიმნიანი ჩაი შემოუტანა და პატარა მაგიდაზე დაუდგა, სამზარეულოდან გამოპარულმა ხარჩოს მადის აღმძვრელმა სუნმა ცხვირის ნესტოებს საამოდ შეუღიტინა; – შიოდა?! – ისევ გუნებას ეკითხებოდა...

სარკმლიდან სიოს შემოყოლილი ფუტკარი ზუზუნით იკლებდა ოთახში მომყუდროებულ სიწყნარეს; ცოტა ხნით გაერთო მისი გზააბნეული ფრენით... ფუტკარმა იფრინა და ბოლოს, მაინც თავისუფლებას მისცა თავი – რომელიღაცა ღრიჭოდან უკანმოუხედავად გაუჩინარდა... რამდენჯერმე ყლუპებად მოსვა ჩაი; მერე ჭერს თვალები მიაბჯინა და უნდოდა თუ არა, კვლავ ფიქრებსა და მოგონებებში ჩაიძირა; ერთადერთი ეს იყო, რაც არ ეზარებოდა. ისევ იმ კუნძულს დაუწყო ძებნა; უნდოდა კარგად დაკვირვებოდა, იქნებ წინდაწინ ამოეცნო რამე... იქნებ?!..

ამ ბოლო დროს, მოხუცით ერთი ახალგაზრდა ფოტოხელოვანი დაინტერესდა – ფოტოსესიისთვის ტიპაჟს ეძებდა, კითხვა-კითხვით მიაგნო და მას მერე რამდენჯერმე მოვიდა; ფოტოაპარატს აჩხაკუნებდა, ყველა მხრიდან იღებდა მის დაღლილსა და ნაოჭებით დაღარულ სახეს... წლების შემდეგ, ფოტოებსღა შემორჩება მისი მრავლისმეტყველი გამოხედვა – საკუთარ თავში ჩარჩენილი უმისამართო ლოდინით!..

სადღაც, სულის ლაბირინთებში, მაინც ზეიმობდა მზის სხივით დამუხტული სიცოცხლის მწვანე კუნძული.

ოქტომბერს შემოდგომის ფერები მოერგო; ჰაერი სითბოსა და სიყვარულში გარინდულიყო!..

ხათუნა ჰუტაშუხი

შეხვედრა მწერალ ნიკოლაოს ზომბარტთან

მწერალ ნიკოლაოს ზომბარტთან შეხვედრის იდეა ბერლინის უნივერსიტეტში პროფესორ შტეფი ხოტივარი-იუნგერთან საუბარში დაიბადა. ქალბატონი შტეფი ჰუმბოლტის უნივერსიტეტში ქართულ ენას ასწავლის გერმანელ სტუდენტებს. როგორცვე შტუტგარტში ჩემს დამფინანსებლებს შევჩივლე, სტიპენდიას ნულარ გამიგრძელებთ, აქ ვერაფრის გაკეთებას ვერ ვახერხებ-მეთქი, ჩამომაკითხეს და მირჩიეს: შტეფისაც დაუკავშირდიო.

ქალბატონმა შტეფიმ კეთილად მიმიღო, ფართოდ გამიღო თავისი ყველა აუდიტორიის კარი, დამასწრო თავის ლექციებს, ენის ცოდნის გასაღრმავებლად ტანდემი შემომთავაზა თავის სტუდენტთან: შტეფანია ბეკმანთან, სამსახური კი ქართულ-გერმანულ ოჯახში მიშოვა: ქართულად უნდა მესაუბრა ბავშვთან,რომ-ლის ოჯახიც თბილისიდან ბერლინში გადავიდა საცხოვრებლად. შტეფისაც ქართველი მეუღლე ჰყავს და ორი ქალიშვილი, ქმარზე ხუმრობით ამბობს, რომ ის ყველას ჩემსავით გერ-მანელი ჰგონია, მე კი – ქართველიო. საჩუქრად წიგნი გადმომცა, წამაკითხა თავისი პუბლიკაციები ჟურნალებში, მათ შორის, გრიგოლ რობაქიძისა და ნიკოლაოს ზომბარტის მიმოწერა. დამპირდა: ერთ-ერთ ლიტერატურულ სალონზე ვეწვიოთ და ნიკოლაოსს პირადად გაგაცნობო. ნიკოლაოს ზომბარტი ცოცხალია!? გრიგოლ რობაქიძე – ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას დისიდენტობაში გაცოცხლებული მითიური სახელია და, ნუთუ მისი მეგობარი დღემდე ცოცხალია, ნუთუ შეიძლება მე მას შევხვდე და ვესაუბრო?!.. მზად არასდროს ვიქნები ასეთი შეხვედრისთვის, ამაზე აღარ უნდა მეფიქრა...

ვერც ქალბატონმა შტეფიმ შემაცვლევინა გადაწყვეტილება: ერთი წლის შემდეგ, სამშობლოში დავბრუნებულიყავი. დაბრუნების დრო კი მოახლოვდა. ქალბატონ შტეფის ძველი პირობა შევახსენე,ვერ მოიცალა,მხოლოდ ტელეფონი გადმომცა და ამ სიტყვებით გამამხნევა: დაურეკე ნიკოლაოსს, ჩემგან მოკითხვა გადაეცი და მარტო ესტუმრე, დამიჯერე, ეს პრობლემა არ იქნება.

დავრეკე, აღარ მიკითხავს ჩვეულებრივად: ვის ვესუბრები-მეთქი. ვიგრძენი, რომ ეს მხოლოდ ნიკოლაოს ზომბარტის ხმა შეიძლებოდა ყოფილიყო. მისი ხმა ტელეფონში წარსულის მითიური გვირაბიდან ჩამესმა, თითქოს, ხმა ცოცხალს აღარც ეკუთვნოდა, ვიგრძენი, ტელეფონის ამ გვირაბიდან თვით მარადისობა დამელაპარაკა, თავისი ზარით კიდევ ერთხელ გამაფრთხილა. ღელვამ მომიცვა. მოკლედ ვუამბე ჩემს შესახებ და, ისიც ვუთხარი, რომ მასთან შეხვედრა მსურდა. მითხრა, რომ ლიტერატურული სალონი ნოემბრამდე არ შედგებოდა. ვუთხარი, რომ სექტემბრის ბოლოს საქართველოში ვბრუნდებოდი: – მაშინ დღესვე მოდი, – უყოყმანოდ დამთანხმდა. პირობისამებრ, საღამოს ექვს საათზე შემეძლო მასთან სტუმრობა და დიალოგი. მღელვარებისგან სუნთქვა შემეკრა, მაგრამ უკან ვეღარ წავიღებდი თხოვნას,დავპირდი:– აუცილებლად მოვალ-მეთქი. მაშინვე ახალ მეზობელს კინგა პიატკოვსკას მივუკაკუნე კარზე: – ოღონდ უარი არ მითხრა მეგზურობაზე, ისე ვღელავ, შეიძლება, გზაში დავიკარგო. – გზის ფულს თუ გადამიხდი, წამოგყვები, მორიდებით შემომხედა. კინგას სტიპენდია არა აქვს, ვარშავაში წვალებით მოაგროვა ათასი ევრო და დოქტორანტურაში ბერლინში გააგრძელა სწავლა. თავის სარჩენი სამუშაოს პოვნამდე სათუთად უფრთხილდება თითოეულ სენტს.მანამდე ბერლინში გუვერნანტად ყოფილა და უკან დაბრუნებულიც შინ ვეღარ დაბრუნებულა. ამბობს, რომ სამშობლო არ უყვარს, ამიტომ აქ სწავლა და დამკვიდრება გადაწყვიტა. პოლონელს თბილი და მოკრძალებული ბუნება გამოარჩევს, ლამაზი და მწვანე თვალები აქვს, გულითადი სიცილი. კინგას თანხმობამ დამარწმუნა, რომ ზომბარტთან შეხვედრა რეალობად იქცეოდა. მწერალზე მასალა ინტერნეტში მანამდეც მოვიძიე, საქართველოში კი – მაია ჯალიაშვილს ვთხოვე, აკაკი ბაქრაძის წიგნში ,,კარდუ" საჭირო მასალის მონახვა და დაზუსტება. მახსოვდა, რომ იმ წერილებს, რასაც შტეფი ხოტივარი უცნობს და ქართულად ჯერ არ თარგმნილს უწოდებდა, სადღაც ნაწყვეტ აზრებად უკვე წაკითხული მქონდა. ერთ-ერთ საუბარში შტეფიმ მითხრა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ახლა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას იკვლევდა, მას ყველაზე მეტად კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება მოსწონდა და უყვარდა. დავეთანხმე, ვაღიარე,რომ სწორედ ის იყო ჩემი ლიტერატურული მოძღვარიც და ქართულ

მწერლობაში საფიცარი სახელი.

...მატარებელი ყოველ გაჩერებაზე აცხადებს თავის მიმართულებასა და ბოლო გაჩერებას, სადაც უნდა ჩამოვსულიყავით. ზედმეტი ემოციებით გათიშული, ლამის ყოველ გაჩერებაზე, ფეხზე ვდგები და ჩასასვლელად ვემზადები. მომღიმარი მეგზურის სახე მაჩერებს: მოიცა, ჯერ – არა.

ადრე მისულნი ბინის მიდამოებს ვათვალიერებთ, პუნქტუალურ გერმანელთა საყვედური რომ არ დავიმსახუროთ, დროის პირობას წუთებით ვა-მოწმებთ.

მწერლის ბინა არ აღმოჩნდა კერძო სახლი, როგორც წერილებიდან წარმომედგინა და, თუმცა უცხო და დიდებული არქიტექტურა აქვს მთელ შენობას. იდუმალი ატმოსფერო კარის შიგნით, დიდ და გახსნილ სივრცეში უფრო იგრძნობა: წითელი სავარძლები, შიშველი ქალის სტატუები, წიგნები, ფოტოები... ყველაფერს ოდნავი მტვერი დასდებია, მაგრამ ყველაფერი სიძველის მდიდრული იერით სუნთქავს. თითქოს,აქ ცოცხლები კი არა,აჩრდილები ცხოვრობენო. ნიკოლაოსი ძალიან ნელა დააბიჯებს. დაბალი ბარიტონით საუბრობს. კინგას გვარის გაგებისთანავე ეუბნება: პოლონელი ხარო. ენის სუსტი ცოდნა ოდნავ მაკრთობს, ამ თვითჩაგონებას, ალბათ, ვერაფერი შემიცვლის, ვერც ახლახან წარმატებით ჩაბარებული გამოცდა, ვერც – პროფესორის თანხმობა გერმანული სადოქტოროს ხელმძღვანელობაზე. მგონია, რომ ყველა მწერალი ავადმყოფურად აღიქვამს მშობლიური ენის სუსტ ცოდნას. დიქტოფონის ჩართვასაც ვერ ბედავს დივანზე გასუსული კინგა. საყვედურს მაინც ვიმსახურებ ნიკოლაოს ზომბარტისგან, თუმცა, მასთანაც თავს ვიცავ თავის მართლებით: ერთი წელია, რაც გერმანიაში ვცხოვრობ. მერე იმასაც ვამხელ, რომ მისი მოგონება გრიგოლ რობაქიძეზე წაკითხული მაქვს ქართულადაც. გაკვირვებული მიმზერს. ალბათ, არ სჯერა... წიგნებში ამოკითხულ მის აზრებს ახლაც იმეორებს ოდნავ შეცვლილს: არ შევხვედრივარ კაცს, რომელიც გერმანულ ენას ასე სრულყოფილად ფლობდეს. მისი ყოველი წინადადება ენაქმნადობის საოცარი ნიმუში იყო. გრიგოლს სწამდა გერმანული ენის საკრალურობა და ამბობდა: მისი შედარება მხოლოდ ქართულთან შეიძლებაო... ვერაფრით მეხმარება კუთხეში შეყუჟული კინგა. თანდათან მემატება სითამამე. ნიკოლაოსი აღარ მიმზერს, თვალმილულული და წარმოსახვას მინდობილი ყრმობას იგონებს: თავის ულამაზეს დედას, მის განსაკუთრებულ მეგობრობას გრიგოლთან, რომელმაც არა მხოლოდ კორინას შეაყვარა საქართველო, არამედ ყველა მისი მცნობელი აღაფრთოვანა შორეული, ნატვრის ქვეყნად წარმოსახული მადლიანი მიწით. ამ ხატით მოხიბლულმა, მოგვიანებით, თვითონაც ქართველი ქალი – თამარი შეირთო ცოლად, რომელთანაც ოთხი შვილი შეეძინა... იქვე მდებარე, ულამაზესი ქალიშვილის ფოტოზე მეუბნება: ეს ბალერინა ჩემი შვილია, ტყუპისცალი. – ცოლი სად გყავთ-მეთქი, – ვკითხე. – შვეიცარიაში ცხოვრობსო, – მიპასუხა.

მეხსიერებაში დამრჩა თხრობისას ოდნავი ირონიით ნათქვამი, რადგან იქვე გავაპროტესტე: როგორ შეიძლება, კაცი ძალიან ღარიბი იყოს, თუ ოდესმე მაინც ძალიან გამდიდრდება-მეთქი. მან თქვა: გრიგოლი თავიდან ძალიან ღარიბი იყო, ერთი შავი კოსტიუმი ეცვა მუდამ, მერე წიგნი გამოსცა ჰიტლერზე და ძალიან გამდიდრდაო. კარგი ორატორი, გარეგნობითაც გამორჩეული ყოფილა. გრიგოლი პიროვნული უბრალოებით ყველას მოწიწებით განაწყობდაო. სრულიად ყმაწვილი მისგან მამობრივ მზრუნველობას ვგრძნობდი და უსაზღვრო ნდობაც მქონდაო... ვუსმენ, ვცდილობ არაფერი გამისხლტეს სმენიდან, მხედველობიდან. მესმის კი? ფიქრი უნებურად მიკრთება და ოთახს ვათვალიერებ, იქვე მდებარე ბრუნო გოეტცის წიგნზე ვეკითხები. ესეც დედაჩემის მეგობარი იყო, სწორედ ახლა ვმუშაობ მის პოეტურ კრებულზე. ოდესღაც ეს ცნობისმოყვარე პატარა ბიჭი, დედის სახელოვან მეგობრებსა და სტუმრებს მოწიწებით რომ უსმენდა და აკვირდებოდა, გრიგოლ რობაქიძის წაქეზებით თვითონ გახდა ცნობილი მწერალი და, ახლა, აქ, შუაგულ ბერლინში, ისე მიტოვებული ცხოვრობს,თითქოს,არავინ იცოდეს რამე მის არსებობაზე. და სწორედ ახლაა იმ ასაკისა, გრიგოლი რომ გარდაიცვალა, 82 წლის...

ვბედავ და საუბარს შიგადაშიგ კითხვებითა და თხოვნებით ვაწყვეტინებ. ძალიან უკვირს, რომ საქართველოში მის სახელს იცნობენ და აქ ჩამოსვლამდე ვიცნობდი მეც. მას არაფერი სმენია, არც აკაკი ბაქრაძის წიგნზე, სადაც კრიტიკოსი ნიკოლაოს ზომბარტის წიგნზე და წერილებზე წერს, არც გრიგოლ რობაქიძის ამჟამინდელ პოპულარობაზე იცის რამე, გაკვირვებით მიმზერს და მისმენს. უცებ ასაკს მეკითხება და, რატომღაც უკვირს ჩემი ასაკი:

ძალიან ახალგაზრდა ხარ, – მეუბნება. დრო მეც ვიხელთე და ვკითხე: მარტო ცხოვრობთ-მეთქი? თავს მიქნევს თანხმობის ნიშნად და ოდნავ ირონიულად მიღიმის დარბაზების მფლობელი: ორისთვის ისეთი სივიწროვეა. თანდათან თბება, ყველაფერზე იუმორით მეგებება და ყოველ კითხვაზე, რისი თხოვნაც მინდა, თამამად ვთხოვ: ალბომები მაჩვენეთ-მეთქი. ხელით მაჩვენებს, სადაც დევს და ერთად ვათვალიერებთ მათ უფრო საინტერესო დიალოგით ყრმობასა და ბავშვობაზე, უსაყვარლესი მამის – ვერნერ ზომბარტის პიროვნებაზე. რამდენიმე ფოტოს ქსეროქსისთვის ვთხოვ. თვითონ რთავს ქსეროქს მეორე ოთახში და ვაკოპირებთ დედის ფოტოებს და გრიგოლ რობაქიძის ავტოგრაფებს მისთვის ნაჩუქარ წიგნებზე. უარს არც ფოტოების გადაღებაზე მეუბნება, ბოლოს კი მთხოვს, ყველაფერი ისევ თავის ადგილას დავდო, რადგან მარტო ცხოვრობს და მათი მოწესრიგება ძალიან უჭირს.

წამოსვლის წინ კი, საქართველოდან ჩამოტანილი საჩუქრებიდან შემორჩენილ მაცხოვრის ხატს ვჩუქნი. მოწიწებით იღებს ხელში და გულწრფელი სასოებით მეუბნება: ეს ძვირფასი საჩუქარია. მერე თავის ახალ წიგნს მჩუქნის ავტოგრაფით: „ქალი მომავალია კაცის“ („დი ფრაუ ისტ დი ცუკუნფთ დეს მანნეს“). ოდნავი გაოცებით მეკითხება შტეფი ხოტივარი-იუნგერის ოჯახზე და მის ქართველ ქმარზე. ჩემს მონათხრობში რაღაც უკვირს: ისევ ერთად ცხოვრობენ?! ვპირდები, რომ ქართულად ვთარგმნი შტეფი ხოტივარის გამოქვეყნებულ წერილს გრიგოლ რობაქიძისა და კორინას მიმოწერაზე და დავწერ ამ შეხვედრაზეც. ისე უკვირს, საქართველოში რომ ვბრუნდები, თითქოს, ვერ გაიგონაო ტელეფონში ნათქვამი. მორიგ თხოვნაზე მეუბნება, რომ მას მხოლოდ ვებ-გვერდი აქვს და არა აქვს ელექტრონული ფოსტა, ამიტომ დაკავშირებას შტეფი ხოტივარით მთხოვს. შებინდებისას ფრთაშესხმულნი ვბრუნდებით მე და კინგა. გზად შეხვედრის დეტალებსა და ნიუანსებზე ვმსჯელობთ, მატარებელში პოლიცია საგანგებოდ მას სთხოვს ბილეთს, კინგა აჩვენებს და მე გულითად მადლობას მიხდის: ერთხელ უკვე დამაჯარიმეს და ეს ისე უსიამოვნოა... სისავსის ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ამ შეხვედრით ბერლინში ჩემს ჩამოსვლას გამართლება მოეძებნა! მიკვირს და გული მტკივა, რომ სახელოვანი პროფესორი, სხეულით ასე დასუსტებული, მარტო დავტოვეთ. იმდენი დიდებულება და ხალისი იყო მის იუმორსა და მზერაში, მის დაუძლურებულ სხეულსა და ასაკს რომ არაფრით შეეფერებოდა. ნეტა, რა უნდა თამარს შვეიცარიაში? ნუთუ, ქმარი მიატოვა ქართველობით ნაქებმა ქალმა? ეს კითხვა აღარ დამისვამს, თან გამოვიყოლე თავსატეხად...

ბერლინი, 2004 წელი, სექტემბერი.

 პოეზია

მარიამ მუჯბანიანი

* * *

ალიონს ვხვდები ფიქრებში,
სულ მეფიქრება, – გჭირდები?!
მიტოვებულიც რომ ვიყო,
სიყვარულამდე ვივსები...

ალიონს ვხვდები ფიქრებში,
მოვა დრო თვითონ მიხვდები,
რომც მათოვოს და მაწვიმოს,
გზაზე არ გაგეხიდები!...

იქნებ...

იქნებ რაღაც გაპატიო,
იქნებ... იქნებ... იქნებ....
იქნებ და არც გაპატიო,
მე რა ვიცი... იქნებ...

ოღონდ სული არ ჩამიკლა,
ოღონდ... ოღონდ... ოღონდ....
ნეტა გული რად დაგიკლა?!.
გული – დარდმა კორტნოს!..

* * *

რატომ დავწერო, არ ვიცი,
ვისთვის დავწერო, არ ვიცი,
ცხოვრების მძიმე სამოსი,
ცოდვილ სხეულზე ჩავიცვი...

რატომ ვიტირო, არ ვიცი,
ვისთვის ვიტირო, არ ვიცი,
ცრემლი რომ გულმკერდს მისველებს,
ღვთის წყალობაა? – რა ვიცი...

ვის გავუღიმო, არ ვიცი,
რად გავუღიმო, არ ვიცი,
ჩემს ირგვლივ ამდენ სიყალბეს,
წყაროს წყალივით დავცლიდი...

„ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია – ივერიის“ ლაურეატები

„საგამომცემლო სახლმა „ქართულმა ელიტამ“ გასული წლის 28 დეკემბერს „ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია – ივერიის“ ლაურეატები გამოავლინა. აღნიშნული პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.

მანამდე კი პროექტი მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა – საქართველოს მასშტაბით ყოველთვე იმართებოდა. პროექტის მრავალწახნაგოვანი იდეა და შინაარსი ძალზე საინტერესო გამოდგა მონაწილეთათვის და მსმენელთათვისაც. ყოველ თვე მონაწილეობდნენ – ერთი ე.წ. შშმ პირი, ანუ იგივე განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ადამიანი, ერთი მსჯავრდებული, რომლის შემოქმედებაც მუდმივად იკითხებოდა ღონისძიებებზე და უდიდესი მოწონებით სარგებლობდა.

ასევე პროექტი, სხვა დანარჩენ ოთხ პოეტ-მწერალთან ერთად, ერთი სასულიერო პირის ჩართვას ითვალისწინებს,– თვეში სულ შვიდ მონაწილეს. ამ ადამიანებს ემატება ერთი ხატმწერი, ერთი მხატვარი და ერთიც ფოტოხელოვანი, რომელთა შვიდ-შვიდი საუკეთესო ნამუშევარი ყოველთვე გამოიფინება. გასული ერთი წლის მანძილზე პროექტში სულ 96 პოეტი, თორმეტ-თორმეტი ხატმწერი, მხატვარი და ფოტოხელოვანი მონაწილეობდა.

გასული წლის პროექტის წარმატებით დასამთავრებლად ჟიური შეირჩა ბოლო პერიოდში, რათა არ გახმაურებულიყო და სრულად დაცულიყო საავტორო და სხვა მნიშვნელოვანი უფლება-დეტალები, რომელიც პირად მიდგომას გამორიცხავდა და საზოგადოებას ეჭვს გაუჩენდა, რომ რომელიმე ავტორის მიმართ სიმპათია იყო, ანდა – პირიქით...

პრემიის მონაწილე კონკურსანტთა შემოქმედება ხუთკაციან ჟიურის დანომრილი გადაეცა. შესაბამისად, მონაწილეთაგან არავის ჰქონია იმის პრეტენზია, რომ ჟიურიმ რომელიმე ნომინანტს პირადი სიმპათიით მიანიჭა უპირატესობა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჟიურის წევრებმა ერთმანეთზეც კი არაფერი იცოდნენ – თუ ვინ იყვნენ ჟიურის წევრები, ისინი მხოლოდ ორი დღით ადრე, 2014 წლის 26 დეკემბერს შეიკრიბნენ გამომცემლობაში და მხოლოდ მაშინ გაიცნეს ერთმანეთი.

ჟიური: ნათელა ჯანტიშვილი – ლიტერატურის კრიტიკოსი, პროფესორი; ნანა ხურითი – მსახიობი; ვანო პავლიაშვილი – ჟურნალისტი რედაქტორი; ლაშა გოგნიაშვილი – რეჟისორი; ეთერ მდინარაძე – ჟურნალისტი.

ყოველი მათგანი კარგი ლიტერატორი, ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, შემფასებელ-დამფასებელი და საკუთარი საქმის მაღალი დონის პროფესიონალია.

მაშ ასე, 2014 წლის ნომინაციები ასე გადანაწილდა: წლის პოეტი – **ლევან ფანჩვიძე**; უფლის სადიდებელი ლექსი – **მიტროპოლიტი თადეოზი;** პატრიოტული მოტივის ლექსი – **ჯუბა ღებელი**; საქართველოს ისტორიული წარსული – **ვახტანგ გურული,** არაორდინალური ლექსი – **მერაბ არაბული,** წლის პოეზიის მეფე – **ჯანსუღ ჩარკვიანი**, წლის პოეზიის დედოფალი – **თინათინ მღვდლიაშვილი**, საუკეთესო მიძღვნა – **ნინო ტარყაშვილი**, ლექსი სიყვარულზე – **თენგო ხუციშვილი,** შემოქმედება მიღმა სამყაროდან – მსჯავრდებულის შემოქმედება – **ირაკლი რევა**, განსაკუთრებული შემოქმედება – განსაკუთრებული ადამიანის – **ლადო კახაძე**, წლის საუკეთესო პროზა – **მაკა ნათელაური**.

„ქართული ელიტის“ **წლის პოეტები: მერაბ დეკანოსიძე, მერი აბრამია, მაყვალა გონაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ანა ლორთქიფანიძე, დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი, გიორგი მარღიშვილი, შალვა სირბილაშვილი და ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ხელოვნების სასახლის შენებისთვის – ნათელა პაპუნაშვილი.**

2015 წლიდან პროექტში მცირეოდენი ცვლილება შევიდა – მისი უწმინდესობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ლოცვა-კურთხევის შესრულება განიზრახა პროექტმა – ხეების დარგვა. ყოველი მონაწილე თითო, ან მეტ ხეს დარგავს და ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ბაღები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გაშენდება.

ნანული ბუჯია

„ვინ წაქცევამდე იბრძვის“...

ხელთ მაქვს ნაზი კილასონიას ბოლო, ერთადერთი მოზრდილი (არასრული) კრებული.

ჩვენი თაობისათვის საყვარელი ქალი პოეტები იყვნენ ანა და ნაზი; ნაზი და ანა...

ჩვევად მაქვს, ნაჩუქარ წიგნზე ჯერ წარწერას ვკითხულობ. ათასგვარი მოგონება ამომიტივტივდა ახლა თავში – „ჩემს ნანულის, მასში დაბუდებულ პოეტურ სულს, მის უთქმელ ლექსებს სიყვარულით ვუძღვნი ამ წიგნს, მისი ნაზი კილასონია, 1979 წელი“. რა გულში ჩამწვდომი სიტყვებია?!

უკეთესი რა შეიძლება გისახსოვროს პოეტმა?

იქვეა მისი წამძღვარება – „უკვე ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ... მადლობელი ვარ ამ გზისა... სიტკბოსთვისაც, მღელვარებისთვისაც. და აჰა, მკითხველს ვთავაზობ ჩემს რჩეულს, ვთავაზობ მოკრძალებით, ვით პირუთვნელ განმსჯელს. არც შელავათს გთხოვთ, არც საამო სიტყვას გაძალებთ. ამიერიდან ეს წიგნი თქვენია და მიხარია, რომ მოგაწვდინეთ იგი.“ ავტორი. ეს არის და ეს. მერე ნაზის ლექსები აღარ უხილავს მისი ლირიკის მოყვარულთ. მივიწყეს ბრწყინვალე პოეტი, ქართული სიტყვის დიდოსტატი, მუდამჟამს შეჭირვებული, სავალალოდ არაპრაქტიკული, ქართველები უჭირისუფლოს რომ ვეძახით. რომ არა გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი, კახმეგ კუდავა, ორი წლის წინ მის მიერ უყოყმანოდ გამოცემული ნაზი კილასონიას 100 ლექსი, მადლობა ბატონ კახმეგს, მისი მადლიერი მკითხველებისგან!

...ნაზის სამუშაო მაგიდის უჯრაში შემთხვევით აღმოვაჩინეთ სქელტანიანი რვეული, დღიურებით და გემოვნებით დაწერილი, მიძღვნილი ნოველის მაგვარი – „წერილი მარადიულს“, თურმე ნაზი პროზაშიც რა ძლიერი ყოფილა! თუმცა მის მხატვრულ ჩანახატებს რამდენჯერ მოუხიბლავს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველი (სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა).

...ამჯერად დაკონკრეტებისგან თავს შეგნებულად ვიკავებთ, დავზოგოთ, დავინდოთ, ნუ ჩავუღრმავდებით, ადრესატი დარჩეს ინკოგნიტოდ. ნაზის სულიერი ტკივილი და ხელმოკლეობა ბავშვობიდან თან დევდა. ბედმა ამაში მაინც დაინდო – გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, მისი ორი ვაჟი, გიო და ოთარი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

უკიდეგანოდ განსწავლული გახლდათ ნაზი, ზედმიწევნით ნაკითხი, განურჩევლად კითხულობდა ყველაფერს, ბიბლია ზეპირად იცოდა. მაგონდება მისი უძილო ღამეები, კითხვის ჟინი და მუზა ეძალებოდა. ეს ყველაფერი დაწვრილებით ასახულია მისი დღიურების სევდიან სტრიქონებში.

ვინ მოთვლის, რამდენი მისი ლექსის დამჭაშნიკებელი ვყოფილვარ. ბედნიერი წლები იყო, საქართველოში უყვარდათ ლექსი, პოეზია, სხვაგვარად აფასებდნენ პოეტებს, განსაკუთრებით ბედი წყალობდა 60-იანელთა თაობას, ნიკო კეცხოველის დროინდელ ალმანახელ მწერლებს. მაქვს ნაზის ფოტოები, მოძღვნილი ხელნაწერი ფუნაგორიები, ჯერჯერობით ვერ ველევი, ლიტერატურის მუზეუმისთვის ვერ ვიმეტებ.

...მაგონდება 9 აპრილის ტრაგიკული დღეები, გაფითრებული ნაზი, ადგილს ვერ პოულობს, სიგარეტს სიგარეტზე ეწევა, ვამჩნევ ღამე თეთრად აქვს გათენებული, დახოცილი ახალგაზრდების ორმოცია ხვალ, ზუსტად 20 წუთში დაწერა და მაგიდაზე დამიდო ეს ლექსი (საათი რატომღაც საგანგებოდ დავინიშნე). ალბათ ღამით გონებაში ჰქონდა შეთხზული. ვერც ერთ მის წიგნში ვერ მოხვდა, მალევე გარდაიცვალა.

დაჩეხილი წმინდანები

(ორმოცის წინა დღე)

დარო, უფრო იდარებდე,
ქარის სევდა დიდია,
საქართველოს წმინდანები
ხვალ ზეცაში მიდიან.
მიქომაგე, გამამთელე,
მომხსენ ცრემლის საყურე,
ზეციური საქართველო
დარდიანი დაგვყურებს.
ტყე დგას, როგორც ქანდაკება,
9 აპრილი თარიღობს;
ცული მე რას დამაკლებდა
ტარი ხის რომ არ იყოს?
რას უბნობენ შიდა მტრები
ღმერთო, მიხსენ, მიშველე,
იმ სისხლიან ხელის მტევნებს
ერთმანეთზე იშვერენ.
გააფთრებით ალანძულნი
გულს გვიფლეთენ სიცივით,
მათ მორყეულ სავარძლებზე
ეშმა ზის და იცინის!..
დარო, უფრო იდარებდე,
თორემ სევდა დიდია:
დაჩეხილი წმინდანები
ხვალ უფალთან მიდიან!..

18 მაისი, 1989 წელი.

სამუდამოდ ჩარჩენიათ გულში, ზეპირადაც უსწავლიათ ნაზი კილასონიას:,,ნუკრია", ,,თებერვლის პირზე",,,ზამთრის ზღაპარი",,,დაბერდა პოეტი",,,მე ათი გულის ღირსი ვარ",ან ,,საყვარელს უნდა შენი თვალები",,,ჩვენ ზეცაში გადავიხდით ქორწილს",,,მე მიყვარს, როცა შმაგი წკარუნით", ,,თუ გყვარებია", ერთი ერთმანეთზე უკეთესი ლირიკული ლექსები, განურჩევლად მიძღვნისა, განწყობისა, უზადო პოეზიის ნიმუშები, ორიგინალური და თავისთავადი ხელწერის.

P.S. ...ნაზის სამუშაო ოთახის ბინებიან კარადას ერთადერთი ფოტო ჰქონდა სამშვენისად – შავ ხალათში სევდიანი, ჩაფიქრებული, საშობლოს ბედზე მოფიქრალი დიდი მწერალი ოთარ ჩხეიძე. დასანანია, რომ ნაზი კილასონიასთვის არ გამოინახა ადგილი დიდების პანთეონში, ალბათ ამაზე მწერალთა კავშირმა უნდა იზრუნოს, ეს მათი ვალია, რაც დროულად მოხდება, მით უკეთესი მათთვის...

აქვე გთავაზობთ ნაზი კილასონიას ცნობილ წერილს.

წერილი მარადიულს

,,გთხოვთ, არ გაიგოთ სხვანაირ სახით"

ლადო ასათიანი

,,შენ კი მითხარი: არაფერია!"

ალ. საჯაია – თქვენდამი

,,იგი მისმენს, მერე მკაცრად ამბობს: მაი აფერია".

გალაკტიონი

,,ახლა, როდესაც მეოთხედი საუკუნისა უკვე გასულია,

როდესაც შორიდან ვუყურებ იმ საცოდავ ბავშვს,

როდესაც ვაფთრდები მის უმწეობაზე,

როდესაც მრცხვენია მის ნაცვლად,

როდესაც მისი დაცემა, მისი აღმართები დაძლეული მაქვს,

ტანჯვის ფასად,

წლების ფასად,

ნერვების ფასად,

გაანჩხლებული, უღონო სიავის ფასად,

და ყველა ამათგან ვარ აწ თავისუფალი,

როდესაც თითქოს მიუღწეველის მიღწევა შევძელი – შევძელი სიტყვის მოთვინიერება, დაურვება და ამით თითქოს უფლის ნათელს ვეზიარე, –

მადლობა იმ ტანჯვას! ამის გარეშე არაფერი არ იქნებოდა! მადლობა თქვენც, ვინაც თქვენდაუნებურად, თქვენი სურვილის გარეშე შემქმენით.

ახლა, როდესაც ხელპირდაკაწრული ავედი ჩემს სახელიანსა თუ უსახელო მაღლობზე, სრულის შეგნებით ვაძლევ ჩემს თავს უფლებას, გაესაუბროს თქვენს თავს – რომაელი პატრიციას ჭკვიან, მკაცრსა და დამცინავ თავს.

მე მინდა ავხსნა, აგიხსნათ რა მოხდა? რატომ მოხდა? მე თავად მინდა გავერკვე.

მე მინდა დავუბრუნო, აღვუდგინო თქვენს საცოდავ მოსწავლეს თავისი უფლებები. – რომ იგი არ იყო უნიჭო (როგორც თქვენ გეგონათ), რომ იგი არ იყო მარტივად უბირი (როგორც თქვენ ფიქრობდით) და რომ მას ბრწყინვალე მეხსიერება ჰქონდა (რასაც, ალბათ, სულაც არ მოელოდით), იგი რომ ცოტა ნაკლებ უსახური ყოფილიყო და ცოტა ეშმაკი, – მაშინ არც ეს ბარათი დაიწერებოდა.

რატომ მოხდა? უკეთ, რატომ მოხდა ჩემში? წეღან თავი მოვიწონე: ბრწყინვალე მეხსიერება მაქვს–მეთქი. ახლა ვეცდები ეს დაგიმტკიცოთ და რამდენიმე წუთით გადაგასახლოთ იმ ბედნიერ დროში (გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, თქვენ დაძაბოთ მეხსიერება, რადგან თქვენთვის ის უსარგებლო დეტალები, ალბათ სრულიად წაშლილია).

გახსოვთ გოგონა, რომელიც მოვიდა თქვენთან პიონერთა სასახლეში? მას თქვენ მიეცით ყოვლად შავი სამუშაო: გადაეწერა ,,ნიჭიერ" ბავშვთა ლექსები და მოთხრობები ალბომში. მე მახსოვს თქვენი ნათელი, მაღალი ოთახი, მახსოვს სარკის ელვარება დერეფანში. გადავწერე ყოვლად საძაგელი ხელით და კვლავ მოვედი. თქვენ მაინც მადლობელი დამრჩით და ჩამიყვანეთ პირველ სართულზე. იქ დიდხანს ვისხედით დირექტორის მისაღებ ოთახში. მერე რამდენიმე კითხვა მომეცით. გპასუხობდით დაბნეულად. რატომ დაბნეულად? იმიტომ, რომ შეურაცხყოფილი ვიყავი: მე ხომ სხვისი, სხვა ბავშვების შემოქმედება გადამაწერინეს (რა გულწრფელი ვარ ახლა!). წარმადგინეთ ჩემი უბედური ალბომით, და მართლაც, რა უბედური წამოველ, რა გაბუტული (ეს გაბუტვა მერეც დიდხანს გამყვა).

შემდეგი შეხვედრა: ისიც ომამდე. უკანასკნელი გამოცდა. ფრიადოსანი ვარ (იმ სკოლაში მე ბრწყინავდი, მერე გადავისხი ქალთა სკოლაში ლაფი, თორემ...), დამრიგებელმა სამასწავლებლოში ჩამაგზავნა, ,,ნორჩი ლენინელის" კორესპონდენტია მოსულიო, და – თქვენ! თავჩაღუნულმა, ენაჩაგდებულმა,

ხმაჩაწყვეტილმა მოგახსენეთ ჩემი „წარმატებანი“. მერე ჩემი სახელითა და გვარით გამოქვეყნდა გაზეთში: ესა და ეს ვქმენ, ამას და ამას დავეხმარე, ასე და ასე ვსწავლობ–მეთქი. (ხედავთ? თავიდანვე მქმნიდით, როგორც მითს. მერე დაგაღალატეთ, თორემ...)...

ასე გაზეთზე „გაჩვეული“ მომიყვანა შემდეგ წელს რედაქციაში ერთმა კეთილისმყოფელმა მასწავლებელმა. ეს იყო „კომუნისტის“ გამომცემლობის პირველ სართულზე, ხელმარცხნივ. სწორედ იქ, სადაც შემდეგში მეც ვმუშაობდი. მახსოვს ორად გაყოფილი ოთახი, შემინული ძგიდით. თქვენ მაგიდასთან ბრძანდებოდით. რატომ მიგვიღეთ ასე ცივად? რატომ ვერ მიცანით? მაშინ ვერ მივხვდი. ახლა ნათელია – გაბეზრებული იყავით ვუნდერკინდებით, ტალანტებით, მათი კორესპონდენციებით.

შემდეგ? ეს უკვე ომის პირველსავე წელს მგონი: დედასთან ერთად მარჯანიშვილის თეატრში, ქანდარაზე ვარ, ვგონებ, გოთუას „მეფე ერეკლე“ იყო. როგორ ვტიროდი ანა – ვერიკო ანჯაფარიძის ქვითქვითზე! რა განაბული მივდევდი მოგონილ ჩახლართულ–ჩაგრეხილ სიტუაცია –კონფლიქტებს! (მეტი საქმე არა ჰქონდა მეფე ერეკლეს – სულ ბესიკს იხუტებდა და „ჩემო ბიჭო, ჩემო ხუჭუჭავ, რა დაგიშავე ისეთიო?“ – ჩასძახოდა!). დიახ, ერთი სიტყვით, თავს ვიტყუებდი, გულს ვიგდებდი. აინთო ჭაღი. თვალდასიებული წამოვდექ და ისევ თქვენ, მაგრამ მარტო არ ბრძანდებოდით, სხვა ახალგაზრდასთან ერთად. მას შემდეგ, რაც საჯაიას ლირიკამ მომხიბლა, ყოველთვის მჯეროდა, რომ მე იგი ვნახე, ვნახე თქვენთან ერთად, თეატრში. გთხოვთ გაიხსენოთ, ხომ ასე იყო? მე მიგანიშნებთ: ორთავეს სვიტერი გეცვათ, ერთნაირი, ახალი, თითქმის ნიკაპამდე ამოქსოვილი ყელით. მე ფერიც მახსოვს იმ ქსოვილის, – თეთრი თუ ნაცრისფერი. ყოველ შემთხვევაში, არც წითელი, არც შავი, არც ყავისფერი, არც ყვითელი... მე ჩაგიარეთ. თქვენ იცინოდით (შეიძლება ბესიკის ბდღვინვას დასცინოდით), მე კი მომეჩვენა, რომ რაღაც უწესოს ლაპარაკობდით, ჭაბუკურად უწესოს, მისატევებელს (ნუთუ ვტყუივარ, ნუთუ ვერ გაიხსენეთ?).

მერე კი ქალთა „პანსიონი“, სადაც ორიოდე ხნიერი პედაგოგი დაღოღიალებდა, ერთიც ისტორიის ახალგაზრდა, მაგრამ მოდებილო მასწავლებელი. და ბავშვი–ქალიშვილები, რაღაცის ლოდინით, რაღაც გაურკვევლობით აფორიაქებულნი. ჩემთვის იქ ერთადერთი, ნაწვიმარი გაზაფხულივით სავსე სიახლე – ნათელა კეშელავა. სიახლე ამდენ მოსაწყენ ერთფეროვნებაში, ერთნაირად მოდუდუნე მასწავლებლებში. ნათელას მწვანე პალტო ეცვა. შავი ფერის ქუდი და ეშმაკურად მოჭუტული თვალები ჰქონდა (მიკვირს, რატომ არ გიყვარდათ მაშინ იგი?). იგი პირველსავე თვეს წავიდა ჩვენგან. წასვლის წინ ავიდა კათედრაზე, რატომღაც მაჯიდან საათი მოიხსნა, გვაუწყა კარგ ხასიათზე ვარო და დაგვარიგა: ახლა ჩემს ნაცვლად ერთი მეტად საინტერესო, ჭკვიანი და სერიოზული ვაჟი მოვაო, და აბა, თქვენ იცით, არ გაანაწყენოთ, კარგად ისწავლეთო. „ჭკვიანი და სერიოზული ვაჟის“ სანახავად ზარის დარეკვამდე სამასწავლებლოს კარში ვიჭვრიტებოდით და როცა თქვენ შემაგებეთ თვალები (რომელმაც შემდგომში მრავალი ლექსი დამაწერინა), მაშინ მე საწყალმა ბედისწერად ჩაგთვალეთ. ასეთი ვრცელი წინამორბედის შემდეგ, ნება მიბოძეთ ჩვენს კლასში შეგიყვანოთ. კლასი – სავსე უმეტესად ღატაკი და მშიერი გოგონებით. გამოვტყდები, საკმაოდ ბლაგვი ბავშვებია. აქ ხუთოსნები ტვინშეზღუდულები არიან, ისეთი სამოსანი კი, როგორიც მე ვარ, წიგნებში ვარ თვალჩაწყალებული (ოღონდ ქართულ წიგნებში, რუსულად ზღაპარიც არ მაქვს წაკითხული!). ერთსა და იმავეს მეასედ ვკითხულობ, ამიტომ ახლომხედველი ვარ, დაფასთან, პირველსავე მერხზე ვზივარ.

თქვენ შემოდიხართ და მცნობთ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღც გეუხერხულებათ და ამიტომ ჩემშიც რაღაც საყრდენის მსგავსს ეძებთ. შემდეგში მივხვდი, რომ მეტს მოელოდით, – ე.ი. ჩემი გონებისგან, მოელოდით უფრო მეტს. ვერ გაგიმართლეთ. ვერ გაგიმართლეთ, რადგან ჩავიკეტე ჩემშივე. რაღაც საბედისწეროდ ვერ შევძელ მეჩვენებინა სინათლე ჩემი სუფთა გონებისა. თქვენ გვესაუბრებოდით დავით კოპერფილდის შესახებ. აღტაცებული იყავით იმ სიძლიერით, რითაც დიკენსმა გამოძერწა ური ჰიპის სახე, მისი ბაყაყივით სლიპი ხელები. (გახსოვთ? ხომ მართალი ვარ?) თქვენ გინდოდათ კლასამდე მიგეტანათ ერთი უმშვენიერესი რამ: როდესაც ური ჰიპი მიდის, კოპერფილდი ხსნის ფანჯარას (რა მშვენიერია!), კლასს არ ესმოდა ეს. არც ჰქონდა წაკითხული. მე კი ზეპირად ვიცოდი თითქმის მთელი წიგნი (ქეთევან ბაქრაძის მიერ იყო არა თარგმნილი?) თქვენ კი ეჭვიც არ გაგკარებიათ ამის შესახებ. როგორ შემარყიეთ, როდესაც ო’ ჰენრის „უკანასკნელი ფოთოლი“ გვიამბეთ. ეს უკვე სიახლე იყო ჩემთვის. სევდიანი, გულისშემძვრელი. თქვენ ყველაფერ ამას დედანში კითხულობდით და უფრო მეტად ღრმავდებოდა უფსკრული... რომ მომკლათ, ვერ გადამარწმუნებთ: გეზიზღებოდათ მთელი კლასი. გეზიზღებოდით მეც. უარესიც – თქვენ დაგვცინოდით (დაგვცინოდით, რადგან მშვენიერებასთან ერთად გონიერებასაც სცემდით პატივს, ჩვენ კი ამის ნიშანწყალიც არ გვედო), გუმანით გრძნობდით, რომ იდუმალი თაყვანისმცემლები გაგიჩნდნენ, მე კი (რა სულელი ვიყავი, რა სულელი!) ყველგან ვკითხულობდი ჩემს გონჯ ლექსებს ცისფერ თვალებზე. გინდათ გაგახსენოთ, როგორ დაგვცინოდით? აი, მაგალითად: იძახებთ აყლაყუდა, გამხდარ მოსწავლეს, რომელსაც ვენერა ჰქვია:

– აფროდიტა, გამობრძანდით!

იგი წითლდება და გახსენებთ, რომ „ვენერა“ ჰქვია.

– ღმერთო, მომკალი! თუმცა, აფროდიტა და ვენერა ერთი და იგივეა, ხომ იცით?

ვენერა-აფროდიტას კი არაფერი სმენია ამის შესახებ.

მე ამის შემდეგ კი აღარაფერს ვსწავლობ

ჯიუტად. გამომიძახეთ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ბოლოს ცოდვით მეუბნებით ერთადერთს: თუ გინდათ უმაღლესში მოხვდეთ, ინგლისურიც უნდა ისწავლოთ (მე ვგრძნობდი ამ „თ“-ს, ვით შეურაცხყოფას).

თქვენ ხშირად დგებით დაფასთან, ჩემს მერხსა და კედელს შუა. ტანსაცმელი კედლისგან გესვრებათ, თქვენ კი თურმე ეჭვობთ – კლასში ცარცს მისვამენო. შემდეგ გაკვეთილზე დაჟინებით გიყურებთ და წყენისგან ათრთოლებული ტუჩებით გეუბნებით: „მასწავლებელო, ნუ დგახართ კედელთან, ტანსაცმელზე გადაგდით“. თქვენ რაღაცას ხვდებით და... წითლდებით. არა, უსამართლო არ უნდა ვიყო. არის ორიოდე ბავშვი, ვისაც პატივს სცემთ. ისინი კარგად სწავლობენ ტექსტებს, უწესო და წესიერ ზმნებს. ერთი სიტყვით, მართლაც კარგები არიან. თქვენ აქებთ ჩემი მეგობრის, თანამერხელის მხედველობით მეხსიერებას (ეს უკვე სიახლე იყო ჩემთვის: „მხედველობითი მეხსიერება“!), მე მშურს მათი, მაგრამ რა ვქნა, უკვე ველარ ვსწავლობ ვერაფერს და უნიჭოთა ჭაობში ვინთქმები სამუდამოდ (მაგრამ თქვენ არ იცით, რომ სახლში მაქვს ჩემი თავშესაფარი: ჩემი წიგნები, ჩემი ლექსები, ჩემი გალაკტიონი და ჩემი ლადო ასათიანი).

მხოლოდ ერთხელ დაინახეთ ჩემში უფრო მეტი: მაწყენინეთ, მკაცრად (არ მინდა გაგახსენოთ დეტალები, მეყოფა, მე რომ მახსოვს). მთელი გაკვეთილი მერხზე თავდამხობილი ვტიროდი. შეწუხდით, იგრძენით, რომ თავმოყვარეობა დიდი მქონია. ვტიროდი და ბედნიერი ვიყავ, ვტიროდი შვებით, რომ ჩემს გამოც შეგიძლიათ შეცბეთ (ასეთი შვებით ახლა სიზმრებში ვტირივარ მხოლოდ ხანდახან).

ვიცი დაგღალეთ, მაგრამ მე ახლა მეტირება. ნუ ჩამომართმევთ სენტიმენტალობაში. გათოშილს, საუკუნის მეოთხედით გათოშილს მიყვარს ის სულელი ბავშვი, ის დაღვრემილი ქუჩა, პირქუში შენობა სკოლისა. მე თქვენ გიწერდით თავხედ ლექსებს („და ჩემი თავხედი ლექსები“), სადაც ერთი სტრიქონი მაინც გამოერეოდა ხოლმე ხელუხლები, როგორც დაპირება:

„წინ გაშლილია ქუჩის მარაო?!
(გაცვეთილია!),
მიდიხარ სწრაფი და იმალები
(სუსტია!),
ვიწრო პროსპექტი ცრემლში ქანაობს
(მომწონს ძალიან!)
ცრემლმა დასეტყვა ჩემი თვალები“
(საძაგლობაა!)
და, უცებ, ამოვარდნილი, ჩემეული, მხოლოდ
ჩემგან ნათქვამი:
„ვაი, რა ცუდად გიცვნივარ,
რა ტყვილად გდებდი იმედებს:
მე ათი გულის ღირსი ვარ,
შენ ერთიც ვერ გაიმეტე!“

მადლობელი ვარ, რომ ვერ გაიმეტეთ. მე ხომ ვერ დავწერდი მაშინ. ვერაფერს ველარ დავწერდი, ვერასოდეს. აკი ვთქვი კიდეც ცოტა მოგვიანებით:

„მეც მინატრია ია მუხლამდის,
როს გაზაფხულის მწვავდა იერი,
მიყვარდა, მაგრამ რომ არ ვუყვარდი,
სწორედ ამიტომ ვარ ბედნიერი!“

...თქვენ რომ გცოდნოდათ პატარა სხეულში, პატარა მოელვარე თავში დატრიალებული ეს ქარიშხალი, ყოვლის წამლეკი და უბედური – დამითმობდით თქვენცა და თქვენი მშვენიერი საცოლეც, და-მით-მობ-დით.

შემდეგ გაჭირვებით დამთავრებული სკოლა. ატესტატი.

და მცხეთა!

მცხეთა! მზით ალავარდნილი, ელდასავით გულისგამხეთქი მცხეთა, სვეტიცხოველი, გათხრილი სამაროვანი. ჩემს პირდაპირ იდექით. ჩვენ გვიამბობდნენ სერაფიტასა და ზევახის (თუ „ძევახის“?) შესახებ. ბაბო მჭედლიძე ბედნიერებით იცინოდა – და მოგძახოდათ: – თქვენ მოგძახოდათ: – თქვენ რომ შვილი გაგიჩნდებათ, ზევახი უნდა დაარქვათო.

მერე თქვენ ისევ იცინოდით, ლაღობდით და ბაბო გსაყვედურობდათ: – სად იწყებით სერიოზული და სად მთავრდებით დამცინავი, ვერ გამიგიაო! – გახსოვთ? ჩვენმა პარალელურმა კლასმა გაშალა სუფრა. ჩვენ კი ვენახში წყაროს მივაგენით და ცივი წყლით ვიგრილებდით ხელ–პირს, გულს. რომელიღაც ბავშვი, ვაჟთა სკოლიდან გამოგექცათ, ალბათ შეთვრა კიდეც და თქვენ გულამოვარდნილი ეძებდით. ჩამოირბინეთ წყაროსთან, მე კი ნაკადულში ვიდექი (რა მშვენიერი პოზაა გამიჯნურებულისათვის!), ვიდექი ფეხშიშველი, ქვეყნით მოხიბლული და ქვეყნით გულამღვრეული. გულამღვრეული თვით ნათელა კეშელავაზეც (ისიც ხომ ჩვენ დაგვემგზავრა). მეგონა იგი გიყვარდათ. მერე მატარებლის ლოდინი, ხეების ქვეშ, ნათელა მთხოვდა წამეკითხა ლექსი, რომელიც იმ დღეს გულში დავწერე. არა, იმ დღეს არა, მაგრამ შემდეგ, დიდი ხნის შემდეგ დავწერე და სხვათა შორის, თქვენ მიერ გამოცემულ წიგნში დავსტამბე:

„...იქ, თეთრ კიბეებზე ივჯდა სერაფიტა,
დუმილდარღვეული გრილი წერაქვითა.
მას ფეხთით დავუგდე ცისფერი რვეული,
რა შლეგი ვიყავი და გადარეული,
საყვარლად შლეგი და, და გადარეული.
ნეტავ იმ დღეებს,
იმ სერაფიტას“.

... და მცხეთელი ქალები სადგურის კიბეებზე მწიფე ალუბალსა ჰყიდდნენ. ეს აქამდე ჩამრჩა, როგორც ტკივილი, როგორც ჭრილობა ალუბლისფერი.

მატარებლით დავბრუნდით. ვისხედით თითქმის ცარიელ ვაგონში. მგონი ნათელას შევეცოდე. ალბათ გითხრათ, ალბათ ამიტომ მოხვედით ჩემთან, რაღაც მითხარით.

მერე სოფელი. ჩემი სოფელი გამოცდებამდე, უმაღლესში. მე მოგწერეთ წერილი. რა თქმა უნდა, ოჯახის წევრები არ გადმოგცემდნენ. მე კი მივრბოდი ნედლ სიმინდებში, ვვარდებოდი გულაღმა

და შევყურებდი ცას, თეთრ ღრუბლებს, ვით საშველს რაიმეს. რაღაცას ველოდი. აბა როგორ შეიძლებოდა სხვანაირად. ოჰ, ერთი დიდი რამ დამავიწყდა: კლასში წაგვიკითხეთ და გვითარგმნეთ ადგილი ოლივერ ტვისტიდან: „ცოტაოდენი ფაფა კიდევ დამიმატეთ, ცოტაოდენი სერ“, ვიღაცამ გაიცინა. თქვენ გაბრაზებით დახურეთ წიგნი. გეხვეწეთ, მაგრამ აღარ გააგრძელეთ, ესღა გვითხარით გულმოსულმა: ოლივერი რუსულადაცაა ნათარგმნი. კეთილი ინებეთ, და წაიკითხეთ, გაისარჯეთო. და, წარმოგიდგენიათ? მე ვიშოვე „ოლივერ ტვისტი“, პირველი წიგნი, რომელიც რუსულად წავიკითხე! დიკენსის სიყვარულით, თქვენის ბრძანებით – დავძლიე იგი! ეს იყო უღვთო, უღვთო ყამირი. მაინც გავტეხე. და ამის შემდეგ შევაღე დიდი მწერლობის კარი. დახარბებული, გაგიჟებული ვფლეთდი, ვკითხულობდი, ვეცნობოდი. გმადლობთ, ამისთვისაც!

ზაფხულშივე დავბრუნდი. იმ თვეებმა თქვენ მოგიტანათ ბედნიერება, ზეიმი სიყვარულისა. მე კი – სიცივე უარყოფისა, უთქმელი უარყოფისა. მახსოვს, როგორ სწრაფად გაიარეთ ერთად რუსთაველის პროსპექტზე. მახსოვს, რარიგ დატრიალებდით თავს მისაღებ გამოცდებზე. მე კი მომგვარეთ ვიღაც მეგრელი გოგონა საპატრონოდ. ახლაც მახსოვს სახელი და გვარი: ნორა პერტაია (მითხარით, გეთაყვათ, პერტაია აკლდა ჩემს „ბედნიერებას“?) სამაგიეროდ, პერტაია მიამბობდა ალიოშა საჯაიაზე, რომელიც სწორედ იმ ზაფხულს დაიღუპა. მიამბობდა, როგორ ბრძანდებოდით სამი მეგობარი – თქვენ, საჯაია და რეზო მარგიანი სამეგრელოში. როგორ ეჭვიანობდით ერთმანეთზე – ვის ვინ უფრო მეტად უყვარსო (არ ვიცი, იქნებ ტყუოდა კიდეც, ადვილი მოსალოდნელია მისი ჩაკონწიალებული ნაწნავებისგან), მერე პერტაია დაიკარგა და, საერთოდ, მეც დავიკარგე. არაფერს გაყვედრით, დავდიოდი ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე, დავხეტიალობდი წვიმაში, თოვლში. ვსველდებოდი, ვტალახდებოდი, ვეცემოდი. ვდგებოდი. თქვენ უბრალოდ იქეცით მიზნად (ცუდად არ გამიგოთ), თქვენ კი არა – ამოსვლა თქვენს სიმაღლემდე. ვწერდი გაუბედურებულ ლექსებს, ასეთს მაგალითად:

„ო, მე ეს აღმართი ბევრჯერ ამივლია
(ე. ი. ელბაქიძის აღმართი)
ვერ მოგწვდა გედური ძახილი:
რომ შენი ხელები ორი ყვავილია,
მკრთალი და ნამქერში დახრილი.
მომე ეგ ხელები, ძვირფასო ათასჯერ,
ვემთხვიო, ვემთხვიო მრავალგზის,
ცისფერ ქვეყანაში ღმერთებმა დამსაჯეს,
მარგუნეს სიკვდილი ლამაზი“.

ვიგონებდი უცნაურ სათაურებს, ასეთს მაგალითად: „ქორწილი ზეცაში“. გპირდებოდით, რომ ზეცაში გადავიხდიდით ქორწილს (ვითომ აქაოდა მიწა რა ჩემი საკადრისი და ტოლი იყო. ესღა დამრჩა ნუგეშად!) ღმერთმანი, მეცინება და მეტირება, მეტირება და მეცინება, ამას რომ ვწერ!

„ჩვენ ზეცაში გადავიხდით ქორწილს,
სადაც ლურჯი ყვავილები ფეთქავენ,
ჩვენ ზეცაში გადავიხდით ქორწილს,
რადგან ავცდით აქ, მიწაზე ერთმანეთს”.

და სხვა მრავალი... და ჩემი საბრალო ტვინი, არეული ტვინი ვერ ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი იყო დიდი, შავი სამუშაო ლექსზე, იყო უზარმაზარი სამზადისი, რომ მერე უბრალოდ, მიწიერად და ადამიანურად მეთქვა:

„მე აღარ ვდარდობ, აღარ ვეჭვდები,
მაქვს ბედნიერი, სველი ბეჭები”.

იმ წლებში, როცა პირველად მოვედი მწერლობაში, პირველად მოგიახლოვდით – უკვე ცხადად გძულდით. ერთხელ, სულნათელ შატბერაშვილთან ერთად ვიდექით საშვიდნოემბრო დემონსტრაციის შემდეგ, რაღაც ვთქვი. თქვენ მომიბრუნდით და როგორც მეტიჩარას, როგორც არამკითხეს: „რა ბრძანეთ, ქალბატონნო“, – სულ განგერიდეთ, იმდენად ფიზიკურად შევიგრძენ ეს სიძულვილი. მას შემდეგ სიკვდილს ვათავებდი, თუ თქვენთან შემოვიდოდი გამომცემლობაში (არ დაგიმალავთ: მე მაშინ ვფიქრობდი, რომ დამსახურებულად მივიღე ის ზიზღი). ერთი–ორჯერ მოვედი მხოლოდ, როცა მეტი გზა არ იყო. როცა თქვენმა ბუღალტერმა დამაღალატა: გრძელი ოთახი, თქვენ და მე, ეს საშინელება იყო. მე, ვისაც ამდენი რამ მიბოძეთ, ახლა რაღაც გროშების ბოძებას გთხოვდით (თქვენ ჭკვიანი ბრძანდებით, ძალიან ჭკვიანი – ხომ შემაძრწუნებელი იყო ეს?).

ახლა, როცა ასაკმა, წლებმა, საკუთარი თავის რწმენამ სულ სხვა ნათელი ჩააფინა ჩემს სულს, დამიბრუნა პატივისცემა საკუთარი არსებისადმი, ამამაღლა ჩემსავე თვალში, ახლა, როცა იმდენად სულგრძელი გავხდი, რომ გაპატიეთ ერთი საღამო, ჩემი ხელი რომ გეჭირათ, როცა დამპირდით, რომ ხვალ მწერალთა კავშირში გნახავთო (მაგრამ ის ნახვა თქვენც ზეცამდე გადადეთ).

ახლა, როცა თქვენს მაღალგონიერებას ვცემ პატივს, იმ საქმეს ვცემ პატივს, რაც გააკეთეთ ჩვენი ხალხისთვის.

იმ ჟურნალს ვცემ პატივს – თქვენ უპირველესად რომ ჩაუდექით (თუმცა მე იქ არ გამაჭაჭანეთ).

ახლა მკითხეთ, რისთვის დავწერე ეს ყველაფერი?

დავწერე მშვენიერებისათვის, რომელსაც ჩემი სიკვდილის შემდეგ დავტოვებ. ბრძანეთ, ხომ ვივარგებდი თქვენს ბიოგრაფადაც?

და რამდენი რამ მახსოვს კიდევ!

ამ ერთ პასაჟზე შევდრკი, გაგახსენოთ თუ არა? მოდით, დავწერ. ეს სისულელეც აპატიეთ თქვენს უნიჭო მოსწავლეს: ერთხელ, ჩვენი „შეგირდანობის“ წელს, ვიღაცამ ტელეფონით, მეზობლის ტელეფონით გამოგიძახათ. შეიძლება არც კი იცნობდით იმ მეზობელს; შეშფოთებული მობრძანდით. იმ ვიღაცამ გითხრათ, რომ იტანჯება, რომ, რომ უთქვენოდ

სიცოცხლე შეუძლებელია. რომ, რომ... მაშინ თქვენ ასეთი ფრაზით უპასუხეთ: „თუ ჩემი ტოლი ხართ, მიიღეთ როგორც საყვედური, ხოლო თუ პატარა – მიიღეთ, როგორც დარიგება, რომ უცხო ხალხის შეწუხება არ შეიძლება!“.. მიხვდით ახლა ალბათ, ის „ვიღაცა“ მე გახლდით. დღემდე მახსოვს ის დარიგება, იმდენად, რომ თქვენი შეწუხების დროსაც ყურმილი ხელში მეწვის. დამიჯერეთ, ეს იყო პირველი და უკანასკნელი.

ახლა კი ლექსი, რომელსაც არასდროს დავბეჭდავ:

„ზურგს უკან მიდგას ჩემი სატანა,
და ანგელოზი შიგნით.
მათ შუა ტანჯვით გამოვატარე
ჩემი ცხოვრების წიგნი.
ყველას თავისი უძევს ამფორა,
თვრება და კვდება მაგით.
თქვენს სულს, მშვენიერს, ვერ ვეამბორე
მიწად საქცევი ბაგით.
მაგრამ გიზგიზად დახშულ საკანში
ეს ხომ შევიცან სიბრძნის:
ვინ მთლად იოლად დგება ბაქანზე,
ვინ – წაქცევამდე იბრძვის.
მშვიდობით, თვალთა ჩემთა საჩინო,
ბნელი არ ყოფნის შიგნით,
ერთადერთს თქვენ გთხოვთ –
გადაარჩინოთ
ჩემი ფერადი წიგნი!...“

ეს, როგორ გამომრჩა ჩვენი შეხვედრა ხალხით გაჭედილ მატარებელში! თქვენ სურამიდან მობრძანდებოდით. მე ჩემი ქარიანი სადგურიდან – აგარიდან. თქვენ სარკმელთან იჯექით, მზეს იჩრდილებდით მოგრძო ქაღალდით, რომელზედაც, ვფიქრობ სინონიმები გეწერათ (ალბათ, რომელიმე ტრაგედიას თარგმნიდით შექსპირიდან). მე კი სრულიად კომედიურად მეჭირა კარტოფილებით სავსე, ყურამოგლეჯილი კალათი. თქვენ ვერ დამინახეთ. მე გავედი ჩემი ტვირთით კორიდორში, თბილისამდე ფეხზე ვიდექი და თბილისამდე ვტიროდი. მერე ის კარტოფილიანი კალათა ქრთამად მივეცი სადგურის კარებში მდგარ „მედპერსონალს“, არ გამსინჯოთ-მეთქი (ხომ გახსოვთ იმ წლებში „ტიფის წინააღმდეგ მიღებული ზომები!“). და ასე მშიერი, ფეხით ამოვედი ბელინსკის ქუჩამდე. განა დუმბაძის კალამი არ უნდა ყოველივე ამას?

მაპატიეთ, კიდევ ერთხელ მომიტევეთ, რომ გადაგღალეთ.

„ვინ მთლად იოლად დგება ბაქანზე,
ვინ წაქცევამდე იბრძვის...“

ერთი ლექსი

მიხა ხელაშვილი



* * *

115 წელი შეუსრულდა ფშაველ უნიჭიერეს პოეტს და პატრიოტს მიხა ხელაშვილს. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი ნათელი სული.

გთავაზობთ ერთ-ერთ მის ლექსს.

რა არის ჩემი სიცოცხლე,
მუდამ პურსა ვჭამ მწარესა,
ვერც თავსა ვშველი, ვერც სხვასა,
ვაბნევ ცრემლებსა ცხარესა,
გულამოსკვნილი დავყურებ
ჩემსა სამშობლოს მხარესა,
ვეღარც მზეს ვატყობ სიცხოვლეს,
ვერც სინათლესა მთვარესა.
მე კი ვსტირივარ, ჩემს გარდა,
სულდგმულთა გაიხარესა.
ვაი! მე არა შემიძლავ,
კარგს ვზივარ არემარესა,
მზემ თავის სხივნი მოჰფინა,
ღრუბელთაც გაიდარესა,
მე მაინც ეჭვიანი ვარ,
ვერავინ გამახარებსა.

1918 წელი. ბარისახო

ანზორ სიფიაშვილი

თოვს

თოვს და იანვრის თეთრი ქარია,
ტოტზე ფიფქებად სხედან ჩიტები,
მე ახლა ვხვდები, რად მიხარია,
ამ თოვაში რომ ცისფრად ირთვები,
თოვს, დაუსველდა ნაბიჯი ბილიკს,
და ალუჩებსაც შესცივდათ თითქოს,
მე მენატრები როგორც აპრილი,
მენატრები და მეტს არას ვითხოვ.
თოვს,
ზამთარია,
სიცივე დაქრის.
ნელ-ნელა ღამეც მოიპარება,
ყველა იცვლება, შენ კი კვლავ დარჩი
ცივი, ამაყი და უკარება.
თოვს
და დავდივარ ხეთა თრთოლვაში,
თეთრი ფიფქების ნაამბობს ვუსმენ,
და ეს ჩურჩული ამ ჩუმ თოვაში
ალბათ შენამდეც მოვა ოდესმე...
თოვს,
გაუთეთრდა მინდორსაც მკერდი,
თოვს,
ძილი ისევ არ მეკარება,
და მიხარია, რომ ხარ ასეთი
ამაყი, ცივი
და უკარება...

* * *

ნეტავ თვალები მაგ შენს თვალებში
ვითარც ღრმა ტბაში – ჩამაყოფინა,
მერე გამტყორცნა ქარივით მთებში,
სადაც ჯერ არვინ არა ყოფილა,
ან დამასახლა შენს სახლის ახლოს,
შენი ცა, შენი მზე მამყოფინა,
შენ ლამაზი ხარ, როგორც არასდროს,
არც ერთი ქალი არა ყოფილა!

ვახტანგ მეფის ნადირობა

(წიგნიდან „მეფე ვახტანგ გორგასალი“)

...დღე გაბრწყინდა, მცხეთელებო,
დღე ლამაზი და დღე დიდი,
სხვას რას ნახავთ მის უკეთესს –
მეფე სანადიროდ მიდის!
თენდება და მზის სხივები
ცაზე ვარსკვლავებსა ჰკრეფენ,
ბუკ-ნაღარის ხმა მთებს სწვდება:
სანადიროდ მიდის მეფე!
დილის სიო ტოტებს არწევს,
ტოკავს მუხაც, მუდამ მშვიდი,
გაიღვიძეთ, მცხეთელებო,
მეფე სანადიროდ მიდის!
ხელზე უზის ქორ-მიმინო,
მწევარ-მეძებრები ჰყეფენ,
მტკვრის დაბურულ ჭალებისკენ
სანადიროდ მიდის მეფე!
ცხენს ფაფარი უღელავს და
ზურგს უმშვენებს ოქროს ტახტა,
სვეგრძელი და ბედნიერი
სანადიროდ მიდის ვახტანგ!
განა მხოლოდ საბრძოლველად,
განა მხოლოდ სანადიროდ,
ამაყი და მხიარული
მეფე მიდის სანადიროდ!
დაგეშილი მეძებრებით.
გაწვართული მწევრებითა,
მეფე ნადირობას იწყებს
მტკვარ – არაგვის ტევრებიდან!
მეფეს ტანი აუყრია,
თვალში ცეცხლი უბრიალებს,
ერთ ნაბიჯად გადაივლის
ვახტანგ მეფე მტკვრის მთელ ჭალებს!
მაშ, დაჰკარით დოლს და დაფდაფს,
გუგუნებდეს სპილენძ – ძელი,
ვახტანგ მეფის ნადირობას
მთელი საქართველო ელის!

შენ და გაზაფხული

დიდხანს გელოდით შენ და გაზაფხულს,
აღარ უჩანდა ამ ლოდინს ბოლო,
და, როგორც იქნა, გავიდნენ დღენი,
და გაზაფხული მოვიდა მხოლოდ...
ო, ამ გაზაფხულს როგორ ველოდი
ვერ წარმოიდგენ, სიცოცხლეევ ჩემო,
დიდხანს ველოდი და თითქოს ვგრძნობდი,
რომ მოვიდოდა იგი უშენოდ,
დღემდე ახსოვხარ მდუმარე ხელებს,
კვლავ გიგონებენ ჩუმი თითები,
შენ დამიტოვე სიცარიელე,
განუცდელი და ამოუვსები.
მოვიდა მარტი ლოყებით სველით,
მეც სველ ლოყებით ვფიქრობ და ვდარდობ...
მე კვლავ გიგონებ, თუმც აღარ გელი,
თუმც გაზაფხულიც მოვიდა მარტო.
ხეებზე თოვლი ნელა გახუნდა,
მე თმაშიშველი გაველი ქარში,
მე გაზაფხული მიყვარდა მუდამ,
შენც გაზაფხულზე მოხვედი მაშინ,
დიდხანს გეძებდი და როცა შეგხვდი,
შენ მოიტანე აპრილი თითქოს,
შენ გაზაფხულთან ერთად მოხვედი
და გაზაფხულიც სულ ჩემთან იყო.
მე აღარავის არ ველი ახლა,
ლოდინით მე შენ გელოდი მხოლოდ,
შენ დაიღალე ნამდვილად, ანდა
ხომ უნდა ჰქონდეს ყველაფერს ბოლო.
დიდხანს გელოდით შენ და გაზაფხულს,
აღარ უჩანდა ამ ლოდინს ბოლო,
და, როგორც იქნა, გავიდნენ დღენი,
და გაზაფხული მოვიდა მხოლოდ...

* * *

მადლობა ღმერთს, რომ არ ქრები ისე
უკვალოდ ცაზე ვარსკვლავი, როგორც
რომ შენი ფიქრი ახსოვს მაისებს,
რომ ქვეყნად სტოვებ ძესა და მომგონს...
მადლობა ღმერთს, რომ იხილე ეს ცა,
რომ ინებივრა თვალმა ზღვის ფერში,
დაჭრილი ირმის რომ გესმა კვნესა,
რომ მარტის სუნი იგრძენ ჰაერში,
მადლობა ღმერთს, რომ სულ ერთი წამით
ეს მთები იგრძენ საკუთარ მკერდში,
რომ ქართულ სიტყვას ცოტა შენც სწამდი,
მინდვრის ყვავილად ეჭირე ხელში...

* * *

შენზე ფიქრი შემაყვარა გაზაფხულმა
და ტყემლებმა, თეთრი კაბით მორთულებმა,
სიყვარულის დარიაო — მითხრა გულმა,
ენძელებმა — შენზე ლოცვით გართულებმა.
მე მახსოვხარ, როგორც ბავშვი პაწაწინა,
მარტის თვეში ალუბალზე მცირე კვირტი,
სად იყავი, რად არ გნახე ნეტავ წინათ,
ანდა დღემდე ნეტავ რად არ დაგაკვირდი.
ჩემმა წლებმა გაირბინეს უცაბედად,
და სიბერის ანარეკლი მიჩანს თმაში,
ახლა ვხვდები — გაჩენილხარ ჩემდა ბედად,
ვიძირები მაგ შენს თვალთა გიშრის ტბაში.
მორცხვი იყავ, როგორც ია პაწაწინა,
ლურჯი კაბა გიფარავდა ბავშვურ მუხლებს,
თითქოს ქარი მოფრინდა და დაგაძინა,
სულ შენზე რომ ჩამძახოდა ძილში წუხელ.
ახლა მიცქერ სხვა სახით და სხვა თვალებით,
მე რომ ასე უცაბედად გადამრია,
ჩემს ჭაღარას მე შევცქერი დანანებით
და მგონია, ყველაფერი სიზმარია...

* * *

როდესაც ჩუმად სძინავს ტყემალს,
ანდა ალუჩას,
როდესაც ცაზე ღრუბელთ რემას
ბოლო არ უჩანს.
როცა ოცნებობს ცისფერ ცაზე
თეთრი გვირილა.
ო, მაშინ, მაშინ თუ განიცადე
აპრილის დილა,
თუ შესძელი და სულ ერთი წამით
შეასწარ თვალი,
როგორ ირწევა ქარში ლერწამი
დარდისგან მთვრალი,
მაშინ, ო, მაშინ იგრძნობ — სუნთქავს
სამყარო ვრცელი,
და გელის, გელის,
მხოლოდ შენ გელის,
რომ გაგიმხილოს საიდუმლო
დიდი, ფარული,
რომ უსაზღვროა სიყვარული,
ეს სიყვარული...

ტატო თოფუჩია

მონატრება წარსულის

ბაბილონის გოდოლი ოცნებებმა შელეწეს.
ჩაშენებულ დარაბებს გაუჩრიათ ფიქრები.
ეს ეპოქა წმინდანებს მონატრებით აბრაზებს
და დარაზმულ დარბაზებს
შანდლის ქურდი ანათებს.
ეშაფოტზე ასული, შორით გვიცქერს წარსული.
მეტასტაზებს ნაგავი უფრო მეტად ახარებს.
დგანან ბედის კუთხეში დაჩოქილი მუხები,
მაგრამ მუმლი ვერასდროს
ვერ მოიტანს განაჩენს.
ბაბილონის გოდოლი წმინდანებმა დაამხეს.
დგანან ბედის კუთხეში მომლოდინე თვალები.
ღამე ფიქრებს არიგებს, ისე როგორც
თაღლითებს
და ძარღვებით შენისლულ
შუბლზე რეკავს ზარები.

* * *

ღამის თვალებში შემოიჭრა ღამის ზმანება,
დაღლილი მთვარე ძილ-ღვიძილში
მცირედ ელვარებს.
მე აზროვნებით შეჭმუხნილი გონება მხიბლავს,
მაგრამ ფიქრებმა უმძიმესი ჭრილობა შექმნა.
ელვარებს ზეცა ლამპიონის მკრთალი ნათებით,
ცოცხალი მთვარე გვირგვინად დგას
გარდაცვლილ დაზე.
გაცრეცილ ლოცვანს გადავშლი და გავისაუბრებ
ღმერთთან, რომელსაც ამ დილითაც ველაპარაკე.
გადაღლილ ღამეს მე ხვალ დილით გადავაკეთებ
დილად, რომელსაც არც კი ვიცი,
თუ რა დავარქვა.
დამყვება ფიქრი ასეულთა მთელი სიდინჯით
და გადარია არეული სული ფიქრებმა.
ვილაპარაკებ, კიდევ ერთხელ ვილაპარაკებ,
მერე წავალ და სარეცელზე მშვიდად დავწვები.
განვიკურნები, ფიქრებისგან დამშვიდებული,
მოხუცი ბავშვი და ბავშვურად მოხუცებული.

ზეცის შემოქმედება

ეს ფოთლები, ფერადი,
ბიბლიურად გვემხრობა.
ძმაო, ხელი მომეცი,
თორემ ზეცა გვემხობა.
იყოს ლოდის ლოდინი,
ოღონდ იყოს შენდობა,
ჩვენ ხომ მიწის ბოგინი,
ზეცისფერად გვეგრძნობა,
როს სიმშვიდეს სახსრებზე
ტეხავს უიმედობა
და გარიყულ ზეცაზე
ღრუბელია ეს ცოდვა.
ცოცხალ საფლავს დაედო
იობისფრად წამება,
მთვარის შუქზე შავ-თეთრი
ღმერთ-კაცი ეწამება.
ეს ნარინჯის ფოთლები
— უსასრულო ეპოქა —
ჩვენ ვართ მიწით დასჯილი
— ზეცის შემოქმედება.

* * *

მე ველი ცისფერ ზაფხულში
ორქიდეების ქროლვას,
ვარდთა ფოთლების ხმაურში
შენი თილისმით მოსვლას.
და გაზაფხულზე მწარედ,
სულს სიხარული მოკლავს,
ამ მოლოდინით არევ
ცას, ფიფქები რომ მოაქვს.
და შემოგწირავ თვალებს,
უცრემლოს, ღრუბელ ნარევს
და გავაყვითლებ მიწებს,
შემოდგომათა დამდეგს.
სიყვარულისფრად დამგმე,
ასე მომეცი შვება
(და ფანტელების აკნე
მიწას აჩნდება თოვლად).
არაფერია გვიან,
თუკი შორდება წყვდიადს.
მე, სიხარულით ველი
ფარდის სინაზით ფრიალს.

დეკემბერი

ზამთარია, დეკემბერი წვიმის წვეთებს ცრის,
ეს ღრუბლები შემოდგომას შემოეწყო გარს,
ეს საღამო წინანდელით გამალებით წვიმს,
მახსენდები და შენც ჩუმად შემოაღებ კარს.
თვეებია შენი სახე მიტანჯავენ თვალს,
ვიცი, კიდევ დიდი ხანი ვერ გავიგებ ხმას.
მაშინდელით შეშფოთებულ შემოდგომას ვრთავ,
ვით ნაძვის ხეს ახალი წლის
საჩუქრად რომ დგას.
ჩემი სახე ხელებს ააქვთ გაჩხერილი ფხად,
შენი გრძნობა დიდი ხანი ფერწასულებს ჰგავს,
მე კი ისევ მაგონდები და მითხარი: რად,
რად უარყავ ჩემი ლექსი და მიმალავ თავს?!
ზამთარია, დეკემბერი წვიმის წვეთებს ცრის,
შენ კი ისევ ზაფხულივით მიმზეურებ გულს,
ეს საღამო უჩვეულო მონატრებით წვიმს,
შენი სახე თვალწინ მიდგას და ლოცვები დუღს.

მორჩა მეგობარო!

მორჩა მეგობარო, აღარ მეშინია ღამის,
ლოცვანს გავუცრიცე დილით გაცრეცილი სახე.
ვზივარ დასასრულთან ბედით უბედური წამის,
მოტყდა, მეგობარო, ჩემი შერისხული დღის ხე.
აღარ მეშინია, აღარ მეშინია არც დღის,
შიშმა უძლეველმა შიშით დაიძვრინა თავი.
მორჩა, მეგობარო, აღარ მეშინია ღამის
და ის გაიძვერაც სადღაც გადაფრინდა, ყვავი.

სურათს...

სიტყვები ყოველთვის ყველაფრად მიღირდა,
დაცემულ სტრიქონებს ზეცაში ვპოვებდი
და შენი თვალების სამკალმა გამწირა,
მე უკვე ოცნების ძმა – უარყოფილი.
მივდივარ ზეცაში ფერშეცვლილ მითებად
და მუდამ მომღიმარს დაგტოვებ მიწაზე.
მე შენი სუნთქვის ხმა ყველაფრად მიღირდა
და ქარად ვიქცევი, რომ მასში გადავრჩე.
ამ შემოდგომის ფოთლებში გიხილე,
ისეთი უნაკლო, როგორიც ლოცვები
და ჩუმად, ჩემს გულში, უცრემლოდ ვიტირე
– უფლება მომეცით მიწაზე დავეშვა.
მე შენი ღიმილის ტკივილი მეყოფა,
მზითგამთბარ სტრიქონებს ზამთარში ვითხოვდი,
(რად მინდა დიდება), გუშინ წინ ითოვა
ისეთი სითეთრით, როგორიც იცოდი...

ცისფერი ღვინო

სული მოგავდა ცისფერ ღვინოებს,
სიწმინდის ჯამით სახეავსილი.
ამდენი ჯვარცმით მფრენ მიმინოებს,
შენი პირჯვარით მედგა ცისკარი.
და როგორც ღამის უმთვარო პროსპექტს,
შენი თვალები მზით მანათებდა
და მე ვტიროდი მზისფერ განაჩენს,
ისეთ ცრემლებით, ვით ანათემას.
ისევ გესმოდა ჩემი ძახილი –
დაღლილი სულის ნანატრი დროშა,
მთაზე კი იდგა სანდო აჩრდილი,
შენი აჩრდილი და გამაოცა.

* * *

ვუყურებ ზამთარს –
დედამიწის ბოლო თავდახრას
და ეს სიცივე სევდასავით ისევ მაწვალებს.
შენ კი არ გჯერა დასასრული ზეცის განცდების,
რომელიც ნაცნობ თვეებივით გამოიგონეს.
და მიატოვეს წელიწადი თორმეტ სიტყვაში,
მსგავსად იმ ღამის სიტყვებივით,რომ დამივიწყე.
ახლა, ვჩურჩულებ, გატანჯული,
რომ ვერ ვიცვლები,
ვარდის ეკლებთან მოტყუებით, რომ დავინიშნე.
რომ გადამცვალეს ამ ეკლებმაც ისე მარტივად,
როგორც თეთრ ღამეს ამღვრეული მეოცნებენი,
ისევ ვაგრძელებ ამ კედლებზე სიჩუმის ხატვას
და შენც ზაფხულის სითბოსავით
ჩუმად მეცლები.

* * *

ღამე დგებოდა ისეთი მწარე
როგორც ბავშვისთვის მრისხანე დედა,
მაგრამ ვკეტავდით სინათლის კარებს,
რადგან ტკივილებს მოჰქონდათ შვება...
მოჰქონდათ ღიმი, მკვდარი ფოთლები
დაცვენილიყვნენ სიცოცხლის კარზე,
მთვარე კი იდგა თავის დიდებით,
თითქოს ღირსებით ელოდა გამჩენს.
და როგორც გუშინ, ისეა დღესაც,
როს მონადირემ დაკოდა შველი
და იმ ტანჯვასაც ეწოდა ლხენა,
როდესაც გველის დაიმსხვრა თხემი.
ღამე კი იყო ისეთი მწარე,
როგორც ბავშვისთვის მრისხანე დედა,
მზე ადიოდა ტრიუმფით ცაზე
და მაინც ტკივილს ეწოდა შვება.

პროზა

ნინო ლოსტუჩიშვილი

ნ ი ნ ო

ზამთრის სუსხი თეთრი ნაბადივით შემოკვართოდა ბუნების შიშველ სხეულს და სამყაროს მკაცრი მარწუხებით აკრთობდა. ირგვლივ გამეფებულ სიცარიელეს ჯაჭვივით შეჰბმოდა, გაცრეცილი უგულო დღეები, გაყინული ღამეები და პატარა ბარათით მონაგარი მძიმე ხვედრიც კი, – „დიდი მწუხარებით გაცნობებთ, ბრძოლის ველზე, თქვენი მეუღლის გმირულად დაღუპვის შესახებ“. წერილი ჩათავებული არ ჰქონდა, რომ გულის არეში დანასავით გაკაწრა იდუმალმა ტკივილმა, მარტოდ დარჩა, სრულიად ეული.. ცრემლები ძლივს შეიკავა, შერცხვა თავისი სისუსტის... სწორედ ამ დროს იგრძნო მუცლის არეში მსუბუქი ბიძგები, დიდი სიყვარულით მიუალერსა ნაყოფს. ეამა დედაშვილური ზრუნვა, გაახსენდა, რომ სწორედ ის იყო საუკეთესო განცდა და იმედის მწვერვალი. უნდა განაგრძოს ცხოვრება, აუცილებლად გასწიოს ის ჭაპანი, რაც უფალმა დააკისრა მხრებზე, მაგრამ სად?! აქ, ამ ქალბატონის სამფლობელოში?! – რამდენი ხანი უნდა იდგე გაქვავებული, რაზე ფიქრობ? იმ უსარგებლო ნაყოფზე ხომ არა?!

ყინულივით ცივი ხმის ტემბრმა ახალგაზრდა ქალს ფიქრის ძაფი გაუწყვიტა, საღად ათვითცნობიერებდა, რომ მასთან წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ სრულებით დაუთმო ბრძოლის ასპარეზი, – „წინ ორმოცი და წლისთავი გველის, მე რომელი ერთი შევძლო... სინანულით გააქნია თავი და მცირედი პაუზის შემდეგ განაგრძო... სამწუხაროდ, ექიმის თანხა არ გვაქვს, ამიტომ ხვალ ექიმბაშთან ვართ დაბარებული და გაემზადე... მისი სიტყვა ხომ კანონი იყო, რომელსაც უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდი, სწორედ ამის გამო მასთან შედავება უსაფუძვლო იყო. ნინოს გულზე ლოდივით დააწვა დედამთილის გადაწყვეტილება, მაგრამ სად წასულიყო?! ვისთვის ეთხოვა დახმარება?! ამ ქალის ხომ მთელ სოფელს ეშინოდა, ახლა თვითონაც გაუსაძლის შიშს შეეპყრო, იცოდა, რომ ტირანს ყოველთვის გაჰქონდა თავისი, მაშინაც კი, როდესაც მეუღლე ჰყავდა ცოცხალი, ახლა კი მის კლანჭებშია მოქცეული დამფრთხალი ჩიტივით, და თავისუფლების წყურვილი ახრჩობს.... მისავათებული გავიდა ბავშვების ოთახში, მძინარე შვილებს მიუალერსა, მიესიყვარულა, ბალიშზე ფრთხილად დადო ფიქრისგან დამძიმებული თავი და ცოტა ხნით ჩასთვლიმა კიდეც, განთიადზე ჯალათივით დაადგა დედამთილი და გამზადება სთხოვა,ისევ განუახლდა დარდი და ნაღველი,კვნესით ასწია დაოსებული სხეული, უნიათოდ გაჰყვა მის გაკვალულ გზას. იქვე ახლოს ცხოვრობდა ყასაბი, – ასე ეძახდნენ ასაკიან, შეუხედავ ქალს, რომელსაც შემთხვევით მიეგნო სამკურნალო მეთოდისთვის და ხალხს ამ გზით თავგზას ურევდა.

უსიტყვოდ შეაღეს გამეხებული ჭიშკარი,ჩვეული სიდინჯით მიესალმა ნინო ექიმბაშს. რომლის უდარდელი სახეც თვალში საცემი იყო,მაგრამ ეს არ ანაღვლებდა, შესაწირი პირუტყვივით იდგა სიკვდილის მოლოდინში. პირველი ბრძანებაც უყოყმანოდ შეასრულა გამხმარ გაყინულ ქვეშაგებზე მოთავსდა და დაელოდა განაჩენს, ნინომ უნებურად შეავლო თვალი იარაღებს, რომელთაც ექიმბაშმა ცივი წყალი გადაავლო და შეუდგა ოპერაციის სრულყოფას. რამდენიმე წუთი ჯიჯგნიდა სხეულს სხვადასხვა საგნით, როცა საწადელს მიაღწია, სათანადო ჯამაგირი აიღო, და სტუმრებს სახლის დატოვება სთხოვა. ახალგაზრდა ქალი კი გამურული ჭერის ერთ წერტილს მისჩერებოდა, თითქოს იქ სურდა მიეკვლია ხსნისთვის, აი, გაელვებასავით გამოჩნდა კიდეც ნაცნობი სახე. ეს ხომ მისი გარდაცვლილი დედაა, ჩურჩულით ჩაესმა ყურში – „შენ მოგიკვდეს დედა“....

გული აუჩუყდა, თითქოს სურდა,შეეთხოვა, წამიყვანე, მომაშორე ამ ჯალათებსო, მაგრამ გაუსაძლისმა ტკივილმა აზრები დაუფანტა, კვნესით წამოდგა ფეხზე და ბარბაცით გაჰყვა დედამთილს უკან, გზადაგზა გრძნობდა, რომ სისხლად იღვრებოდა, წითელი ნაკვალევი ურემზე შემომჯდარმა ბერიკაცმაც შეამჩნია და სინანულით გააქნია თავი, დიდი მოწიწებით შესთავაზა წაყვანა ავადმყოფს, მაგრამ დედამთილმა კატეგორიული უარით გაისტუმრა, ასე დაიცვა რძალი ცუდი ენებისგან...

როგორც იქნა, მიაღწიეს სახლამდე, ნინო ისეთი მოთენთილი იყო,რომ საწოლში ფოთოლივით ჩაესვენა, ვერც ბავშვები მოისიყვარულა, ისე იბრუნა გვერდი კედლისკენ, მხოლოდ ჭიქა ჭყალი ითხოვა და ამის უფლებაც არ მისცა თვითკმაყოფილმა დედამთილმა, სამზარეულოდან წამოღებული სითხე შვილიშვილს ფანჯრიდან გადაუღვარა, თან საჯაროდ წარმოთქვა: „ყველა საკუთარ თავს მოემსახუროს“– ეს ბოლო სიტყვები სიზმარივით ჩაესმა, შემდეგ გონება დაებინდა, შორეულ ჩრდილებში ნათლად ხედავდა კარების ზღურბლზე თეთრებში შემოსილ დედას, როგორ მსუბუქად მიიწევდა მისკენ. ნაზად, სიყვარულით მოსწმინდა ცრემლები, ამით ანუგეშა, ფრთხილად დაუწვინა დაკარგული ჩვილი გულზე,ორივეს მზერით ტკბებობოდა,ნინოს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა – ერთ მხარეს მონატრებული,მზრუნველი,სათნო დედა, მეორე მხარეს კი დაკარგული სიყვარულის ნაყოფი, თითქოს სამოთხეში იყო, სადაც ამდენი ტკივილის და განცდების შემდეგ, განუსაზღვრელ ბედნიერებას განიცდიდა.

თამაზ შაიშმელაშვილი

„მთების ბალადა“

11 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის სააქტო დარბაზში გაიმართა ლეგენდარული მთამსვლელის, მყინვარწვერზე პირველი სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილე ერთადერთი ქალის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ალექსანდრა ჯაფარიძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ერეკლე გამყრელიძემ:

„ალექსანდრა ჯაფარიძის მთამსვლური მოღვაწეობა, უპირველესად, მეცნიერებას უკავშირდება.

უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი, 1921 წლიდან, ნივთიერი ხელმოკლეობის გამო, სწავლის პარალელურად, მუშაობას იწყებს თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, ჯერ დამკვირვებლად, გამომთვლელად, სი ნოპტიკოსად, ხოლო 1941–1944 წლებში, დაწესებულების გასამხედროების შემდეგ, ამიერკავკასიის ფრონტის ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოს ამინდის ბიუროს უფროს ინჟინერ-სინოპტიკოსად.

1923 წელს, ობსერვატორიის დირექტორის, პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით, მყინვარწვერზე ეწყობა პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, რომელშიც, როგორც „მეტეოროლოგიური ნაწილის დამკვირვებელი“, მონაწილეობს ერთადერთი ქალი – ალექსანდრა ჯაფარიძე.

1923 წლის 3 სექტემბერს ალექსანდრამ პირველად შედგა ფეხი მყინვარწვერზე და აქედან მოყოლებული, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ გაუწყვეტია მთებთან კავშირი. საზოგადოებრივი დატვირთვის სახით, იგი განუწყვეტლივ მუშაობდა ალპინიზმში, სადაც უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

ჯაფარიძეთა ოჯახიდან მთამსვლელობას პირველად ალექსანდრა ეზიარა. 1923 წლიდან მოყოლებული, მან, კავკასიონის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მწვერვალი დალაშქრა და ძმებთან, გამოჩენილ მთამსვლელებთან სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეებთან ერთად დაიწყო მაღალმთიანეთისა და მიუვალ მღვიმე-გამოქვაბულთა მეცნიერული შესწავლა-ათვისება. მათ ჩაუყარეს საფუძველი მაღალმთიანეთის მეტეოროლოგიურ კვლევას და მყინვარწვერის კალთებზე, სადაც შემდეგ მეტეოსადგურის უზარმაზარი



ალექსანდრა ჯაფარიძე

შენობა აშენდა, იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად, პირველებმა ააგეს პატარა ფიცრული სახლი მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის.

ალექსანდრა ჯაფარიძეს, ცხოვრებამ, მრავალ ტკივილთან ერთად, სიხარულიც ბევრჯერ აჩუქა. ერთი ასეთი სიხარული იყო ლეგენდად ქცეული ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენა და კვლევა.

1947 წლის 24 დეკემბერს, ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომლებისაგან შეიტყო თუ არა, მყინვარწვერის კალთებზე, ზღვის დონიდან 4000 მეტრზე, კლდეში რაღაც კარის მსგავსი შევამჩნიეთო, ალექსანდრა ჯაფარიძემ დაუყოვნებლივ მიმართა საქართველოს მთავრობას ბეთლემის შემსწავლელი ექსპედიციის მოსაწყობად. მომზადებას დიდი დრო არ დასჭირვებია და 1948 წლის 7 იანვარს ჯგუფი ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით უკვე ბეთლემის გამოქვაბულში იყო. მშვენივრად ჩანდა ილიასეული „რკინის რამ ჯაჭვი“ და გამოქვაბულის კარი.

გამოქვაბულში შესულთა ყურადღება, პირველ ყოვლისა, საოცარმა სისუფთავემ და ნივთების მრავალფეროვნებამ მიიპყრო. ნაპოვნ განძთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა XIII საუკუნის

ალექსანდრა ჯაფარიძის ხსოვნის საღამო

რელიეფური გამოსახულებებით და ასომთავრული წარწერებით შემკული ხატი, მასზე უფრო ძველი, ბრინჯაოს სამფეხა შანდლის ძირი და XV, XVII, XVIII საუკუნეების ქართული და ირანული ვერცხლის მონეტები.

ბეთლემის საიდუმლოების გახსნამ დიდი გამოძახილი ჰპოვა როგორც ჩვენში,ისე მის ფარგლებს გარეთ. ბეთლემით მრავალი ადამიანი დაინტერესდა, მათ შორის იყვნენ ცნობილი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი იგორ ტამი და პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი. ამის შემდეგ ქართველმა ახალგაზრდებმაც არაერთხელ მოინახულეს ბეთლემის გამოქვაბული. ერთ-ერთი მკვლევართაგანი, ბატონი პარმენ მარგველაშვილი აქ ბრძანდება.

ალექსანდრა ჯაფარიძე თავის ძმასთან – ალიოშასთან ერთად 1945 წელს მონაწილეობდა ხვამლის გამოქვაბულის კვლევაში.

მან ქართულ ენაზე აამეტყველა ცნობილი ფრანგი მთამსვლელის, ჰიმალაებში პირველი 8-ათასიანი მწვერვალის დამლაშქრავი ექსპედიციის ხელმძღვანელის – მორის ერცოგის გახმაურებული წიგნი „ანაპურნა“, რომელშიც ხატოვნად და ამაღელვებლად არის აღწერილი სტიქიასთან უთანასწორო ბრძოლაში მთამსვლელთა შესანიშნავი გამარჯვება. ეს თარგმანი ალექსანდრა ჯაფარიძის უკანასკნელი საჩუქარი იყო მთამსვლელობის თაყვანისმცემლებისა და მთელი ქართველი ხალხისადმი.

თუ ალექსანდრა ჯაფარიძის სპორტულ მიღწევებს შევაფასებთ, მას აქაც არ ჰყავს ბადალი. იმ დროს, იგი,პირველი ქალი იყო მსოფლიოში,რომელმაც ფეხი შედგა თეთნულდსა და უშბაზე. ძირსდაუშვებლად, სურსათის მარაგის შეუვსებლად, 13 დღეში გაიარა ცენტრალური კავკასიონის ურთულესი ტრავერსი, დალაშქრა 20-ზე მეტი მწვერვალი, რომელთაგან 11 უძნელესთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. ქალის მონაწილეობა ასეთ რთულ ლაშქრობაში პირველი შემთხვევა იყო მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში. 55 წლის ასაკში, თავის მოწაფეებთან ერთად, ერთ-ერთი რთული მარშრუტით დალაშქრა მწვერვალი დიხ-თაუ, ხოლო 58 წლისა მყინვარწვერზე მე-19 და საბოლოო ასვლით გამოემშვიდობა მწვერვალებს.

1944 წელს ალექსანდრა ჯაფარიძე თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმის და ალპინიზმის კაბინეტში მიიწვია კაბინეტისა და სასახლის დამაარსებელმა, დიდებულმა ქალბატონმა მზია ერისთავმა. ამ კაბინეტმა მრავალი სახელოვანი და ღვაწლმოსილი ადამიანი აღზარდა, რომელთა ნაწილი დღეს აქ, ამ დარბაზში იმყოფება.

ალექსანდრა ჯაფარიძე 1974 წელს ვალმოხდილი განერიდა ამ წუთისოფელს. იგი დაკრძალეს ვერის ბაღში, თავისი ძმების გვერდით.

რაც შეეხებათ ალექსანდრა ჯაფარიძის ძმებს – სიმონსა და ალიოშას, მათ ეპოქა შექმნეს ქართულ ალპინიზმში.

სიმონი, სპეციალობით გეოლოგი, თავისი დროის არა მხოლოდ უძლიერესი მთამსვლელი, არამედ შესანიშნავი მკვლევარი და არაჩვეულებრივი ორგანიზატორი გახლდათ. 1926 წელს, როცა გეოგრაფიული საზოგადოების მთამსვლა-მგზავროსნობის განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი ნიკოლაძე სამწლიანი სამეცნიერო მივლინებით უცხოეთში გაემგზავრა, განყოფილება სიმონს ჩააბარა, რომელმაც იმ დროისათვის ფანტასტიკური ასვლები განახორციელა მყინვარწვერზე. 1928 წელს მისი ხელმძღვანელობით მოეწყო პირველი რადიო და კინოექსპედიცია მყინვარწვერზე 41-კაცის შემადგენლობით. პირველად ალპინიზმის ისტორიაში, 5000 მეტრ სიმაღლეზე გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „კავკასიის კარიბჭე“ („Врата Кавказа“). ასევე უნიკალური იყო სიმონ ჯაფარიძის მიერ მყინვარწვერზე ტემპერატურის ცვალებადობის ერთკვირიანი ავტომატური ჩანაწერის გაკეთება. მწვერვალიდან მოხსნილი ეს დიაგრამა შემდგომ პარიზში,მსოფლიო მიღწევათა გამოფენაზე გაიგზავნა. მაგრამ მის ცხოვრებაში,მით უმეტეს გეოლოგისათვის, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი იყო 1924 წელს ლოპოტის ხეობაში თეთრი მარმარილოს საბადოს აღმოჩენა, რომელიც შემდგომ, 60 წლის განმავლობაში მსოფლიოს 57 ქვეყანაში გაჰქონდათ, მაგრამ მის ექსპლოატაციაში შესვლას საბადოს აღმომჩენი, სამწუხაროდ, ვეღარ მოესწრო. იგი 1929 წელს დაიღუპა მწვერვალ თეთნულდზე ასვლის დროს – მიეშველა განსაცდელში მყოფ პიმენ დვალს. მისი გადარჩენა ვერ შეძლო და თან გადაჰყვა.

ალიოშა ჯაფარიძე მთამსვლელობაში სიმონის დაღუპვის შემდეგ მოვიდა და როგორც ბატონი კოტე ჯავრიშვილი წერდა: „1930 წლიდან დაწყებული, ვიდრე 1945 წლამდე, მთამსვლელობის განვითარება საქართველოში და ჩვენი მთამსვლელობის თითქმის ყველა გამარჯვება მჭიდროდ არის დაკავშირებული ალიოშა ჯაფარიძის სახელთან. 16 წელი იმოღვაწევა ალიოშა ჯაფარიძემ მთამსვლელობის სარბიელზე და ამ ხნის განმავლობაში კავკასიონისა და პამირის მწვერვალებზე შეასრულა ასზე მეტი უძნელესი და რეკორდული ასვლა, რითაც შესანიშნავი მთამსვლელისა და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის სახელი მოიხვეჭა“.

თავისი გამოსვლის შემდეგ აკადემიკოსმა ერეკლე გამყრელიძემ სიტყვა გადასცა ალექსანდრა ჯაფარიძის მემკვიდრეს, ქართული მეცნიერებისა და კულტურის ქომაგსა და პოპულარიზატორს, გეოლოგიის დოქტორს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატს ივანე ჯაფარიძეს, რომელმაც, თავის მხრივ, საზოგადოებას წარუდგინა რევაზ თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი, სამხატვრო ხელმძღვანელი და მსახიობი იზა ვეფხვაძე, რომელმაც ალექსანდრა ჯაფარიძისადმი მიძღვნილი საავტორო ლიტერატურული სპექტაკლით „მთების ბალადა“ განაცვიფრა და აღაფრთოვანა დარბაზში შეკრებილი უამრავი მაყურებელი.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ, იზა ვეფხვაძის ხელოვნება შეაფასეს, ბავშვობა და საყვარელი მასწავლებლის „დეიდა ალექსანდრას“ წინამძღოლობით ჩატარებული ალპინისტური ნათლობა გაიხსენეს ქართული კინოს კორიფეებმა ელდარ შენგელაიამ და მერაბ კოკოჩაშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ: ალექსანდრა ჯაფარიძის მშობლიური კუთხის ჭიათურის წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის წევრი მალხაზ წერეთელი, არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე, რომელმაც ვერის ბაღში დაკრძალული და-ძმა ჯაფარიძეების საფლავის სავალალო და ავარიული მდგომარეობის შესახებ აუწყა საზოგადოებას.

ლიტერატურული სპექტაკლის ავტორმა, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ კი დამსწრეთ მოუთხრო და-ძმა ჯაფარიძეებისადმი მიძღვნილ სპექტაკლზე მუშაობის დროს მიღებული განცდებისა და შთაბეჭდილებების შესახებ, რომ მასაც გაუჩნდა ბეთლემამდე ასვლის დაუოკებელი სურვილი.

დასასრულ, ივანე ჯაფარიძემ დიდი მადლობა გადაუხადა ლიტერატურული სპექტაკლის ავტორსა და სულისჩამდგმელს იზა ვეფხვაძეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, პრეზიდიუმს, განსაკუთრებით კი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს როინ მეტრეველსა და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს ერეკლე გამყრელიძეს დახმარებისა და მხარში დგომისათვის, რათა ღირსეულად აღნიშნულიყო მსოფლიოში პირველი მთამსვლელი ქალის, პირველი ქართული სამეცნიერო ექსპედიციის წევრის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ალექსანდრა ჯაფარიძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო რომ მართლაც ღირსეულად ჩატარდა, ამის დასტური იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხალხით გადაჭედილი დარბაზი.

ლევან ბებუჩიშვილი

უკვე დროა, რომ „სალი კოლხელი“ ყოველი ბავშვის სამაგიდო წიგნი იყოს!

ქრისტეანული საბავშვო მწერლობა ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურის ის უბანია, რომელიც მაინცდამაინც მდიდარი არ არის მაღალი ხარისხის მხატვრული ნაწარმოებებით. საზოგადოდ, საბავშვო მწერლობა ლიტერატურის ურთულესი დარგია და მწერლისაგან მოითხოვს, როგორც ფართო განათლებასა და ბავშვის ფსიქოლოგიის საფუძვლიან ცოდნას, ასევე საუკეთესო სულიერ თვისებებს. ქრისტეანული საბავშვო მწერლობის აღმზრდელობითი ღირებულება განსაკუთრებით დიდია ჩვენს ეპოქაში, როდესაც ადამიანები სიყრმიდანვე უსაშინლეს სულიერ ატმოსფეროში, საყოველთაო იდიოტიზმისა და უხამსობის გარემოში იზრდებიან. ქრისტეანული საყმაწვილო ლიტერატურის სარბიელზე „სამკალი ბევრია, მუშაკი – ცოტა“. ლია რუსიაშვილი ის გამორჩეული მწერალია, რომელიც დაუცხრომლად იღვწის აღნიშნულ ასპარეზზე, მან ცოტა ხნის წინ გამოსცა საბავშვო-სათავგადასავლო წიგნ „სალი კოლხელის“ მეხუთე ტომი, სახელწოდებით „ტყის ქალი“.

დღეს, როდესაც უცხოეთიდან შემოსული, მჩხიბაობის ჟანრის, მდარე ხარისხის მხატვრული პროდუქციის ბუმი დგას, ლია რუსიაშვილმა მოახერხა ქრისტეანულ ნიადაგზე შექმნილი მძაფრი სიუჟეტით დაეინტერესებინა მკითხველები.

ავტორი მოგვითხრობს პატარა გოგონას, სალი კოლხელის საოცარ თავგადასავლებზე, რომელსაც სულიერ მეგზურობასა და წინამძღვრობას უწევს ფარული წმინდანი გლახა. თხრობის დინამიკურობა, არაჩვეულებრივი სიუჟეტი და მოქმედების სხარტი განვითარება არ აძლევს პატარა მკითხველს მოდუნებისა და მოწყინების საშუალებას.

ნაწარმოებში პერსონაჟთა მრავალფეროვანი თავგადასავლების ფონზე ძალდაუტანებლად, ბავშვისათვის გასაგებ ენაზეა გადმოცემული საბაზისო რელიგიური ცოდნა და სახარების ზნეობრივი სწავლება. ამასთან,ავტორი თხრობისას მთლიანად კი არ ამოწურავს ამა თუ იმ სარწმუნოებრივ საკითხს, არამედ ბიძგს აძლევს მკითხველს, ინტერესს უღვივებს მას, რის შედეგადაც ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მოზარდს აუცილებლად გაუჩნდება არაერთი კითხვა და უკვე დამოუკიდებლად იზრუნებს მართლმადიდებლური ცოდნის გაღრმავებაზე. მწერალი მრავლად უჩვენებს პატარა მკითხველებს თავმდაბლობის, სათნოებისა და სიყვარულის მაგალითებს. აქ უარყოფითი პერსონაჟებიც კი არ არიან სიძულვილის ღირსად მიჩნეულნი. ავტორი მკითხველებს აღუძრავს არა სიძულვილის, არამედ სიბრალულის გრძნობას გზასაცდენილებისადმი, რომელთაც არ ისურვეს ავისა და კარგის ერთმანეთისაგან გამიჯვნა... ნაწარმოების მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი გარდასულ დროთა ტკბილად მოსაგონარ ამბებს კი არ მოუთხრობს მოზარდებს, არამედ ეხება თანამედროვეობის უაღრესად მწვავე და აქტუალურ სულიერ პრობლემებს: ადამიანთა გატაცებას მაგიით, წარმართული რიტუალების მოძალებას, ცრუსასწაულებს და ესოდენ „მოდურ“ ფსევდო-ჰუმანიზმს – „სიკეთეს უქრისტელმერთოდ“!

თხრობის პროცესში დაუძაბავად შემოტანილი წმიდა წერილიდან და პატერიკებიდან მოხმობილი მაგალითების საფუძველზე, ავტორი ახერხებს, რომ მკითხველს ჩამოუყალიბოს სწორი, ქრისტეანული დამოკიდებულება და სიფხიზლე მაგიურ სპირიტიზმთან, სასწაულებთან და ეგზორციზმთან მიმართებაში... მწერალი შთააგონებს მოზარდებს, არ იყვნენ გულუბრყვილონი „სასწაულებრივი“ ფაქტების შეფასებისას, არამედ, გამოიძიონ ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობის სულიერი საფუძველი და რელიგიური ცოდნით აღჭურვილებმა გაიაზრონ – ღვთისგან შეიძლება იყოს მოწევნილი იგი თუ – არა... დღეს, როდესაც თანამედროვე მედია და მასკულტურა სიყრმიდანვე აბამს ადამიანს საყოველთაო „კეთილდღეობის“ ფერხულში, შთააგონებს მას, რომ ეს ქვეყანა ოდენ სიამოვნების წალკოტია და ისიც მხოლოდ ტკბობისათვის, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის არის გაჩენილი, ყოველივე ამისაგან განსხვავებით, მწერალი ეხმარება მოზარდს, რომ მან, როგორც ქრისტიანული კულტურის მემკვიდრემ გააცნობიეროს საკუთარი მოვალეობა ღვთისა და მოყვასის წინაშე. საგანგებოდ

მსურს გავამახვილო ყურადღება ერთ გარემოებაზე: ძალიან სამწუხარო და დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ სასულიერო პირთა ერთი ნაწილი და მათი მრევლი დუმილით, მეტიც, უცნაური, აუხსნელი გაღიზიანებით ხვდება ნაწარმოებს, ნაცვლად მისი მხარდაჭერისა და თანადგომისა.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ზოგიერთი მოძღვარი თავს საერთოდ არ იწუხებს ნაწარმოების წაკითხვით და რომელიმე „ნაკითხ“ სულიერ შვილს აძლევს შესაფასებლად. შედეგიც არ აყოვნებს — სათანადო განათლების არმქონე „სულიერი შვილი“ გაქვავებული, კვაზი-თეოლოგიური კატეგორიებით განჩხრეკს ტექსტს და სრულიად არაადეკვატური და დილეტანტური, მეტიც, ერთობ კომიკური დასკვნები გამოაქვს. საამისოდ ერთი მაგალითიც კმარა: თურმე, ვინაიდან ნაწარმოებში არაჩვეულებრივი ამბებია გადმოცემული, მათი წაკითხვა არასასურველ გავლენას მოახდენს პატარების ცნობიერებაზეო... „არაჩვეულებრივში“ არ იგულისხმოთ მითოსურ-ფანტასტიკური რამ, ვინაიდან ავტორს მსგავსი არაფერი აქვს გამოგონილი, თვინიერ იმისა, რაც გვხვდება წმიდა წერილსა და პატერიკებში... ასეთი შეფასება სამწუხარო ცნობაშეზღუდულობის (რომ არაფერი ვთქვათ გონებაშეზღუდულობაზე) ნაყოფია და სამწუხაროა, რომ ამაზე გვიხდება განმარტების მიცემა: —სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბავშვს იზიდავს არა ყოფითი ამბების, პროზაული წვრილმანების აღწერა და მშრალი დიდაქტიზმი, არამედ გამორჩეული, დიახაც, არაჩვეულებრივი სათავგადასავლო ამბები.

ქალბატონი ლიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მძაფრი, უჩვეულო სიუჟეტის შეთხზვისას, იგი ოდნავადაც არ სცდება ქრისტეანულ-რელიგიურ ჩარჩოებს. მხატვრული გამონაგონი აქ ქრისტეანულ ნიადაგს ეფუძნება და მასში მისხალიც კი არაა სარწმუნოებრივი სწავლების საწინააღმდეგო. უფრო მეტიც, ავტორს მითითებულიც კი აქვს ის თეოლოგიური წყაროები, რომელთაც იგი ეყრდნობა და სადაც დასტურდება მსგავსი, ერთი შეხედვით, „დაუჯერებელი ფაქტები“.

„სალი კოლხელის“ ზემოაღნიშნული, არაადეკვატური „შეფასება“ ცხადად მიუთითებს, რომ მრევლის ერთ ნაწილში სერიოზულად დგას თეოლოგიური, ლიტერატურული და, საერთოდაც, ზოგადი განათლების პრობლემა; უფრო მეტიც, ამგვართა წარმოდგენები ქრისტიანულ აღზრდაზე, მართლმადიდებლურ მოქალაქეობაზე, ელემენტარულად, არაქრისტიანულია. ამიტომ, „სალი კოლხელს“, უპირველეს ყოვლისა, სწორედ განათლებული მოძღვრები უნდა უწევდნენ რეკომენდაციას და ზრუნავდნენ მისი გავრცელებისა თუ სხვადასხვა ენებზე თარგმნისათვის. წარმატებას ვუსურვებ ავტორს ჩაფიქრებული თორმეტტომეულის განხორციელების საქმეში. ვფიქრობ, უკვე დროა, რომ „სალი კოლხელი“ ყოველი ბავშვის სამაგიდო წიგნი იყოს.

ნათელა ბოხელაშვილი

„არ მიძებნია დიდების მტვერი“ – თემურ ჩალაბაშვილის პოეზია

თემურ ჩალაბაშვილი, კაცი, რომელსაც არ უძებნია დიდების მტვერი, გულით ატარებს უამრავ ტკივილს, მიუყვება მარადიული ქარების ქროლვას და ჩვენთან მოაქვს ცისფერი სიზმრების სუნი. ის მუდმივად ჰგავს ქარიშხლის ტალღებს, ზღვაში გამომწყვდეულ დაღლილ თოლიებს, გემბანზე რომ ჩამომსხდარან შიშნარევი მზერით.

„ჩვენ ვგავართ ზღვაში გამომწყვდეულ,
დაღლილ თოლიებს,
თეთრ ანძაზე რომ ჩამომსხდარან
ნაღვლიან მზერით“...

სამშობლოს ბედით გამოწვეული ტკივილი დააქვს, მუდამ სიყვარულით დამაშვრალს. ამ ტკივილით მარადიულად იწვის და დიონისესთან იწყებს საუბარს. სხვაგვარად ხომ შეიძლება გაგიჟდეს კაცი. ბახუსით შეფაკლული ზეცას შეხედავს, ცისარტყელა გაიელვებს უეცრად:

„მუდამ სიყვარულის განმადიდებელო,
ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო,
ოშკო და ხახულო, ძუძუს მოწყვეტილო,
ძმებო, ქართველებო, ზეცად აზიდულო,
ჯვარო და სამებავ,
გვეყო ჩვენთა შვილთა
უღმერთო წამება!“

უიმედობას ყოველი ახალი წლის მოსვლა იმედით ცვლის. იქნებ, ახლა მაინც გათენდეს მზიანი დილა, — ფიქრობს პოეტი.

„ციდან ჩამომესმა ხმები გალობისა,
წელი მობრძანდება, წელი წყალობისა“

დადის ეს დიდებული კაცი სამშობლოს ბედით, ტკივილებით განაწამები და ადამის შვილებს მოუწოდებს, იარონ უფლის გზით, დაიცვან ის ათი მცნება, უფალმა რომ უანდერძა კაცობრიობას.

„მოდგმავ ადამისა, უფლის შვილო,
ჩემო კეთილო,
ჰყავ სიყვარული — შენივ ღმერთის

ხატად შექმნილო!“

მაგრამ არ ესმის ადამის მოდგმას პოეტის შეგონება და შეწუხებული უფალს შეჰღაღადებს:

,,როდემდე, ო, ღმერთო, ო, ღმერთო, როდემდე,..
გვასწავლე ქართველებს ერთურთის გატანა,
შემართულ მახვილით თვისტომი მოგდევდეს?
მოყვასის მანტიით ხარობდეს სატანა?...“

მარადიული საწუხარი ქართველი კაცისა, ერთურთის გაუტანლობის გაუგონარი ჩვევა და ამ ჩვევის გამო ქვეგამხედვარი მტერი რომ ჩასაფრებია საქართველოს, და დროს ელოდება, რათა დაშალის, დააქუცმაცოს, ერთმანეთს მოსწყვიტოს ღვთის შვილები. მის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს ერის მაღალი ზნეობა, მოყვასისადმი სიყვარული და მოქალაქეობრივი გამბედაობა. დადის პოეტი და დიდი ადამიანი თბილისის ქუჩებში და დააქვს დაუსრულებელი სისხლიანი ეპოპეით გამოწვეული ტკივილი. მისი ფიქრები ოქროს ხანას დასტრიალებს, ზმანებაში ხედავს თამარ მეფეს, მეფეს საქართველოისას, იმ დროის საქართველო ენატრება და ეოცნებება თემურ ჩალაბაშვილს. ხედავს მეფეს მოოქროვილი გვირგვინით დამშვენებულს. ფეხშიშველი თამარი, წმინდა ნინოს ჯვრით მიუძღვის ლაშქარს. მისი თვალებით მზე იხატება. დავითის სისხლი ჩქეფს თამარის ძარღვებში და გული საგულეში ვერ ეტევა პოეტს.

,,დიდო მეფეო,
საქართველოს წმინდა თამარო,
ყველა ქართველის
გულში ჰპოვე დედავ სამარე“..

დაქრის ფიქრებით საქართველოს შორეულ წარსულში. დედოფალ შუშანიკისკენ მიქრიან მისი ფიქრები. თავაწყვეტილი რაშივით ქრიან, ,,გარეთ ქარია, ხორშაკნი ქრიან“. ვიწრო სენაკში შუქად კიაფობს დედოფალი შუშანიკ, მის ფერხთით, ფეხმორთხმით ზის და მოთქვამს იაკობ. იცის იაკობმა, რომ ხვალ პიტიახში დედოფალს დასჯის და ევედრება დედოფალს,:

,,ო, დედოფალო, უარჰყავ რწმენა.
დასთმე სასახლე და შლეგი ქმარი“...
,,გარეთ ქარია, ხორშაკნი ჰქრიან“...

ხშირად ნახავთ თემურ ჩალაბაშვილს ჩულურეთის ძველ უბნებში მოსეირნეს. ფიქრდამძიმებულს, მარადიული საწუხარით ცრემლშეუმშრალს. იპოდრომიდან კვიცები გამოპარულან გვიან ღამით და ცაში ავდრის სუნი ტრიალებს, ჩაიჩურჩულებს,ჩანისლული თვალებით გამოიხედავს და ლექსად აენთება უცებ – ,,ფაფარაყრილნი, ასე მკვირცხლები, საით გარბიან, რა მოაგონდათ?“ ხან გაკვირვებული და შეცბუნებული მხრებს აიჩეჩავს, –

,,ვეღარ გავიგე ცხოვრების
უბრალო იწილ-ბიწილო,
ან როდის უნდა ვიტირო,
ან როდის უნდა ვიცინო“...

გაიხსენებს უანგარო მეგობარს, მასსავით ტკივილიანს, სამშობლოს მზე რომ უსველებს თვალებს და მასთან მიდის სევდის გასაქარვებლად. ბახუსს მიანდობენ ფიქრებს.... მაგრამ, ო, მაგრამ, სამშობლო არ ასვენებთ. ისიც ხომ მასსავით წმინდაა და სუფთა, თენგიზ არჩვაძე, დიდი ბოჰემა.

,,საქართველოში წმინდანივით
იცხოვრე, რადგან,
შენ თავზე უფლის ბოძებული
გვირგვინი გადგას,
გვირგვინი უფლის,
ესეოდენ სიმაღლის მჩენი,
გვირგვინი ბედის, –
დამღუპველი და გადამრჩენი,
პირველობისთვის არ გიცდია
ღალატი კაცთა,
უპირველესად ადიდებდი
გულსა და განცდას.
ხან მკლავი მოგჭრეს,
ზარანდიაც იყავი ურჩი,
და ამიტომაც მოშურნეებს
ვერ გადაურჩი“...

რამხელა ტკივილია, რა სიყვარული და სულის მსახურება, რწმენა უფლისა, მოლოდინი სამშობლოს გაბრწყინებისა. გაუსაძლისი ტკივილით სავსე საყვედურობს პოეტი დედას, –

,,რად გამიმეტე ასე დედილო,
ჩემგან რა წყენა მოგაგონდება,?
ჩემს ტვინში ახლაც ლექსი ნებივრობს,
და, იცი, ტანჯვა მიახლოვდება.
რად გამიმეტე ასე, დედილო,
მოგეცა ჩემთვის ნიჭი მეგუთნის,
იცი თუ არა, დედავ, დედილო,
რომ თავი ჩემი მე არ მეკუთვნის?“

და, ასე, დადის თბილისის ქუჩებში, უბრალო, სუფთა, ფიქრდამძიმებული, თხემით ტერფამდე ქართველი კაცი, რომელსაც არასდროს უძებნია დიდების გვირგვინი. მას ისეთი უყვარს ქართველი, როგორიც არის, მისი ნაკლითა და სიდიადით, ,,მუხლზე დაცემაც შეგიძლია, და სიამაყეც, შენ ორივე ხარ, – ხან დიდგორი, ხან კი კრწანისი, პირველ, დაცემა ნიშნავს, შემდგომ უნდა ამაღლდე, რომ დაინახო, მტერი, შენი – შესაბრალისი“...

პოეზია

მიმოზა სანავა



ჩემი ყავარჯენი თქვენ ხართ!

ნანას და რეზის

ფიქრით დაქანცული ძალას მოვიკრებ და
თვალში კვლავ მოვახრჩობ სევდას,
„დედი, სხვებივით რად არ დადიხარო,“
შვილი მეკითხება დედას.
აბა, როგოგ გითხრა, ჩემო თვალისჩინო,
მხანჯლავს, სატკივარი, მხერხავს,
ბუღა ხარივით გახელებული,
ხვედრს ვებრძვი დაცემულს მეხად.
დალახულივით ბედგაკვანძული,
მძიმედ მიუყვები შარას,
შარობს ქარიშხალი, მომდევს თავაწყვეტით,
როგორც ცოფიანი ფარას.
ლაღი გაზაფხულით სხვებმა გაიხარეს,
ბედის იალქანი ურჩობს,
გვერდით ჩამიარა ჩემმა სიყმაწვილემ,
როგორც შორეულს და უცნობს.
მზე ჩაიწურა ჩასავლეთში და
ღამე მოღუშული მზარავს,
ტკივილს დამიამებს თქვენი გაღიმება,
თქვენი არსებობის ძალა.
სულმა სხეული მოათვინიერა,
ტვირთი ძალიძალით ვზიდე,
მე არ წავიქცევი დედა შემოგევლოს,
ოღონდ, ოღონდ შემეხიდეთ!
მწუხრი მორკინალი უნდოდ დამარბევს და
გული ვერ იქნება მშვიდად,
არა, სიბრალული კი არა და
თქვენი თანადგომა მინდა.
იწვის, იღვენთება, რწმენის სანთელი და
სული ეხედნება მხნე მხარს,
ხელი შემაშველეთ, ჩემო საფიცარნო,
ჩემი ყავარჯენი თქვენ ხართ!

მოვლენ მარტები

ისევ ტირილით მოვლენ მარტები,
დამიმარტოვებს სევდის ორგია,
რა საჭიროა აწ განმარტება,
თითქოს ცხოვრება ცივი მორგია.
თითქოს ცხოვრება სატუსაღოა
და გაღიმებაც მზირი, ყალბია,
ვხედავ სიკვდილი აქვე ახლოა,
ახლა სიცოცხლე არა მწადია.
მზე გადაეშვა მბორგავ ტალღებში,
ნერვებაშლილი ნეტავ რას იჭვობს,
სული დალახვრა ძმის მახვილმა და
მინდა მზესავით თავი დავიხრჩო.
ფოთლები მთვარეს ჩამოასვენებს,
მოწიწებით და ხელატატებით,
მე მარტოობა დამისაკუთრებს,
ისევ ტირილით მოვლენ მარტები.

ერთად ამიტირდა სულში

გული – ოცნებების ოკეანე,
სული – გარდაცვლილი მზე და
ფიქრი – დაკაწრული ღამე,
ისევ უსაშველო სევდა.
ეჭვი – ეკალ-ბარდი მწარე,
ისევ ქაოსური განცდა,
მკვდარი ფოთოლცვენა ირგვლივ,
ისევ ლოდინი და დაცდა.
ყელი – საამბორო, თბილი,
ალერსს მოკლებული მუდამ,
ისევ დამიშინა ბედმა,
ცივი მარტოობის გუნდა.
თვალი – ჩათვლემილი მზე და
ისევ ქარიშხალი ავი,
ასე რად ატირდა ნეტავ
ჩემში გულმწუხარე ქალი.
რისთვის ეგ ნათელი შუბლი,
რისთვის ანთებული თვალი,
ნუთუ შეუძლებელს ითხოვს,
დარდით გადაღლილი ქალი.
მხოლოდ შეხიდება მინდა,
მარტო ამიკვნესდა ქნარი,
თურმე რამდენ რამეს იტევს,
ერთი მეოცნებე ქალი.
თურმე ცის ლაციციც კმარა,
თუ ხარ დიდი გრძნობით მთვრალი,
ო, მზედ ჩამეღვარე სულში,
გვედრებს მარტოსული ქალი.
ატმის აფეთქებულ რტოებს,
ლეწავს გულბოროტი ქარი,
ერთად ამიტირდა სულში,
დედა, მიჯნური და ქალი.

ქ ა ლ ი

ქალი – დედა და ქალი – მიჯნური,
მარადისობის ჰიმნი,
ქალი –ზაფხული და გაზაფხული,
ათრთოლებული სიმი!
ზეშთაგონების ულევი წყარო,
მაცოცხლებელი სხივი,
ფიქრთა უსაზღვრო ოკეანე და
ვისთვის დაშლილი ტივი.
ქალი – სიმშვიდე, ქალი – ნაღველი,
მოულოდნელი სეტყვა,
ლამაზ სიზმართა ცხადად ახდენა,
გულის მთრთოლვარე ფეთქვა.
ქალი – იმედი, უიმედობაც,
ქალი – რწმენა და ძალა,
ზოგჯერ გრძნობისგან დაცლილი ჭური,
ნაზიარევი ღალატს.
ქალი – ფიქრის და განცდის სათავე,
სიყვარულივით ტკბილი.
უსასრულობა, სულის ბულბული,
ზოგჯერ დამფრთხალი ძილი.
ქალი – ვნებათა დღესასწაული
და ოკეანე განცდის,
ქალი – სინდისი, ქალი – ნამუსი
და სივაჟკაცე კაცის.
ქალი – ნაღველი, მელანქოლია,
ღამეულ მთვარის სევდა,
შემოძარცვული ზამთრის მარტოხე
და გაზაფხულის ფეთქვა.
ქალი – სიმშვიდე და ხანაც უნდო,
ყვითელ ფოთოლთა ცვენა,
ქალი – ხატება, სულის მალამო,
ხანაც ჭორი და წყენა.
ქალი – ამაყი მყინვარწვერივით,
ქალი – ჯადო და ნუსხვა,
და უწმინდესი პირველ თოვლივით,
სიმძიმილიც და რისხვაც.
ღვთიური ჯილდო, ბედნიერება,
გახელებული ვეფხვიც,
ატმის ტოტებზე მბრწყინავი ცვარი,
ნაზი ფოთოლი ვერხვის.
იასამანთა ფეთქვა, სურნელი,
ამოუცნობი ჟინი,
ვისთვის სიცოცხლის ელექსირი და
ვისთვის წყევლა და ჭირი.
ქალი – ზაფხულის საამო სიო,
ხან ქარიშხალი მკაცრი,
მიმტევებელი მრავალ ცოდვათა,
ქალი – დედაც და კაციც.
ქალი – ალერსი, სითბო, სიამე,
მზის სიმხურვალე მწველი,
ხან ფათერაკი, დამშრალი წყარო,
უერთგულესი ხელიც.
ქალი – ყინწვისის ანგელოზი და
მზე, ეკბატანის ვარდი,
ქალი – ტყიური, ქალი – კეკლუცი,,
ქალი – სევდა და დარდი.
ქალი – ეშმაკი, ქალი – სატანა,,
ჯოჯოხეთის გზა, შფოთი,
ქალი – სამოთხე უსატნოესი,
და სიყვარულის ლოთი.
ქალი – ღამეთა იდუმალება
და დღის ნათელი სახე,
მოულოდნელი რისხვა და მეხი,
უსასტიკესი მახე.
კაცობრიობის სუნთქვა, ნუგეში,
სიცოცხლის დიდი ფესვი,
ქალი – პოემა, ქალი – ლეგენდა,
ქალი – მუსიკა, ლექსი.
ქალი – ციხე და ქალი – საკანი,
თიხის ნაძერწი დოქი,
ქალი – ნატიფი ქანდაკება და
ხან ავ სიტყვათა მორგი.
ქალი – მაცდური, ყალბი სამიზნე,
ქალი – მძინარე ლომი,
ქალი – მშვიდობა, ქალი – ერთობა,
ქალი – ქაოსი, ომი!
ქალი – ბინული ამოუშრობი,
დამწყურებელი კაცთა,
ქალი– გრძნობა და ქალი – მალამო
და ბობოქარი განცდა.
ქალი – ბროლივით უსათუთესი,
ქალი – გალიის ჩიტი,
ქალი – ქარიშხლის ბორგვა, ქოშინი,
შეღამება და ბინდი!
ქალი – ხოხობი ნანადირევი,
ქალი – მორჩილი ბედის,
ქალი – შვლის ნუკრი
დანისლულ თვალით და ყელყარყარა გედი.
ქალი – ბალახი გასათიბავი,
მაცდუნებელი სული,
ქალი – სიცოცხლის მომნიჭებელი
და მისი დასასრულიც.

ფრანც კაფკა

1883 – ფრანც კაფკა პრაღაში დაიბადა, ებრაელი ვაჭრის ოჯახში. ბავშვობიდან იტანჯება ვიწროშუბლიანი მამის ტირანიით. მოგვიანებით, ამის შესახებ წერს: „ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო შენი სრული უგრძნობელობა ყოველივე იმისადმი, რა ტანჯვასა და სირცხვილსაც შენი სიტყვები და განაჩენი მე მაყენებდა“ („წერილი მამაჩემს“). 1893 – ქალაქის გერმანულ გიმნაზიაში სწავლობს, 1901 – პრაღის უნივერსიტეტში ჯერ გერმანისტიკის ფაკულტეტის სტუდენტია, შემდეგ კი, მამის იძულებით, იურიდიული ფაკულტეტის. 1902 – გაიცნო მწერალი მაქს ბროდი, რომელმაც, მოგვიანებით, კაფკას მემკვიდრეობას უპატრონა. 1906 – იურიდიულზე სწავლას კაფკა დოქტორის ხარისხით ამთავრებს. 1907 – ცხოვრობს პრაღაში, სადაზღვევო კომპანიაში მუშაობს და სამსახურეობრივად ევალება იმოგზაუროს ჩრდილოეთ ბოემენში. 1910 – ძლიერი სტრესების გადატანა უწევს, იტანჯება მამასთან კონფლიქტით. ებრაული ადათებით აღზრდილი – მამის სარწმუნოებას ვეღარ იზიარებს, თავს გერმანულენოვან უმცირესობას მიაკუთვნებს (პრაღის მოსახლეობის 7%), მაგრამ, როგორც ებრაელი, მათგანაც განაპირებულია. ის დღიურების წერას იწყებს, რომელსაც 1951 წელს მაქს ბროდი გამოსცემს. 1911 – მაქს ბროდთან ერთად მოგზაურობს ციურიხში, ლეგანოში, მაილანდსა და პარიზში. ეს ასახვას პოულობს კაფკას მოგზაურის დღიურში. 1912 – კაფკა პირველად კითხულობს თავის ნაწარმოებს „განაჩენი“ საჯაროდ. 1913 – არაერთგზის მოგზაურობს ვენაში, ვენეციასა და გარდაზეეზე, მაგრამ ყოველთვის ბრუნდება უკან, პრაღაში, რომლის ძველქალაქისადმიც გაურკვეველი სიძულვილ-სიყვარული აკავშირებს. 1914 – კაფკა ინიშნება ფელიცე ბაუერზე, მაგრამ მალევე წყვეტს ამ კავშირს. ცხოვრობს მშობლებთან და ყოყმანობს დამოუკიდებლად გადასვლას. ის კიდევ რამდენჯერმე სცდის დაქორწინებას, მაგრამ მალევე აუქმებს, რადგან სჯერა, რომ ბავშვობის ტრამვების გამო, დაქორწინებას ვერასდროს შეძლებს. მუდამ მარტოობას მიელტვის, ახლოს აღარავის იკარებს. ამავე წელს იწყებს ცნობილი რომანის – „პროცესის“ წერას. 1915 – გერმანელი პოეტი კარლ შტერნ ჰაიმი კაფკას ფონტანეს პრემიას ანიჭებს. 1916 – მიუნხენში აწყობს მეორე საჯარო კითხვას მოთხრობის „სასჯელის კოლონიაში“. 1917 – ფილტვების ტუბერკულიოზი აღმოაჩნდა და, ამ მიზეზით, პენსიონერი ხდება. უმძიმეს დაძაბულობებს უძლებს და გაუგონარი შინაგანი სიმტკიცით გადააქვს ყველაფერი. 1919 – ქვეყნდება „სოფლის ექიმი“ და „სასჯელის კოლონიაში“. 1922 – ქვეყნდება რომანი „კოშკი“, როგორც რომანში „პროცესი“, აქაც, წარსულის გამოცდილება და უგზოობა, ადამიანთა შიშია მისი ძიების შუაგულში. ორივე რომანი გამოუქვეყნებელი რჩება, მათ მაქს ბროდი 1925 (ანდა – 1926) – აქვეყნებს. თვით კაფკა წინააღმდეგი იყო მათი გამოცემის.*

ფრანც კაფკა 1924 წლის 3 ივნისს გარდაიცვალა ვენის სანატორიუმში, 41 წლის ასაკში, დაკრძალულია პრაღის სასაფლაოზე.

ცოლ-ქმარი

ფირმის საზოგადო მდგომარეობა ისე ცუდად არის, რომ მე, ზოგჯერ, როცა ბიუროში დროს მოვიჭარბებ, თვითონ ვიღებ ნიმუშების ჩანთას, კლიენტებს პირადად რომ ვესტუმრო. სხვებთან ერთად, დიდ ხანს გეგმაში მქონდა ნ.-სთანაც სტუმრობა, წინათ მასთან მუდმივ საქმიან კავშირში ვიყავი, მაგრამ, რატომღაც, ჩემთვის უცნობი მიზეზით,ბოლო წელს,ეს კავშირი თითქმის გაწყდა. ამგვარი დარღვევებისთვის, საერთოდაც, არ უნდა ყოფილიყო პირდაპირი მიზეზი, მაგრამ დღევანდელ არამდგრად კავშირებში საქმეს ხშირად წყვეტს ეს ერთი „არაფერი,“ ერთი განწყობა და, ასევე შეიძლება, ეს ერთი – „არაფერი“, ერთი სიტყვაც კი,მთლიანის ისევ მოსაწესრიგებლად, მაგრამ აქ ეს ოდნავ უადგილოა, ნ.-სკენ წინ წავიწიოთ: ის ერთი ხნიერი კაცია, ბოლო დროს, ძალიან მოწყვლადი და, თუ მას საფირმო საქმეები ჯერ ისევ ხელთა აქვს, ასე, თითქმის, აღარ მოდის ფირმაში; მასთან საუბარი თუ გსურთ, საკუთარ ბინაში უნდა მიაკითხოთ. მსგავს სტუმრობას კი მისი გადადება სჯობს. გუშინ საღამოს, ექვსი საათის შემდეგ, მაინც დავადექი გზას; ცხადია, სტუმრობის დრო აღარ იყო, მაგრამ საქმე, სწორედაც რომ, არა-საზოგადოებრივი, არამედ კომერციული თვალით უნდა გამეზომა. მქონდა ბედნიერება: ნ. შინ იყო. ის, სწორედ ახლა, როგორც შესასვლელში მითხრეს, თავის ცოლთან ერთად, სეირნობიდან დაბრუნდა და, იმჟამად თავისი ვაჟის ოთახში იყო, რომელიც,

უგუნებობის გამო, ლოგინში იწვა. მოვითხოვე იქაც შესვლა; ჯერ ვყოყმანობდი, მაგრამ შემდეგ მოთხოვნას გადავაჭარბე; საწყენი სტუმრობა, რაც შეიძლება სწრაფად რომ დამესრულებინა, ვარჩიე, როგორც ვიყავი ისე: პალტოთი, ქუდითა და ნიმუშების ჩანთით ხელში, ბნელი ოთახის გავლით, სუსტად განათებულში გავსულიყავი, სადაც პატარა საზოგადოება იყრიდა თავს. ალბათ, ინსტინქტურად, თვალში მომხვდა ჩემთვის ძალიან კარგად ნაცნობი ფირმის აგენტი, რომელიც ნაწილობრივ ჩემი კონკურენტიც არის. მაშასადამე, ის ისევ ჩემს წინ გაძვრა. ცოტა კომფორტულად იდგა ავადმყოფის საწოლთან, ისე, თითქოს, ექიმი ის იყო; თავის ლამაზ, გახსნილ, გაბერილ პალტოში ივჯდა ყოვლადძლიერად; მისი თავხედობა შეუდარებელი იყო. რაღაც მსგავსი, შესაძლოა, ავადმყოფსაც ეფიქრა, რომელიც სიცხით აწითლებული ლოყებით იწვა იქვე და, ზოგჯერ, მისკენ იხედებოდა. სხვათა შორის, ის აღარ იყო ახალგაზრდა ვაჟი, არამედ – კაცი ჩემი ხნის, ავადმყოფობის გამო, მოკლე, როგორღაც გაველურებული წვერით. ბებერი ნ., დიდი, ფართომხრებიანი კაცი, მაგრამ თავისი უკურნებელი სენით, ჩემდა გასაკვირად, სრულიად ჩამომხმარი, მოხრილი და დაეჭვებული, ჯერაც იქ იდგა ქურქში გახვეული, ახალმოსულივით და, თავისი ვაჟის პირდაპირ რაღაცას ბუტბუტებდა. მისი ცოლი, პატარა და სუსტი, მაგრამ გარეგნულად მკვირცხლი, თუნდაც, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მას ეხებოდა, ჩვენ ძლივს გვხედავდა, იმით იყო დაკავებული, რომ მისთვის ქურქი გაეხადა, რაც ორივესგან დიდი განსხვავებით, რამდენიმე სიძნელეს ქმნიდა, მაგრამ, საბოლოოდ, მან ეს მოახერხა. ალბათ, საკუთრივი სიძნელეები, სხვათა შორის, იმაშიც იყო, რომ ნ. ძალიან მოუსვენრად იყო და აღელვებით მსინჯავი ხელებით გამუდმებით სავარძელს ეძებდა, რადგან ქურქის გახდის შემდეგ, ცოლმა ის მიუწია. შემდეგ მან თვითონ აიღო ქურქი, სადაც ის თითქმის ჩაიკარგა და იქიდან გამოიტანა.

ახლა, როგორც იქნა, მომეჩვენა, რომ ჩემი დრო მოვიდა, ანდა – უფრო მეტიც, ის, არც მოსულა და, აქ, ალბათ, არც არასოდეს მოვიდოდა; თუ, მე, ჯერ კიდევ, რაღაცის ცდა მსურდა, ახლა უნდა მეცადა, რადგან, ჩემი წინათგრძნობით, ახლა, პირობები საქმიანი წინადადებებისთვის, შეიძლება უარესიც ყოფილიყო; მაგრამ ჩემი აქ სამუდამოდ დადგენა, როგორც ამას, როგორც ჩანს, აგენტი განიზრახავდა, ჩემი მანერა არ იყო. სხვათა შორის, ოდნავადაც არ მსურდა მისი მხედველობაში მიღება. ასე დაუფიქრებლად დავიწყე ჩემი საქმეების მოხსენება, თუმცა შევნიშნე, რომ ნ.ს ახლაღა მოესურვა, თავის ვაჟს ცოტა თვითონაც გასაუბრებოდა. სამწუხაროდ, ჩვეულება მაქვს, თუ ცოტათი აღელვებით ვლაპარაკობ, და ეს ხდება ძალიან ჩქარა და, მოხდა ავადმყოფის ოთახში, უფრო ადრე, ვიდრე – საერთოდ, ავდგე და, საუბრის მსვლელობის დროს, წინ და უკან ვიარო. საკუთარ ბიუროში ეს ნამდვილად მოსახერხებელია, უცხო ბინაში კი – ცოტა აუტანელი, მაგრამ ვერ შევძელი თვითფლობა, მით უფრო, რომ იქ მე ჩვეული სიგარეტი მაკლდა. ახლა ყველას აქვს თავისი ცუდი ჩვეულებანი, ამასთან, ჩემი მანერები ბევრად ასატანია მათ აგენტებთან შედარებით. რა უნდა ითქვას, მაგალითად, იმაზე, რომ ის თავის ქუდს, რომელსაც მუხლებით იჭერს, იქ, ნელა, აქეთ-იქით ატრიალებს, მერე კი, უცაბედად, სრულიად მოულოდნელად, თავზე იხურავს? მერე ისევ იშორებს მას, სახელდობრ, მაშინვე, თითქოს, რაღაც შეცდომა მოუვიდაო, მაგრამ, შემდეგ, წამიერად ისევ თავზე იხურავს და, ამას დროდადრო იმეორებს. ასეთი რამ ხომ სრულიად დაუშვებელია. ეს მე არ მაღელვებს, საქმეში ჩაფლული კაცი ვარ, ყველასგან მხედველობაში მიღებული და, ამას გვერდს ავუვლი, მაგრამ ხომ შეიძლება ამან ვინმე წყობიდან გამოიყვანოს. გაცხარებისას ყურადღებას არავის ვაქცევ, არათუ ასეთ დარღვევას, არამედ, საერთოდ, არავის. მე ვხედავ, სახელდობრ, რაც მოხდება, მაგრამ მას მანამდე არ ვიღებ, სანამ არ მოვემზადები, ანდა, არაპირდაპირ პროტესტი არ ჩამესმის, გარკვეულწილად ცოდნისთვის – არა. ასე შევნიშნე, მაგალითად, რომ ნ. ძალიან მცირედ გამონაკლისუნარიანი იყო: ხელები განზე გაურბოდა, ატრიალებდა მათ აქეთ-იქით, ჩემსკენ არც იხედებოდა, არამედ უაზროდ მეძებდა სიცარიელეში და, მისი სახე ისეთი განურჩეველი იყო, თითქოს, არც ეხალისებოდა ჩემი მოსმენა, დიახ, არაერთგზის შევნიშნე ჩემდამი სრული განურჩევლობაც. მთელ ამ, სახელდობრ, ჩემთვის მცირედ იმედისმომცემ ავადმყოფურ მიმღეობას ვხედავდი, მაგრამ მაინც ვაგრძელებდი მასთან ლაპარაკს ისე, თითქოს, ის მე მაინც მყავდა მხედველობაში: ჩემი სიტყვებით, ჩემი სახარბიელო შეთავაზებებით, თვით მე შემაშინა იმის გათვალისწინებამ, რომელსაც ვაკეთებდი. დათმობები, რომელსაც არავინ ითხოვდა, საბოლოოდ, ისევ წონასწორობაში რომ მომეყვანა. ერთი პირდაპირი კმაყოფილება მაინც მეწვია, როცა აგენტმა, როგორც შემთხვევით შევნიშნე, ბოლოს, თავისი ქუდის წვალება შეწყვიტა და მკლავები ჯვარედინად დაიწყო მკერდზე. ჩემი მოსაზრებები, რომელიც მისთვისაც, ნაწილობრივ, გათვლილი იყო, ჩანდა, მის გეგმებს დარტყმას აყენებდა. ალბათ, კიდევ დიდხანს მექნებოდა კეთილგანწყობა მასთან საუბრის გაგრძელების, რომ ვაჟს, რომელსაც მე, როგორც ჩემთვის უმნიშვნელო პიროვნებას, აქამდე არაფრად ვაგდებდი, ლოგინში ნახევრადამდგარს, უცებ, მუქარის მუშტით არ დეკედუმებინე. მას, აშკარად,

კიდევ რაღაცის თქმა სურდა,რაღაცის ჩვენება,მაგრამ საკმარისი ძალა არ ჰქონდა.ამ ყველაფერს ციებ-ცხელებიანის ბოდვად მივიჩნევდი,მაგრამ,როგორცვე, უნებურად, ბებერი ნ.-სკენ გავიხედე, გავიგე, რაც ხდებოდა. ნ. იჯდა ღია, შუშის, ნატანჯი, ჯერაც მხოლოდ წუთითღა მორჩილი თვალებით იქ, წინისკენ კანკალით დახრილი, თითქოს აკავებს, ანდა ურტყამსო კეფაში ვინმე. ქვედა ტუჩი, დიახ, ქვედა ყბა თვითონ, ძალიან მოშიშვლებული ღრძილით, გადმობრუნებული ეკიდა. მთელი სახე დაბზარვოდა, ჯერაც სუნთქავდა, თუმცა მძიმედ, მაგრამ შემდეგ, როგორც გათავისუფლებული უკან, სავარძლის პირისპირ, მიესვენა: დახუჭა თვალები, გამოეხატა რაღაც დიდი დაძაბულება სახეზე და, შემდეგ,დასასრული იყო. სწრაფად გადავხტი მისკენ, ვტაცე უსიცოცხლოდ დაკიდებულ, ცივ ხელს ხელი: იქ აღარ იყო პულსი. ახლა, მაშასადამე, ამან ჩაიარა. ცხადია, ერთი მხცოვანი კაცი, გვისურვეთ, სიკვდილი მძიმე არ გახდეს! და, რამდენი იყო ახლა მოსასწრები! და, რა სასწრაფოდ? მოვიხედე შველის საძებნად, მაგრამ ვაჟს საბანი თავზე წაეხურა და იქიდან მისი დაუსრულებელი სლუკუნი ისმოდა. აგენტი ცივი, როგორც ბაყაყი, მყარად იჯდა თავის სავარძელში, ნ.-სგან ორი ნაბიჯის მოშორებით, აშკარად გადაწყვეტილი ჰქონდა, თითიც არ გაენძრია, მხოლოდ დროის გასვლას დალოდებოდა. მე, მაშასადამე, მხოლოდ მე დავრჩი, რამე რომ მეკეთებინა და, ახლაც, მაშინვე უმძიმესი: სახელდობრ, ქალისთვის, როგორღაც ასატანი გზით, მაშასადამე, ისეთი ხერხით, ამქვეყნად რომ არ არსებობს, ინფორმაცია გადამეცა. და, აჰა, უკვე ჩამესმა ბეჯითი, ფრატუნა ნაბიჯების ხმა გვერდითა ოთახიდან: მან – ქმრისთვის, რომელიც ჯერაც საგარეო სამოსით იყო და, აქამდე ვერ მოეცალა გამოსაცვლელად, დათბილული ღამის პერანგი შემოიტანა, მისთვის რომ ჩაეცვა. „მან დაიძინა“, – თქვა ღიმილითა და თავის ქნევით, როგორცვე მდუმარედ მდგარნი დაგვინახა. და უსაზღვრო ნდობით უდანაშაულოთა, აიღო იგივე ხელი, რომელიც ჩემსაში ახლა გულზიდვითა და შიშით მეჭირა და აკოცა მას, როგორც პატარა ცოლ-ქმრულ თამაშში. როგორ გვინდა ჩვენ სხვამაც შემოგვხედოს! ნ. შეტოკდა, დაამთქნარა, ცოლს პერანგის ჩაცმა დაანება, გაბრაზებულ-ირონიული სახით დაითმინა მისგან უნაზესი საყვედურები, დიდი გადაღლილობისა და ყოვლად დიდი გასეირნების გამო, ჩვენთვის თავისი ჩაძინება როგორმე სხვაგვარად რომ აეხსნა,რაღაც თქვა შთამბეჭდავად, უფრო – მოწყენილობაზე. შემდეგ, სხვა ოთახისკენ მიმავალი, გზად რომ არ გაციებულიყო, დროებით დაწვა თავის ვაჟთან ლოგინში, მის ფეხებთან სასწრაფოდ მოტანილ ორ ბალიშს თავი ზედ მიაყრდნო. წინ მომხდართან შედარებით, ამაში უჩვეულო ვერაფერი დავინახე. შემდეგ საღამოს გაზეთი მოითხოვა და ის,სტუმრებისადმი მორიდების გარეშე, წინ ჩამოიფარა, თუმცა, მაშინვე არ დაუწყია კითხვა, აქეთ-იქიდან უმზერდა ფურცელს და, რაღაც გაკვირვებული,საქმიანი ბასრი მზერითაც, ნამდვილად უსიამოვნო რამ გვითხრა ჩვენს შეთავაზებაზე. სანამ ის თავისუფალი ხელით შორს გადამგდებ მოძრაობებს აკეთებდა და ენის წკლაპუნით პირში ცუდ გემოს ცხადყოფდა, რასაც ჩვენი საქმიანი ქცევები მასში იწვევდა, აგენტმა ვერ შეძლო თავშეკავება და რამდენიმე შეუფერებელი შენიშვნა გამოთქვა. ის თავს კარგად გრძნობდა თავის უაზრო აზრშიც, რომ, მას შემდეგ, რაც აქ მოხდა, შეუძლებელია, რომელიმე შეთანხმება შემდგარიყო. სწრაფად დავემშვიდობე, მადლობელიც კი ვიყავი აგენტის, უიმისოდ არ მექნებოდა გადაწყვეტილების მიღების ძალა: აქაურობას გავცლოდი. წინა ოთახში ფრაუ ნ.-ს ისევ შევხვდი, მისი საბრალო აღნაგობის დანახვაზე, ვთქვი, რომ მან რაღაცით დედაჩემი გამახსენა. და, რადგან ის წყნარად იდგა, დავუმატე: „ამასთან შეიძლება ისიც ითქვას, რომ ის საოცრებებს ახდენდა: რასაც ჩვენ ვანგრევდით, ის აკეთებდა იმდენად კარგად. ის ჯერ კიდევ ბავშვობაში დავკარგე“. განზრახ ვაზვიადებდი, ნელა და ნათლად ვლაპარაკობდი, რადგან ვეჭვობდი,რომ მოხუცი ქალი სმენადაქვეითებული იქნებოდა,მაგრამ ის სრულიად ყრუ აღმოჩნდა, რადგან ულოგიკოდ მკითხა: „და გარეგნობა ჩემი ქმრის?“ სხვათა შორის, რამდენიმე გამოსათხოვარი სიტყვითაც მივხვდი, რომ მას აგენტებში შევეშალე; სიამოვნებით ვირწმუნებდი, რომ,სხვა მხრივ, უფრო მიმნდობი იქნებოდა. კიბეზე დავეშვი. დაქვეითება უფრო მძიმე იყო, ვიდრე წინათ ამოსვლა და, არც არასდროს ყოფილა ეს ადვილი. ეხ,რა უბადრუკი საქმიანი შეხვედრები არსებობს და შენ იძულებული ხარ, ტვირთის ტარება განაგრძო.

გერმანულიდან თარგმნა ხათუნა პატაშურმა

---

*ფრანც კაფკას ბიოგრაფია თარგმნილია წიგნიდან: „გერმანული ლიტერატურა“

მაია სეხსვაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსმიწერილი თასი და მართა სოლოღაშვილი-ერისთავისა

ჟურნალ „თეატრის“ 1886 წლის 30-ე ნომერში პოეტმა და მსახიობმა ნინო აბაშიძე-ორბელიანისამ (1838-1919) გამოაქვეყნა ლექსი, რომელსაც ასეთი სარედაქციო შენიშვნაც ერთვოდა: *„ეს ლექსი დაწერილია თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან კნეინა მართა ერისთავის თასზედ და ჯერ არსად დაბეჭდილა. ჩვენს დიდს მადლობას ვუცხადებთ კნ. ნინო ორბელიანისას და ვუსურვებთ, რომ სხვებმაც მიჰბაძონ პატივცემულ კნეინას და ყველა ამისთანა ძველი დაუბეჭდავი ლექსები ჩვენ წარჩინებულ მწერალთა გახადონ მკითხველ საზოგადოებათა საკუთრებად“.*

ჟურნალში გამოქვეყნებული ლექსი იყო ნ. ბარათაშვილის ოთხტაეპედი „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“:

„ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერი ვარ მე, თასი:
სამღერალო ვარ ტურფა ხელთ და მოსალხინო მართასი!
მოვედით, სევდით მაშვრალნო, გასვათ სასმელი ღმერთასი,
და მყის გიქარვოთ გულისა, ვით ერთი, ჭირი ათასი“.

მკვლევარნი ვარაუდობენ, რომ თასი, რომელზეც პოეტს ეს წარწერა გაუკეთებია, მართასთვის მირთმეული საქორწილო საჩუქარი ყოფილა. ლექსსაც მართას გათხოვების დროის მიხედვით, 1844 წლით ათარიღებენ.

წინამდებარე წერილში შევეცდებით თავი მოვუყაროთ არსებულ ცნობებს ამ მანდილოსანზე და ჩვენეული უახლესი კვლევის შედეგებიც დავურთოთ მას.

ქართლელი თავადის იორამ სოლოღაშვილის ასული მართა (1825-1856) ნ. ბარათაშვილის მეგობარია, სილამაზით ცნობილი ქალი, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვა თბილისური სალონების მშვენება, პოეტებისა და მხატვრების მუზა. მართას იხსენიებენ თანადროულ მემუარულ ლიტერატურაში. მცირე საყურადღებო ნარკვევი მის შესახებ შესულია ი. ბალახაშვილის წიგნში „ბარათაშვილის ცხოვრება“.

მართა სოლოღაშვილი ჩინებული მოცეკვავე ყოფილა. 1837 წლის 10 ოქტომბერს მასთან უცეკვია თბილისში ჩამოსულ რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ I-ს (1825-1855), ქართველი თავადაზნაურობის მიერ გამართულ ბრწყინვალე ბალზე. როგორც სამხედრო ისტორიკოსი ვასილი პოტო (1836-1911) გადმოგვცემს, „იმპერატორი მეტად მხიარული იყო და... მან პირველი პოლონეზი იცეკვა სილამაზით გამოჩენილ მართა სოლოღაშვილის ქალთან (შემდეგ თავად ალექსანდრე ერისთავზე გათხოვილი), ხოლო მეორე – ქალაქის თავის სარაჯიშვილის ცოლთან“.

კავკასიაში მოღვაწე რუსი მოხელის ანდრეი ფადეევის (1789-1867) სიტყვით: „1842 წელს ტფილისში ჩამოსული სამხედრო მინისტრი ალექსანდრე ჩერნიშევი, ჭავჭავაძეებთან საღამოებზე ახალგაზრდული გატაცებითა და დიდის ხელოვნებით ცეკვავდა ლეკურს სილამაზითა და გრძელი ნაწნავებით განთქმულ მართა სოლოღაშვილთან“.

ცნობილმა რუსმა მწერალმა ვლადიმერ სოლოგუბმა (1813-1882) მართას ორი ლექსი უძღვნა. ერთი მათგანია „მ. ერისთავს“, რომელიც ქართულად გიორგი ერისთავმა (1813-1864) თარგმნა:

„ნუ გეშინიანთ, ყმაწვილნო, კავკასის მთისა მაღლისა,
ნუ გეშინიანთ ნურც ლეკთა, ნურცა ჩაჩანთა ხმალისა;
თქვენცა გაქვთ პასუხსაგებლად ვაშკაცობა და მხნეობა,
ვერ შეგაშინებთ თქვენ კლდენი, ვერცა ტყე, ვერცა ხეობა.
მხოლოდ ეცადეთ, რომ ქართლში
მყარად დაიცვათ თქვენ გული,
რომ არ შეიქმნათ მონებად, როს ნახოთ მართა მორთული“.

1842 წელს საქართველოში მყოფმა რუსმა მხატვარმა გრიგორი გაგარინმა (1810-1889 3) შეასრულა მართას ფერწერული პორტრეტი, რომელზეც ახალგაზრდა ქალი გამოხატულია მუხლამდე, ეროვნულ სამოსში – თეთრ ქართულ კაბაში, ოდნავ თავგადახრილი. ყელზე მას გამჭვირვალე მოსასხამი ახვევია. ყურადღებას იპყრობს მისი მოშვილდული წარბები და მკერდზე დაყრილი ორი გრძელი მსხვილი ნაწნავი. მართა სოლოღაშვილის გაგარინისეული პორტრეტი ამჟამად სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო რუსულ მუზეუმშია დაცული.

1844 წლის 2 აპრილს მართა სოლოღაშვილი გათხოვდა და საცხოვრებლად გორში გადავიდა. ის ცოლად გაჰყვა ალექსანდრე (სანდრო) შანშეს ძე ქსნის ერისთავს (1812-1883), გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს, პოლკოვნიკს, ფლიგელ-ადიუტანტს, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თავკაცის ელიზბარ ერისთავის (1810-1871) ძმას. მისი მეუღლე ალექსანდრე ერისთავი იხსენიება საპროგრამო ტექსტის ერთ-ერთ ხელმომწერად საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალ „სინათლისა“, რომლის დაარსება 1840-იან წლებში გორის მაზრაში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეებს ჰქონიათ განზრახული.

გორში მართა სოლოღაშვილს სტუმრად სწვევია ცნობილი გერმანელი მწერალი და მეცნიერი ფრიდრიხ ბოდენშტედტი, რომელიც ასე იგონებს მშვენიერ მასპინძელს თავის წიგნში „ათას ერთი

დღე აღმოსავლეთში“: „თავაზიანმა პოლკოვნიკმა (ლაპარაკია გორში მდგარი პოლკის მეთაურზე, პოლკოვნიკ კაპიოვზე–მ.ც.) ბატონიშვილების სახლებში მიმიყვანა. მიგვიღო მხოლოდ მართა ერისთავმა, რომლის მომხიბლავი ტანი და დიდებული თმა მთელს საქართველოში იყო ცნობილი. პოლკოვნიკმა წინასწარი თადარიგი დაიჭირა: ვიდრე თავადის ქალთან წავიდოდით, ერთი საათის წინ შეატყობინა, მოვალთო, „რადგანო, ამიხსნა ღიმილით, მშვენიერი ქართველი ქალი არასოდეს ეჩვენება უცხო სტუმარს, თუ წინასწარ თავისი ტუალეტი არ მოაწესრიგაო“.

მართა სოლოღაშვილი გორის საზოგადოების სული და გული ყოფილა. ცნობილია, რომ იგი შინაურ სპექტაკლებში მონაწილეობდა. ერთი ასეთი სპექტაკლი წარმოადგენდა ინსცენირებას ისტორიკოსისა და დრამატურგის დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის (1815-1878) პიესისა „გამოუცდელობა ანუ დროებითი განშორება საყვარელთა“, რომელიც 1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისსა და 7 აგვისტოს ქალაქ გორში გამართულა, და რომელიც მართასა და ალექსანდრე ერისთავის ოჯახური ცხოვრების ერთ ეპიზოდს ეძღვნებოდა.

მართა სოლოღაშვილი ახალგაზრდა, 31 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალეს იგი სოფელ იკორთის წმ. მთავარანგელოზ მიხეილის სახელობის ტაძარში, რომელიც ქსნის ერისთავთა საგვარეულო განსასვენებელია. აღნიშნული ტაძრის ნეკროპოლის აღწერილობა და ეპიტაფიები იოსებ მეგრელიძემ (1909-1996) გამოაქვეყნა ნაშრომში „წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში“.

მისი აღწერილობის მიხედვით, „შავ ქვაში ჩასმულ მარმარილოს მხატვრულ დაფაზე თავის კუთხეებში 2 ანგელოზი ახატია. შემდეგ თაღისებრ არეში კიდევ ორ ანგელოზს მეფის გვირგვინი უჭირავს ხელში; წარწერა იკითხება: „აქა დაფლული მართა, მეუღლე თავადის ალექსანდრე შანშეს ძის ერისთავისა და ასული თავადის სოლაოვისა, მყოფი ჯერედცა ყუავილოვანსა ოცდაათსა წელსა შ“ა (,) ველოდი რა დატკბობასა სატრფოსა მეუღლესა და მცირეწლოვანთა შვილთა თანა (,) მაშინ შესაძრწუნებული იგი მა საღმრთოისა მსჯავრისა: ძველი მშობელთა ჩვენთა ცდომისა განსაზღურებული მოიწია ჩემზედა და მიმაქცია მიწა მიწადვე 7 მარტს 1856-სა წელსა და დაუტევენ დედა მოუწყვედელ ცრემლ მდინარე, შვილნი ობლადა (,) მეუღლე ღრმად მგლოვიარე,რომელმანცა სახსოვრად სიყვარულისათვისა დასდვა ლოდი ესე მტვერსა ჩემსა ზედა (.) აწ თქვენ(,) წამკითხველნო (,) მხედავთ რა თქვენთანა ყოფისაგან მოკლებულსა შენდობა ჰყავთ ჩემთვის“.

მართა სოლოღაშვილს და ალექსანდრე ერისთავს დარჩათ ორი შვილი – ქალ-ვაჟი, რომელთა აღზრდა ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ მართას დედამ კნეინა კონიამ ითავა. მართას ასული ანა (ანეტა) (1848-1934) ცოლად გაჰყვა კავალერიის გენერალს, გენერალ-ადიუტანტ ივანე (ნიკო) გივის ძე ამილახვარს (1829-1905), უცოლშვილო ახალგაზრდა ვაჟი გიორგი კი (1850-1878) გარდაიცვალა პარიზში. მისი ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს და იკორთაშივე დაკრძალეს. იოსებ მეგრელიძის აღწერილობით: „მის გვერდით (იგულისხმება დედამისის მართა სოლოღაშვილის საფლავი – მ.ც.),შავს ქვაში ჩასმულ მარმარილოს დაფაზე ჯვარი ხატია და შემდეგ აწერია: „მოიხსენე უფალო სასუფეველსა შენსა ამა ლოდსა ქვეშე მდებარე მონა შენი თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ერისთავი, აღსრულებული ქალაქს პარიჟსა შინა 12 სეკდენბერსა 1878 წელსა, ხოლო აქა დასაფლავებული 26 ოკდონერსა ამავე წელსა, რომელმანცა 28 წლისა ახალგაზრდამ დაუტევა მწარეთ მგლოვარენი და მტირალნი: მამა და მოხუცებული დიდი დედა თვისი“.

ვაჟიშვილის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ იკორთის ტაძრის ცენტრში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი მართას მეუღლეს ალექსანდრე ერისთავს.

მისი საფლავის მარმარილოს ქვაზე, მეფის გვირგვინის ქვეშ გაშლილ მოსასხამზე, ამოკვეთილია დროშა, ფარი, ხმალი და სხვა იარაღები და იკითხება ორენოვანი (ქართულ-რუსულ) წარწერა. ქართული წარწერა იუწყება: „აქა განისვენებს გვამი ფლიგელ-ადიუტანტისა პოლკოვნიკისა თავადი ალექსანდრე შანშეს ძისა ერისთავისა, რომელიც ოცდაცამეტი წელიწადი განაგებდა გორის მაზრისა თავად-აზნაურობის წინამძღრობასა. დაიბადა 1811-სა წელსა და აღსრულდა 1883-სა წელსა აპრილის 20 დღესა. შენსას სასუფლის შვებასა“.

ანა (ანეტა) ერისთავის ოჯახსა და მის ძმაზე საგულისხმო მოგონება დატოვა ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავს (1864-1848), რომელიც საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაშია დაცული (გამოვაქვეყნეთ გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში, №№5-6,2012). მემუარისტის ცნობით,მართას დედას კონიას სიკვდილის წინ უთხოვია, ქალიშვილის მშვენიერი ნაწნავები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახში ჰქონიათ შენახული, მისთვის საფლავში ჩაეყოლებინათ.

მართას გამორჩეული სილამაზე,მისი თვალტანადობა, გულგრილს ვერც შემდგომი დროის პოეტებს ტოვებდა. ისინი საკუთარ პოეტურ ნიმუშებში უკვდავყოფდნენ ნ. ბარათაშვილის მეგობარი ქალის სახელს.

იოსებ გრიშაშვილი ლექსში „აბანოს ცრემლები“ იხსენებს მართა სოლოღაშვილის მშვენებას:

„რა კარგი იყო, რა საამური ქალთა მარაქა ამოხმიანი,
მათრობდა ტანი – სიასამური, ღიმილის პეწი თახახიანი.
ველარ ვიხილავ იმ დროს, იმ ხანსა,
გული მიკვნესის, გული ვალალებს,
ვერ ვჭვრეტ მანანას გაწკეპილ ტანსა,
სოლოღაშვილის გაშლილ დალალებს“.

გიორგი ლეონიძე ლექსში „მითხარ, მაია...“ გულდაწყვეტითა და სევდით ასე ეხმიანება მართასა და მის თანამედროვე სხვა ლამაზმანთა აჩრდილებს:

„მითხარ, მაია,
მითხარ, მანანა,
დღეს სადღა არი
თქვენი მშვენება?
ან უთქვენობით რა გვეშველება?
მითხარი, ნინა,
ეკატერინა,
შვიდი ნაწნავი რომ გერტყა,
მართა,
ნუთუ აღარ ხართ ამქვეყნად მართლა?“

მშვენიერების მსახური

ცისანა ჯანაშვილი ცნობილი ქართველი ებრაელი მხატვრის მიხეილ ჯანაშვილის ქალიშვილია, რომელიც ბედმა ამერიკაში წაიყვანა. მის ნატიფ, ლირიკულ და ტრადიციულ მხატვრობას ამერიკული ავანგარდული ალეგორიულ – სიმბოლური სახეები შეენაცვლა... ამას წინათ ქველმოქმედსა და მშვენიერების მსახურს ქალბატონ ცისანას დაბადების დღე ჰქონდა. ჟურნალი „ანეული“ სახელგანთქმულ მხატვარს და ქართულ-ებრაული მეგობრობის დესპანს დაბადების დღეს ულოცავს და კვლავაც წარმატებებს უსურვებს.

ჟურნალის მკითხველს კი ვთავაზობთ ციცინო ჯერვალიძისა და გიორგი მელუას წერილებს, რომელიც საგანგებოდ ცისანა ჯანაშვილს ეძღვნება.

საიუბილეო მილოცვა ჩემს მეგობარს, ცისანა ჯანაშვილს

ჩემო ცისანა, ახლა გვიანაა, ძალიან გვიან, „შუაღამე იწვის დნება“, „რომელი საათია?“ ვერ გეტყვი, „შეიძლება 3 იყოს“,ან ცოტა ნაკლები. მე ვარ ჩემს ოთახში, ჩემი წილი თავისუფლებისა და მარტოობისაგან გარინდებული და ვფიქრობ შენზე, ვფიქრობ იმ დღეზე, რომელსაც შენი დაბადების დღე ჰქვია. გარეთ კი წვიმს,გადაუღებლად წვიმს,რაც სავსებით ეხმიანება ჩემს განწყობას. წვიმის მონოტონური შხაპუნი,რატომღაც რაველის „ბოლეროს“ მაგონებს და ვფიქრობ,ნეტა ვინმეს თუ უცდია წვიმის სანოტო ფურცლებზე გადატანა, ან ნეტავი როგორი იქნება წვიმა შენს შემოქმედებაში? გაგეცინა? ძალიან კარგი...

ჩემო ცისანა, მინდა ამ ღამის იდუმალებით ვისარგებლო და შენი დაბადების დღისათვის ბარათი მოვამზადო. რამდენი წლისა ხარ? მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ერთხელ, ერთმა მომღერალმა თქვა – მე იმდენი წლისა ვარ, როგორც გამოვიყურებიო. ვეთანხმები. შენ კი, მართლაც, კარგად გამოიყურები, იმიტომ რომ მთელი შენი არსება დადებითი იმპულსებითაა გაჯერებული, გული კი სითბოთი და სიყვარულით სავსე, იმ სიყვარულით, რომელიც თან სდევს შენს ცხოვრებასა და შემოქმედებას...

შენი ნათქვამია – საქართველოდან არსად წავსულვარო, – მართალია, შენ ოკეანის გაღმიდანაც კარგად გესმის საქართველოს მაჯისცემა, სიყვარულით ქმნი დიდ ქართველთა დიდებულ პორტრეტებს და მადლიერების ნიშნად საჩუქრად უბრუნებ იმ ქვეყანას, სადაც ფეხი აიდგი, საიდანაც ბავშვობის ლამაზი მოგონებები გამოგყვა. არადა, კარგად ვიცით, რა მძიმეა შემოქმედისათვის თითოეულ ნამუშევართან განშორება – „ვიცით, რომ მხატვრის ნაჩუქარ სურათს გაშვილებული ოცნება ჰქვია“, თუმცა, მინდა გითხრა, რომ ამ პორტრეტებთან ერთად, შენ თავისთავად ბრუნდები საქართველოში ისე, რომ შეიძლება ჯერ თავადაც არ იცი. ამბობენ – პორტრეტული ჟანრი ურთულესიაო, ალბათ, მე ძალიან მომწონს შენი პორტრეტები, მაგრამ უსაზღვროდ მიყვარს შენი კომპოზიციები, რომელშიც ვლინდება შენი დახვეწილი გემოვნება, სათუთი და ამაღლებული სულიერება. შენი შემოქმედებისათვის კომერციული მიმართულება არასოდეს მიგიცია, შენი შემოქმედება მატერიალურ კეთილდღეობაზე არ გაგიცვლია და ამაშია შენი ღირსება. მთელი შენი შემოქმედება ორი ერის გზაჯვარედინზე იყრის თავს და ორივე თანაბრად მადლიერია შენი. შენ საოცრად პოეტური სულის

ადამიანი ხარ, რამდენჯერ აღვფრთოვანებულვარ, როცა შენს ჩანაწერებს მიკითხავდი და მითქვამს – ფუნჯი და კალამი თანაბრად გიჭრისმეთქი, ხოლო შენი ხელიდან გამოსული ქართული ასოები, ხომ თავისთავადაა მხატვრობა... დიდი მადლობა ამისათვის...

ერთხელ მე და შენ კარგა ხანს შევყევით ჩვენს ფიზიკურ ტკივილებზე ჩივილს, მაშინ მითხარი – მოდი, ასეთ ტკივილებზე ლაპარაკით დროს ნუ დავკარგავთ, ბევრი კარგი რამეა სასაუბრო და საკეთებელიო. არ გამკვირვებია, შენ ხომ ყველანაირ ტკივილზე მაღლა დგახარ და ბევრმა არც იცის, როგორი მტკივანი ხელით იქმნება შეუდარებელი ტილოები... ჩემი აზრით, დედაბუნებასავით, ადამიანთა ცხოვრება 4 სეზონად იყოფა და ახლა შენ შემოდგომის პირზე მიმდგარს, თამამად შეგიძლია თვალი გაუსწორო შენს განვლილ ცხოვრებას, შეგიძლია თამამად თქვა, რომ ტყუილად არ მოსულხარ ამ ქვეყნად, ტყუილად არ გიცხოვრია...

ჩემო ცისანა, თენდება, ვამთავრებ შენს ბარათს, ზოგი რამ გითხარი, უფრო მეტი უთქმელი დამრჩა... გილოცავ დაბადების დღეს, რომელიც მხოლოდ შენი საკუთრება აღარაა, ისეთი ადამიანისა და შემოქმედის დაბადების დღე, როგორიც შენ ხარ, თავისთავად ხდება საზოგადო. გილოცავ, გილოცავ, გილოცავ.

ხო, მართლა, ხომ იცი, როგორ მიყვარს ვან გოგი, ჰოდა, ვან გოგის მზესუმზირებით გილოცავ დაბადების დღეს.

სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით,

ციცინო ჯერვალიძე,
ნიუ-იორკი,
9 სექტემბერი, 2014

ცის ანა

ყველაფერი **ცის ა ა:** მნათობები, სერაფიმთა გუნდი, ქერუბიმები, მსუბუქფრთიანი ანგელოსები და შვიდფერი ცისარტყელები; ჰო, სუყველაფერი – აისები და ლაჟვარდები, ბინდბუნდიანი ალიონი და მეწამური დაისი, ნაღველიცა და სიხარულიც, პეპლები და ცაში გაფრენილი ბაბუაწვერას ბუსუსიანი ფთილები და ჩემი მეგობრები: პატარა ჩიტები და ჩიორები, უფრო კი, ის სანატრელი ჩიტი – მეცხრე ცის მიმწვდომი, ფრთადაუღლელი ტოროლა – ფიზიკისა და მეტაფიზიკის მაერთი ირაო; დიახ, **ცისა-ა** ყველაფერი – თბილი წვიმები, ჯადოსნური ფუნჯით ნახატი ფიფქები, ბროლის ქედიდან მონაქროლი ნიავი და ქვაშავის ქარები; **ცისა-ა** ალუჩის ყვავილები, ახლად გაშლილი ატმის კვირტები და ბუჩქებქვეშ დამალული, ნამტირალებთვალებიანი იები, ენძელებიც და ყოჩივარდებიც.

ყველაფერი **ცისა-ა:** რომეოსა და ჯულიეტას, ტრისტანისა და იზოლდას, ნესტანისა და ტარიელის, ავთანდილისა და თინათინის გულისწამღები სასიყვარულო ამბები, **ცისა-ა** ცრემლები – სიხარულით და უფრო ხშირად – ტკივილით დადენილი, ცითგაჩენილი, მეხთატეხით შობილი, **ცისა-ა** ჩემი თვალებით ცისადმი ახსნილი სიყვარული და ჩემი თამამი ოცნებები კოსმოსზე, ჩვენს გალაქტიკასა და უფრო ხშირად – დედამიწაზე, სულისგანბანასა და სრულყოფილ ჰარმონიაზე, ადამიანზე, საზოგადოდ და გულზე – ყოვლისდამტევსა და ყოვლის მომცველზე;

ცისა-ა შემოქმედი და მისი უდიდესი საჩუქარი – ბგერა, ფერი და სინათლე და ჩვილის ნებიერი ფშვინვა და სუნთქვა – ახალი სიცოცხლის ასათვლელად გარდასახვის ყოველ რგოლსა და ყოველ ცვლილებაში, **ცისა-ა** უდიდესთა შორის უდიდესი – ადამიანის მისწრაფება, დაუოკებელი სწრაფვა შეუცნობელის შესაცნობად, არსთა გამრიგესთან მისააახლოებლად. **ცის – ანა:** არის ადამიანის მარადიული სწრაფვა საკუთარი თავის ცაში გამოკვრის, გარდასვლის ზღურბლზე გადაცდენის, უფრო, გაფრენისა და მიწიერ გარსთაგან განთავისუფლების; **ცის ანა** არის საკუთარი თავის მიკუთვნება იმისათვის, ვისაც ის გულით ასე გრძნობს, ვისი ხშირად მოხილვით დაჩვეულს, არად უჩანს ამქვეყნის სიამენი; **ცის ანა** არის თავგანწირვა ყოველი წამისთვის, შადრევანივით გულიდან ამოფრქვეული ნაპერწკლები, რომლებიც ვარსკვლავებად დაენთებიან უძირო კაბადონზე. **ცის ანა ცისაა ფერთა მოქროლვით დანალანდი.**

გიორგი მელუა,
9 აგვისტო, 2009 წელი
სავანა, ჯორჯია, აშშ.

მართალი სიტყვის პატრონი

„შოთას პატრონი,
ვაჟას პატრონი,
პატრონი აკაკისი, –
დღეს მე რომ მისმენს ჩემი სამშობლო,
ვარ კი მე ამის ღირსი?“ –
წერს ბატონი მუხრან მაჭავარიანი.

საოცარია, ამას ამბობს კაცი, რომელიც წრფელი გულით, მართალი სიტყვით, თავდადებით ემსახურა ქართველ ერს. მისი პოეზია მაცოცხლებელი და იმედიანი სხივია, რომელსაც უდიდესი ძალა და მუხტი აქვს,რომელიც არცერთ პერიოდში არ კარგავს ხიბლს.

ჩვენ, უფროსი თაობა მის ლექსებზე გავიზარდეთ. ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა, როგორც სიტყვიერების მასწავლებელს, პოეტისადმი ჩემი დამოკიდებულება ახალგაზრდებთან მისი შემოქმედების შესწავლით გამომეხატა. სამწუხაროდ, ამ დიდებული პოეტის შემოქმედება სასწავლო პროგრამაში მწირადაა წარმოდგენილი.

ერთ დღეს მე-9 კლასში „მადლი იმ ზართა“ წავიკითხე. ახალგაზრდები აღფრთოვანდნენ. გადავწყვიტეთ, ყოველ გაკვეთილზე პოეზიის ხუთი წუთი მუხრან მაჭავარიანის ლექსებისთვის დაგვეთმო. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა.

„არა, სხვისი მისაბაძი რა გვჭირს, თვარა კი,
სხვა როცა ჩვენ შემოგვნატრის, ჩვენ მივბაძოთ
სხვას?!“

სიამაყით, მხატვრულად იწყებდნენ გაკვეთილს ახალგაზრდები.

„შენი, მიწავ ჩემო,
ვინც კი იცის გემო:
როგორ დავიჯერო, –
თავს არ შემოგევლოს!“ –
ტოლს არ უდებდა მეორე.

ახალგაზრდები პოეტის ცხოვრებით დაინტერესდნენ. მალე ბევრი მასალა დაგვიგროვდა. გადავწყვიტეთ, საყვარელი პოეტი სკოლაში მოგვეწვია. უპირველესად, ბატონ მუხრანს დავლაპარაკებოდი. ღონისძიებამდე შინ ვეწვიეთ. მოსწავლეებზე მეტად მე ვღელავდი. თავს შემოვუძახე, ვცდილობდი, ახალგაზრდებს არ შეეშინიათ.

კარი მეუღლემ გაგვიღო. მალე ბატონი მუხრანიც შემობრძანდა. ახალგაზრდები წარვუდგინე. სასწავლო პროგრამაში ჩემი ლექსები თითქმის არ არის. რამ გაგახსენათ ჩემი თავიო, გვკითხა. ვუამბე, როგორ დაიწყო ყოველივე. სიამოვნებით გვესაუბრა. ჩვენს კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა. ახალგაზრდებს დაძაბულობა მოეხსნათ. ერთმანეთს საყვარელი პოეტის ლექსების თქმაში გაეჯიბრნენ... პოეტი აღფრთოვანდა, სიამოვნებით მოვალ თქვენთანო.

მეორე დღეს სკოლაში დიდსა თუ პატარას შურდა ჩვენი. დავამშვიდეთ. შეხვედრა ძვირფას ადამიანთან წინ ელოდათ.

საოცრად საინტერესო, ამავდროულად, საპასუხისმგებლო დღე დაუდგა 128-ე საჯარო სკოლას. ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილებისთვის უნდა ემასპინძლა: მუხრან მაჭავარიანი, კახი კავსაძე, ერეკლე საღლიანი, ჯემალ ჭკუასელი, გია ბაღაშვილი, ეთერ კაკულია.

ახალგაზრდებმა მრავალი საინტერესო მასალა მოიძიეს და გამოფინეს საქართველოს ყველას კუთხის წარსულის, აწმყოსა და ტრადიციების ამსახველი მასალები. თითოეულ კუთხეს ჩვენთან მოწვეული საპატიო სტუმრის ფოტო ამშვენებდა.

„ვალდებულია – პოეტს მოეპყრა ნაზად,
ის სამშობლოსთვის წარმოადგენს რამეთუ
ლაზათს“, – ბრძანებს ბატონი მუხრანი.

მისმა პოეზიამ ანდამატივით მოიზიდა ანცი გოგობიჭები. ამიტომაც ახალგაზრდების გულწრფელმა სიტყვებმა, პოეზიისადმი დამოკიდებულებამ ააღელვა ბატონი მუხრანი. აღტაცებას ვერ მალავდა. აკი ბოლოს

დასასრული იხილე მე-60 გვერდზე

გაგვიცხადა კიდეც, რომ მოვდიოდი, თავს შეუძლოდ ვგრძნობდიო. ვიფიქრე, 10-15 წუთი დავრჩები, ბოდიშს მოვიხდი და წავალ-მეთქი. მაგრამ თქვენ ტკივილი დამავიწყეთო და მადლობა გადაგვიხადა. გულახდილი საუბარი გაიმართა პოეტსა და ახალგაზრდებს შორის.

ბატონო მუხრან, – ეკითხება ქეთი, – თქვენ ერთ ლექსში ბრძანებთ:

„ღმერთო,
მიცოცხლე მეგობრები,
ვონც დღემდე მომყვა!
ო, რა სიცოცხლეა! –
სიცოცხლე თუ უმეგობროა?!
თავს უმეგობროდ
(ღმერთმა ნუ ქნას) იგრძნობ როგორღა! –
თავს მეგობრებში
ხარ, როდესაც ხანდახან ობლად!“ –

თუ მოგყვათ დღემდე ის მეგობრები, ვისაც ამ ლექსში გულისხმობთ?

ფაქიზ თემას შეეხეთო, გაიხარა პოეტმა და დიდხანს ისაუბრა მეგობრობაზე, კაცობაზე, ქართული სისხლისა და სულის უკვდავებაზე.

„საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით ვიტყვი: –
რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს“... – დასჭექა ბატონმა უხრანმა.

დარბაზი გაირინდა. ყველა ძვირფას პოეტს შეჰყურებდა. ძალიან გვიან გამოვერკვიეთ.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა.

„ვერ დამადუმონ,
ვერ დამძალონ, თუნდაც ჩამქოლონ...
ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს“...

„თქვენი წრფელი სტრიქონები თითოეულ ჩვენგანს აღგვიძრავს სურვილს, კიდევ უფრო მეტად შევიყვაროთ ჩვენი მამული.

გმადლობთ იმ რწმენისთვის, თქვენმა ლექსებმა რომ ჩაგვინერგეს, იმ ხიბლისთვის, რაც თქვენმა ლექსებმა გვაგრძნობინეს.

ძალიან გვიყვარხართ, დიდხანს იცოცხლეთ, ერის სიამაყევ! დიდი მადლობა, რომ არსებობთ“, – უთხრა გიორგი ამბარდნიშვილმა.

დიდხანს ქუხდა ტაში თბილისის 128-ე საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში.

მზია ჯიშკარიანი-კიწმარიშვილი,
128-ე საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.

მამუკა ვაშაკიძე

„საქართველოს ჰეროიკული მატიანე“

ერთ დროს კასპის ქარხანა „კასპიელექტროა-პარატი“ საკავშირო მნიშვნელობის იყო და ელექტროდანადგარებით არა მარტო საბჭოეთის ყველა რუსპუბლიკას, არამედ მსოფლიოს რამდენიმე ათეულ ქვეყანას ამარაგებდა. ასობით დასაქმებული ადამიანი – პროფესიონალი ელექტროინჟინრები, სახელმწიფოს მიერ დაფასებულნი და საქვეყნოდ ცნობილნი, მაგრამ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როგორც ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების უამრავი საწარმო, ჩვენიც დაიხურა, და მხოლოდ ხალხის მოგონებებში დარჩა. კასპის ქარხნის თავკაცმა, დამსახურებულმა ინჟინერმა და გამომგონებელ-რაციონალიზატორმა, ბატონმა უშანგი მოსიაშვილმა, რომ იტყვიან, შეუძლებელი შეძლო, ეს დუხჭირი წლები წვალებით, ავტორიტეტით, შრომისმოყვარეობითა და შეუპოვრობით გამოატარა მშობლიური ქარხანა. ახლა დროებით გაჩერებულ „კასპიელექტროაპარატი“ მისი მფარველობის ქვეშაა და დღე-დღეზე ჩვეული ძალით ამოქმედებას ელის.

* * *

ახლა დროებით სულ სხვა ტალღაზე გადავერთოთ, მკითხველო, და ორიოდ სიტყვაც საქართველოს დამსახურებულ მხატვარ ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილზეც ვთქვათ, რომლის შემოქმედებაც ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობია, მაგრამ არც საქართველოს საზღვრებს გარეთაა უცხო. უნიჭიერეს მხატვარს ჯერ კიდევ საბჭოეთის დროს ხვდა ბედნიერება იმისა, რომ უამრავ შემოქმედს შორის გამოერჩიათ მისი სტილი, პროფესიონალიზმი და ბატონი ალექსანდრესთვის მოსკოვის ოლიმპიადის გაფორმება მიედოთ. მსოფლიოში ყველასთვის დასამახსოვრებელი მოღიმარი დათუნია – ოლიმპიადის თილისმა ხომ ბატონი ალექსანდრეს შექმნილია, მისი მოხატულია ოლიმპიური ქალაქიც. სამწუხაროდ, ეს ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ არც კი იცის. ამის შემდგომ ქართველი ხელოვანის შემომქმედებით ბერძნებიც დაინტერესდნენ და ანტიკური ხელოვნების მსოფლიო ფუძემდებლებმა დიდი ალექსანდრე მაკედონელის დაარსებული ქალაქი სალონიკის პორტის მოხატვა და ორი უზარმაზარი პანოს შექმნაც ჩვენს თანამამამულეს ანდეს. ევროპის ერთ-ერთ უდიდეს და ულამაზეს ნავსადგურს, რომელსაც მილიონობით ადამიანი სტუმრობს, ალექსანდრე ციხელაშვილის პანოები ამშვენებს.

ამაყად შედის ალექსანდრე მაკედონელი ქალაქში მხლებლებსა და ჯარისკაცებთან ერთად და ქალაქს თავისი დის სალომეას საპატივცემულოდ

ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილი

სალონიკს არქმევს. ათობით ფიგურა, განსხვავებული ხასიათისა და ფორმისანი, ბერძნულ ტუნიკებში გამოწყობილნი სიამაყით გადაჰყურებენ მომავალი ქალაქის ქონგურებს.

„ეჰ, შესაძლებლობა რომ მომცა და ამხელა ტილო ჩვენთვისაც დამეხატა?! რა ნაკლები გმირები გვყავდა? გინდაც გორგასალი და ფარნავაზი, აღმაშენებელი,გინდა თამარი და გიორგი ბრწყინვალე, პატარა კახი, თუნდაც გიორგი სააკაძე... ჩვენი მომავალი თაობებისთვის შემომენახა...“ — ეს სიტყვები შურა ციხელაშვილმა ოთხმოცდაათიან წლებში მითხრა, მაშინ, როდესაც უზარმაზარი ტილოებისა და პანოების ხატვაზე ფიქრი, მართლაც, ოცნება იყო, მაშინ როდესაც უშუქობითა და უგზოობით, უმუშევრობით შეწუხებული, სამოქალაქო ომგადატანილი ქართველები ხელოვნებაზე მეტად ლუკმაპურზე ფიქრობდნენ და ოჯახის სარჩენად უცხოეთს აშურებდნენ ყველაზე უფრო სათაკილო შრომის შესასრულებლად და თითო გროშის საშოვნელად. ბატონი შურა თავის პატარა, სახელოსნოდქცეულ საცხოვრებელ სახლში სანთლის შუქზე, ხშირად სიცივეში გათოშილი ხელით ხატავდა ესკიზებს. ქმნიდა მეფეთა პორტრეტებს, აცოცხლებდა საქართველოს ისტორიას. მაგრამ მა-შინ არც თანხა იყო ტილოს, საღებავებისა და ათასი მასალის შესაძენად, საკუთარი ოცნების განსახორციელებლად.

* * *

ახლა, მკითხველო, ის აბრაკადაბრა მინდა გაგიშიფროთ ამ წერილის კითხვისას რომ დაგებადა — სად კასპის ცნობილი ქარხანა, დამსახურებული ინჟინერი უშანგი მოსიაშვილი და სად დამსახურებული მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილის ოცნებაო? ასეთი რამ ხშირად ზღაპრებში ხდება და ზოგჯერ დაუჯერებელიცაა. კასპში მეპატიჟება ბატონი შურა, თან ტელეფონში მიხსნის, — ყოფილი „კასპიელექტროაპარატის“ ქარხანა იკითხე, ყველა კასპელი მიგასწავლის და იქ მომძებნიო. ორი თვის უნახავ უფროს მეგობარს დათქმულ ადგილზე ვაკითხავ, თან ცნობილი ფოტოხელოვანი გივი ჯოლბორდი მახლავს. ქარხნის ტერიტორიის სიღრმეში, მიტოვებული სპორტული დარბაზის შესასვლელში დგას ბატონი ალექსანდრე და ჩვეული ღიმილით გვეგებება, ახალგაზრდულად, მოხდენილად, პატარა ბიჭივით, არადა ოთხმოცდახუთისა ხდება. და ყველაზე დიდი საოცრება წინ მელის...

დარბაზის კედლები დაფარულია უზარმაზარი ტილოებით, სწორედ იმ ზომისა, როგორიც სალონიკში შექმნა — „მირიან მეფე თხოთის მთაზე. მზის დაბნელება“, „ფარნავაზი გამოქვაბულში განძს პოულობს“, „ძლევაი საკვირველი“, „მოქცევაი ქართლისაი“, „ლეგენდა თბილისის დაარსებისა“.

თვალებს არ ვუჯერებ: ორმოცამდე უზარმაზარი ტილო. თავად ვურჩევ სახელებს — ეს ხომ თამარ მეფის დარბაზია, რუქნადინის ელჩს ერთი გარტყმით რომ დასცემს მხარგრძელი, ეს კი ცოტნე დადიანია, თანაშეთქმულებთან ერთად რომ ჩამუხლულა, ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, იაზონი იმორჩილებს ცეცხლისმფრქვეველ ხარებს... ეს ბაზალეთის ბრძოლაა, თეიმურაზ მეფისა და გიორგი სააკაძის შერკინება.

— ეს არ გვინდოდა დაგვეხატა, ეს საქართველოს სირცხვილი და ტრაგედიაა, როგორც ილიას მკვლელობა. მაგრამ რას იზამ, ჩვენი ისტორიაა და... — გვერდით ჭარმაგი მამაკაცი მიდგას, იღიმება, ხელს მიწვდის. ისე ვარ გაოცებული, გახარებული, საქართველოს წარსულში გადავარდნილი, რომ ვერც ვამჩნევ, როდის მოგვიახლოვდა.

— გაიცანი, ბატონი უშანგი მოსიაშვილი, — იღიმის მხატვარი — ამ კაცმა ამისრულა ოცნება, სახელოსნოდ ეს დარბაზი დამითმო, საღებავები, ტილო... მარტო ინჟინერი კი არა, პოეტიცაა, მხატვარიც, საქართველოს ისტორიაზე თავგადადებული კაცი, როგორც ყველა კასპელი — გიორგი სააკაძის, თევდორე მღვდლის, პაატას თაყვანისმცემელი.

* * *

აი, ეს აბრაკადაბრაც აგიხსენით. ჩემო მკითხველო. სულ მალე ეს დარბაზი, როგორც ბატონი უშანგის გეგმებშია, მუზეუმად გადაიქცევა და კასპელების კულტურის ერთ-ერთი ცენტრი გახდება. სპორტული დარბაზისთვის ადგილიც მოუნიშნია, კასპელებს ისე ხომ არ დავტოვებო — ამბობს. სულ მალე ალბომის გამოცემასაც აპირებს, სადაც ორმოცამდე ნამუშევარს შესაბამისი ისტორიაც დაერთვება თან.

— ეს პირველი ნაწილია, მეფე ერეკლემდე მივედით მე და შურა, მეთვრამეტე, მეცხრამეტე, მეოცე საუკუნეც ხომ უნდა „შევქმნათ“ და მოვხატოთ. მერე ერთი კაი პურიც ვჭამოთ და ეს მუზეუმიც კასპელებს ვაჩუქოთ. — ალალად გვეუბნება გულქართლი კაცი. სახელიც შეურჩევია ალბომისთვის „საქართველოს ჰეროიკული მატიანე“.

ბატონო უშანგ, ბატონო ალექსანდრე, მართლაც, საშვილიშვილო საქმე გაგიკეთებიათ.

„ფონდი „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“ დაიცავს იმ მემკვიდრეობას, რომელიც ქართული სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენლებმა დაგვიტოვეს“

*გასული წლის მიწურულს შეიქმნა ფონდი **„ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“**, რომლის მისიაც, როგორც ამ ფონდის აღმასრულებელი დირექტორი **ნინო ჩხიკვიშვილი** შენიშნავს, ქართველ სიმბოლისტთა ღვაწლისადმი ხარკის გაღებაა, ასევე – სურვილი, საუკუნის წინათ შექმნილი პოეტთა საძმოს ერთგვარი გაცოცხლება და მათი პოეზიისა და იდეების მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში ჩართვაა...*

თუმცა, სურვილი ერთია, განხორციელება – მეორე, ვნახოთ, რამდენად შეძლებს ფონდი დასახული მიზნის მიღწევას:

– რა მიზანს ემსახურება ფონდი „ცისფერყანწელთა ხსოვნისთვის“ და რამ განაპირობა მისი დაარსება?

– XX საუკუნის დასაწყისში (1916 წელს) შექმნილმა ქართულმა სიმბოლისტურმა სკოლამ – ცისფერყანწელთა გაერთიანებამ ქართულ ლიტერატურაში ძირეული გარდატეხა შეიტანა; როგორც თვითონ აღნიშნავდნენ, ქართული პოეზია გამართეს ევროპული რადიუსით; და სწორედ ამიტომაც შეეწირა ბოლშევიკურ დიქტატურას ცისფერყანწელთა ორდენის არსებობა. ამ ორდენის წევრთაგან ზოგიერთი ფიზიკურად განადგურეს, ზოგიერთი – აკრძალულ მწერლად გამოცხადეს (პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, ნიკოლო მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვანი);

ამდენად, დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა, ევროპული არჩევანის წინაშე დგას, უდავოდ უნდა მოხდეს, ამ ორდენის წარმომადგენელთა სახელების ხელახალი პოპულარიზაცია და თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში ჩართვით, მათი შემოქმედების გაცოცხლება;

ამიტომაც, ჩვენი ფონდი „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“ დაიცავს იმ მემკვიდრეობას, რომელიც ქართული სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენლებმა დაგვიტოვეს; გაუწევს მათ შემოქმედებას პოპულარიზაციას: მასშტაბურად აღნიშნავს პოეტთა საიუბილეო თარიღებს; გამართავს მათი შემოქმედებისადმი მიძღვნილ შეკრება-სემინარებსა და საღამოებს. დააარსებს ცისფერყანწელთა სახელობის ერთი ლექსის კონკურსს.

ფონდის გამგეობის წევრები არიან, პაოლო იაშვილისა და კოლაუ ნადირაძის შთამომავალნი, (ბატონი მერაბ ნიჟარაძე, ნუგზარ ნადირაძე და მარიამ გაბუნია). რომ არა მათი თანადგომა, ვერც კი გავბედავდი, რომ ასეთი საქმე მარტოდმარტო წამომეწყო...

– ფიქრობთ, რომ ცისფერყანწელები სათანადოდ არ არიან დაფასებულნი? რა გაძლევთ ამის საფუძველს?

– ერთ შემთხვევას მოგიყვებით, როგორც იტყვიან, ყოველგვარი განმარტების გარეშე: ამ ამბავმა მთელი ფეისბუქი მოიარა, ჯერ მეგონა, გამოგონილი იყო, სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა: „ბიბლუსის“ მაღაზიაში მშობელი შედის და გამყიდველს ეუბნება, იცით, ტაბიძის ლექსების წიგნი თუ გაქვთ, ტაბიძისა, ოღონდაც, გალაკტიონისა კი არა, აი, მეორე რომ იყოო? მეორეო? ა? ისა, კვიციანიო? – პასუხობს გამყიდველი და გახარებული მშობელიც კვერს უკრავს, დიახ, დიახ, სწორედ რომ კვიციან ტაბიძის წიგნი მინდაო!!!

ანეკდოტად ქცეული ეს შემთხვევა და მეორე... უფრო მეტად გულდასაწყვეტია პროფესიონალებმაც რომ მხარი დაუჭირეს ე.წ. სენსაციურ აღმოჩენას, პაოლოს შედევრები – „დარიანული“, ვითომდა, ყანწელის კალამს კი არა, ერთ-ერთ ავანტიურისტ ქალბატონს ეკუთვნისო;

და საერთოდ, თვალს თუ გადავავლებთ ყანწელეთა შემოქმედების კვლევის ერთიან სპექტრს, საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული, მიუხედავად იმისა, ბევრი მკვლევარის ინტერესთა საგანია, ჩვენს ეპოქაშიც მოელის ქართული სიმბოლისტური სკოლა ახლებურ წაკითხვასა და გამოკვლევას.

– როგორც ფილოლოგი, როგორ შეაფასებთ „ცისფერყანწელთა“ მოღვაწეობას და რა არის ისეთი რამ, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს ახლანდელმა თაობამ?

– ამაზე კოლაუ ნადირაძის სიტყვებით გიპასუხებთ: ქართულ ლიტერატურაში ჩვენამდე იყვნენ თერგდალეულები, მაგრამ პოეტური სკოლა, როგორც ასეთი, არ ყოფილა. ცისფერყანწელებმა შეექმენით ლიტერატურული სკოლა, ჩვენი გავლენა რომანტიზმსა და პარნასელებთანაა გადაჯაჭვული; დღევანდელ პოეზიას ვუანდერძეთ ის, რაც ახლა აქვს, ისტორიულად ჩვენი მისია შესრულებულია!

ამ ისტორული მისიის შესწავლაა აუცილებელი.

– რამდენად რეალურია, რომ დღევანდელ პირობებში, როცა ნამდვილ ლიტერატურას, საერთოდ, მწერლობას არ სწყალობენ, ფონდი წარმატებით განახორციელებს მიზნებს?

– ესეც, როგორც ბევრი წამოწყება (თუნდაც თქვენი ჟურნალის „ანეულის“ არსებობა), რეალურად, ხომ მხოლოდ ენთუზიაზმზეა დამყარებული. სურვილი კი მაქვს, მაგრამ გამოჩნდებიან კი მეცენატები? და თუ არა, მაინც, ჩვენი მწირი შესაძლებლობებით გავაგრძელებთ იმ საქმის კეთებას, რაც ასე საშური გვგონია და არის კიდეც...

და კიდევ, მინდა ერთი რამ გითხრათ: ფონდის მესვეურებს გვსურს, დავაარსოთ ცისფერყანწელთა სახელობის პრემია, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა, დამწყები პოეტების პოპულარობას, ამადენად, კონკურში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები 16 წლიდან 24 წლამდე;

ამის დიდი სურვილი კი გვაქვს, მაგრამ ვნახოთ, რამდენად განვახორციელებთ ამ იდეას?!

იმედს არ ვკარგავ, მგონია, ამ კეთილ წამოწყებას, აუცილებლად გამოუჩნდებიან ქომაგნი.

– თქვენ კარგად იცნობდით ცისფერყანწელთა უკანასკნელ მოჰიკანს კოლაუ ნადირაძეს. მასზე ბიოგრაფიული რომანიც დაწერეთ... როგორ დაიწერა ეს წიგნი?

– პირველად კოლაუ ნადირაძესთან 19 წლისა მივედი. ეს შეხვედრა შემთხვევით მოხდა – უნივერსიტეტში მწერალთა წრის მდივანი ვიყავი და ერთ-ერთ საღამოზე რეზო მიშველაძემ მითხრა, რა კარგი იქნებოდა კოლაუ ნადირაძესთან რომ წასულიყავი და ინტერვიუ ჩაგეწერაო; ახლა მისი კრებული გამოვიდა – „რაც ლექსად ვერ ვთქვი“ – და იქნებ ამ წიგნზე ესაუბროო. ამ რჩევისთვის დღემდე მადლიერი ვარ ბატონი რეზოსი, ის რომ არა, აბა, რას მივიდოდი კოლაუსთან? ეგ კი არა, ხეირიანად არც კი ვიცოდი, ვინ იყო კოლაუ ნადირაძე. მერე შინ როგორ მიმიღო, არ იკითხავთ? ტელეფონზე რომ ვუთხარი – ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი ვარ და თქვენთან ინტერვიუსთვის მოსვლა მინდა-მეთქი, ისეთი მკაცრი ხმით მკითხა, კომუნისტი ხომ არა ხარო, რომ კინაღამ ყურმილი დავკიდე და გავჩუმდი. ეტყობა, სიჩუმემ გააბრაზა და ისევ გამიმეორა მკაცრად – კომუნისტური პარტიის წევრი ხომ არა

ხარო? არა, ბატონო კოლაუ-მეთქი, ვუთხარი. აბა, მაშინ მოდიო!...

რომ მივედი, ერთხელ ისევ „გადაამოწმა“, კომუნისტი ხომ არ ვიყავი და რომ დარწმუნდა არ ვცრუობდი, მხოლოდ ამის შემდეგ მიმიღო... და იმ დღიდან მოყოლებული, ვიდრე მის გარდაცვალებამდე, მგონი, კვირა არ გავიდოდა, მასთან რომ არ მივსულიყავი.

იცით, ახლა ძალიან ვნანობ ყმაწვილური დაუდევრობით რომ მოვიქეცი და ბევრი რამ უფრო დაწვრილებით არ ჩავიწერე მისი ნაამბობიდან. ვთქვათ, პაოლო იაშვილის უკანასკნელი ღამე. იგი ხომ მართლაც ცოცხალი მემატიანე იყო...

სწორედ, კოლაუ ინახავდა გარდასული ეპოქის სულს, რომელმაც, ვფიქრობ, დღემდე მოიტანა საქართველო.

ახლა მომაგონდა, ეროვნული მოძრაობა ახალი ამოსული იყო იატაკქვეშეთიდან და უკვე დაწყებული იყო გამოსვლები, 1989 წელს პატარა, სამფეროვანი დროშა რომ ვაჩუქე, გაიხარა. შემდეგ მისმა მეუღლემ – ქალბატონმა ნორამ მომიყვა, 26 მაისს დემონსტრანტებმა რომ ჩაიარეს ჩვენს სახლთან, კოლაუმ ფანჯარა გამოაღო და შენი ნაჩუქარი დროშა ააფრიალაო!

აი, როგორი იყო კოლაუ... და ახლა თუ არ გამაჩერეთ, შემიძლია დაუსრულებლად ვისაუბრო მასზე; ამიტომაც თავი რომ არ შეგაწყინოთ, მოკლედ მოვჭრი: რაც შეეხება მის შემოქმედებას, კოლაუ ნადირაძის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ გადაეჯაჭვა ქართული სიმბოლისტური სკოლის არსებობას. პოეტმა შესძლო, საუკუნის დასაწყისისა

და დასასრულის ლიტერატურულ პროცესებს შორის უწყვეტი პოეტური ძაფი გაება და სიახლისადმი დაუსრულებელი ლტოლვა ცხოვრების ბოლომდე შეენარჩუნებინა.

ისე, მიზეზი მისი ჩრდილში ყოფნისა მისი ასკეტური ხასიათი გახლდათ. ის ისეთი უკომპრომისო იყო, რაღაცით, ხასიათის ბევრი თვისებით, შეიძლება ვაჟა-ფშაველასაც კი შევადაროთ.

ჩრდილში უყვარდა დგომა, არც ყანწელთა დროს გამოირჩეოდა რადიკალური გამოსვლებით, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ძლიერი მუშტი ჰქონდა და ყველა უფრთხოდა მასთან გაპაექრებას, ცდილობდნენ, საქმე დარტყმამდე არ მისულიყო.

მახსოვს, ერთხელ მითხრა – იმ დღეს ტროლეიბუსიდან დავინახე, ვიღაც კაცი ქალს ურტყამდაო და ტრანსპორტიდან ვერ ჩამოვხტი, თორემ იმ კაცს ვუჩვენებდი სეირსო (ამ დროს კოლაუ უკვე 90 წლის იყო). მაშინ სიტყვა შევუბრუნე და ვუთხარი – თქვენ რა იცით, იქნებ, ის ქალი-მეთქი, და არ დამამთავრებინა, გაბრაზდა, როგორ შეიძლება, რაც არ უნდა იყოს, კაცმა ქალზე აღმართოს ხელიო?! ასეთი იყო კოლაუ ნადირაძე და... წიგნი, რომელიც ახლა დაიწერა, ერთგვარი ექოა იმ დროისა, რომელიც აღარასდროს განმეორდება;

ისე, მოგეხსენებათ, წიგნის დაწერა ერთი საქმეა, მეორე და უფრო რთული კი, მისი გამოცემაა. რაკი შემთხვევა მეძლევა, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საქართველოს კულტურისა და ძეგლათა დაცვის სამინისტროს მესვეურთ და გამომცემლობა „არტანუჯის“ დირექტორს – მაია კუდავას. დარწმუნებული ვარ, მათი დაპირება რეალობად იქცევა.

– რის გაკეთებას აპირებთ უახლოეს მომავალში?

– მწერალთა სახლში უკვე ჩატარდა პოეტის 120 წლისადმი მიძღვნილი საღამო. რაც მთავარია, ქუთაისმა დიდი დახმარება აღუთქვა ჩვენს ფონდს. გაზაფხულზე ქუთაისში კოლაუ ნადირაძისადმი მიძღვნილი დიდი საღამოა დაგეგმილი, სწორედ ახლა ვათანხმებ დეტალებს ამასთან დაკავშირებით ქალბატონ ელისო ქაროსანიძესთან. ქალბატონი ელისო ქუთაისის მერიის კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე გახლავთ და ჩვენი ფონდისადმი მართლაც რომ გამორჩეული ყურადღება გამოიჩინა.

იმედი მაქვს, ქუთათურები გამორჩეულად შეხვდებიან უკანასკნელი ცისფერყანწელის იუბილეს...

ეს, რაც შეეხება ჩვენი ფონდის პირველ განაცხადს, სამომავლო გეგმებზე კი, ცოტათი მოგვიანებით მოგახსენებთ...

– დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

„დრო სულთქვამსავით გაფრენილი“...

მე ჰამლეტ გონაშვილთან მიმღერია

იმ წლებში რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად ვმუშაობდი. ჰამლეტის დედამ, ქალბატონმა ნადია კაცელაშვილმა შემოგვითვალა – კიდევ მაქვს დიმიტრის მიერ შეგროვილი ფოლკლორული მასალა და თუ რაიმეში გამოგადგებათ, წაიღეთო.

სიამოვნებით ვესტუმრეთ. გაუხარდა. სულ მარტო იყო. ბევრი საინტერესო მასალა ამოვარჩიეთ წასაღებად. ბევრი გვესაუბრა ჰამლეტზე. შაბათს ველოდებიო, – სიხარულით გვამცნო. მერე მარანში შეგვიპატიჟა, „ჩემი ჰამლეტის სიამაყეაო“. ნამდვილად მოვიხიბლე. განსაკუთრებით ძველებური საწნახელი მომეწონა, კედლის მთელ სიგრძეს გასდევდა. ვინ იცის, საუკუნეებს გაუძლოს, – გავიფიქრე მაშინ.

მარნის საოცარი სიგრილე დამამშვიდებლად მოქმედებს ჩვენზე და რაც მთავარია, მძიმე, მაგრამ ღვინით გაჟღენთილი, დამათრობელი სურნელი.

„ნეტა, როგორი ღვინის დაყენება იციან გონაშვილებმა?“ – გამიელვა უცებ თავში და ჩემივე ფიქრს გავუღიმე. მამაჩემი გამახსენდა. ტრადიცია ჰქონდა, ქვევრს რომ დახარჯავდა, იქვე ქვევრის პირზე სახელდახელო პატარა სუფრასაც გაგვაშლევინებდა. ამოიღებდა ღვინით გალიცლიცებულ ზემოდან ჯაჭვმოგდებულ სველ-სველ ჭიქას, დაგვლოცავდა – „ღმერთმა სიკეთეში მოგვახმაროს ამ დახარჯული ქვევრის ღვინოო“. მერე კი ყველას ჭაშნიკს გაგვასინჯებდა. მე რომელი ღვინის მსმელი ვიყავი, მაგრამ ამ დროს ძალიან მიყვარდა დალევა. ვსვამდი და ჩუმ ნატვრასაც თან ვაყოლებდი.

ქალბატონმა ნადიამ, თითქოს ჩემი ფიქრები ამოიცნოო, გვითხრა: „შვილებო! ჰამლეტის დაყენებული ღვინო უნდა გაგასინჯოთო.“ დავიგემოვნეთ. კარგი იყო. სანთლისფერი, სურნელოვანი. მერე ჰამლეტის მიერ სირიიდან ჩამოტანილი ლეღვის ძირი გვაჩვენა. ძლივს იგუაო ქართულმა მიწამ.

1981 წლის დეკემბერში ჩვენი მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დაარსებიდან 30-ე წელი უსრულდებოდა. გადავწყვიტეთ იუბილეზე რაიონის ცნობილი ადამიანებიც მოგვეწვია. თბილისში ჩამოსულმა ჰამლეტ გონაშვილთან დავრეკე, მითხრეს, კულტურის სამინისტროშიაო. რა ყოფით გავვარდი! მეშინოდა,



სადმე არ გაესწრო. 10 წუთში იქ ვიყავი. მითხრეს – მინისტრთან არის შესულიო. დავჯექი მისაღებში. ველოდები, მთელი ორი საათი გავიდა – როგორც იქნა, აგერ ისიც.

– პატივცემულო ჰამლეტ! სტუმარია სიღნაღიდან, თქვენი ნახვა სურს – შეაგება კაბინეტიდან ახლად გამოსულს მდივანმა ქალმა. სიღნაღის ხსენებაზე სულ სხვანაირად გაეხსნა შუბლი, ცის გახსნასავით.

– ვინ არის? – იკითხა ცნობისმოყვარეობამორეულმა. უცებ გავუშინაურდით ერთმანეთს. მე უნდა გაგაცილოო, – შემპირდა.

მივუყვებოდით მზით გაჩახჩახებულ რუსთაველის გამზირს. გვერდით ლამაზი, წარმოსადეგი მამაკაცი მახლდა. ჰამლეტს ამაყად მოეღერებინა კისერი, ლაღად გაეშალა თავადური მხრები და ასე, თავისი უხვსიტყვაობით მხიბლავდა. შეუდარებელი მჭევრმეტყველი აღმოჩნდა. ხალხი თბილი ღიმილით მიაცილებდა საყვარელ მომღერალს. ბევრი ნაცნობ-მეგობარი შემოხვდა. რა სიამაყით წარმადგენდა: „ქიზიყის მომხიბვლელი ასული“, – მე სიხარულნარევი სიცილით ავკისკისდი.

– ვუხდებით არა, რუსთაველს „უბატონო კუთხის შვილები“? – რაღაც არტისტული სინატიფით გადმოიხარა ჩემკენ და გადმომჩურჩულა. თან ლამაზად შემომღიმილა. შემპირდა,რომ აუცილებლად ჩამოვიდოდა იუბილეზე.

დადგა ნანატრი დღე – 29 დეკემბერი.

ჰამლეტი მოგვიანებით მოვიდა. სხდომა ის-ის იყო მთავრდებოდა. მისასალმებელი სიტყვა მაინც მისცეს. ილაპარაკა და რა ილაპარაკა. ვერც იმაში შეედავებოდით – არა, მე შენზე მეტად მიყვარს ჩემი კუთხეო. შეეხო ქიზიყის წარსულს, დღევანდელობას. ისაუბრა ხელოვნებაზე, ხელოვანის ვალზე სამშობლოსა და მშობლიური კუთხის წინაშე.

სესიის შემდეგ გაიმართა დიდი ბანკეტი. სწორედ იქ ვიმღერე მასთან. აბა, ის სუფრა რა სუფრა იქნებოდა, ჰამლეტ გონაშვილი იქ ყოფილიყო და არ ემღერა. შუა ქეიფის დროს სთხოვეს სიმღერა. თავი შეიკავა, აბა, მარტო როგორ ვიმღეროო.

– ბატონო ჰამლეტ, ჩვენც გვყავს მომღერლებიო და ჩემზე მიანიშნეს.

თავისთან მიმიხმო.

– მართლა მღერიხარ? – მკითხა გაბრწყინებული თვალებით.

– არა, ტყუილად ვმღერივარ, – ვუპასუხე.

– უყურე შენ, რა ბუტია ვინმე ყოფილა.

მე მართლა გაბუტული ვდგავარ.

– კარგი, ახლა, მოდი მე და შენ კახური მრავალჟამიერი ვიმღეროთ – შემომთავაზა.

მე გული გადამიქანდა, – რომ არ ვიცი?

– ძალიან რთული სიმღერაა, – ვუპასუხე აწრიალებულმა.

– კარგი, შენ რომელი სიმღერაც გინდა, ის ვიმღეროთ?

შევცბუნდი, აღარ ვიცი, რა ვქნა, ჯერ მისი ხელოვნების სიმაღლე მაშინებს, ახლა კიდევ არჩევანს მე მთავაზობს.

გაპრანჭვის დრო კი აღარ იყო. ვახტანგ კერესელიძის სიმღერა, „შენ ჩემი გაზაფხული“, შეიძლება? – ვკითხე მორიდებით.

– ძალიან კარგი, დაიწყე.

ვიუარე, თქვენ დაიწყეთ-მეთქი.

დაიწყო. დაიწყო და თითქოს ყელში ჩადგმული ჯადოსნური სალამურის საცობი მოიხსნა. ამღერდა. გავბედე, მეც ავმღერდი. რა ძლიერი ხმა ჰქონდა. ტკბილი, სულში ჩამწვდომი. მაინტერესებს, ნეტა როგორი სიმღერა გამოვიდა?

ტაშმა იქუხა. შუბლზე მეამბორა და შემაქო. მეტი ჯილდო რა მინდოდა. შემპირდა, კახურ „მრავალჟამიერს“ აუცილებლად გასწავლი, შენს ძლიერ ხმას მოუხდებაო. მერე?

მერე კი – ის საშინელი, სულის შემძვრელი ტრაგედია. მამაპაპის ჩაგდებულ ძალაყინზე წამოგებული, გულმკერდშენგრეული ჰამლეტ გონაშვილი.

რა საშინელი ბედისწერა ჰქონდა ამ დიდებულ ვაჟკაცს. ნეტა, სიკვდილის მოლოდინშიც მღეროდა? დარწმუნებული ვარ – მღეროდა.

მაყვალა ღვედაშვილი

ჩვენი პატარებისთვის

ლუსია ჟანტუხია

აპრილი

გაშიშვლებულ ხეებს ვხატავ
და სითბოს ვგრძნობ გულში,
ყვავილებით დავამშვენე
ატამი და ნუში...

აქლემი

მუდამ შორეთს გასცქერი,
თითქოს იყო მზვერავი.
ვრცელ უდაბნოს უშენოდ
ვერ გაივლის ვერავინ.

ძლიერი ხარ, ამტანი,
არ გეღლება კუნთები,
მაგრამ ერთი ნაკლი გაქვს,
ხშირად რომ იფურთხები.

მაინც შენზე, იცოდე,
ცუდის მთქმელი არა ვარ.
ტვირთით დამძიმებული
მივუყვები ქარავანს.

იქნებ ვინმეს არ მოსწონს
კუზიანი აქლემი,
მაგრამ ერთგულებისთვის
ბევრჯერ არის ნაქები.

ბაჭია

ჩირგვებს შუა ჩამალულა
პაწაწინა ბაჭია,
ხმაური რომ შემოესმა
სოროსაკენ გასწია.

ბავშვის თვალები

ბავშვის თვალები სუფთაა,
ფაქიზი, მუდამ ნათელი,
როგორც ტაძარში ლოცვის ჟამს
გაბრწყინებული სანთელი.

დაე, ციური სიწმინდე
არ შეილახოს არაოდეს,
მათი მართალი ცხოვრებით
ქვეყანა მუდამ ხარობდეს.

ბებო

ბებო, ბებო, ბებია
შვილიშვილზე ფიქრებში
ღამე გითენებია,
ზღაპრებს რომ მიკითხავდი,
ტკბილად ჩამძინებია.
ბებო მუდამ მახარებს
შენი თბილი ალერსი,
მოუთმენლად მოგელი
მე, პატარა ალექსი.

გაზაფხული

გაზაფხული კარს გვიღებს
ნაირ-ნაირ ფერებით,
ყველა ყვავილს ეზოში
ნაზად მოვეფერებით.

ფოთოლი

ფოთოლი ვარ, ნიავ-ქარში
საამურად მოშრიალე,
ახლოვდება შემოდგომა
და მოვწყდები ტოტებს მალე.

მაგრამ ეგ ნუ შეგაშინებთ,
დრო თუ უკან არ ბრუნდება,
ამ ჩემს ტოტზე, ჩემ მაგივრად,
სხვა ფოთოლი დასკუპდება.

ნუშის ხე

ბაღში ჰყვავის ნუშის ხე,
ზოგჯერ ქარი უშლის ხელს.
წყლულს მოურჩენს მებაღე,
როცა თითებს შეახებს.

ჟირაფი

გრძელკისერა ჟირაფს ვხატავ,
ნოკო ეჭვისთვალით მიცქერს,
მეუბნება; ამწეს რომ ჰგავს,
ველარ დაუმოკლებ კისერს?

ნამდვილს უნდა მივამსგავსო,
ვერ გაიგე ჩემო ნოკო?
სახედარი გამომივა
კისერი რომ დავუმოკლო.

ჭიამაია

წვიმის წვეთი აღვიძებს,
ციცქნა ჭიამაიებს.
გული ლხენით ევსებათ,
როცა კარგი დარია.
წვიმის სიმღერა
წვიმის ხმაური,
წვიმის მუსიკა,
პოეზია და ლექსი
უსიტყვოდ.
სულში ჩამწვდომი
ახლავს სინაზე
ზღვიდან ამოსულ
ქარის ბორიალს,
ლეგა ღრუბლები
სარკმლის მინაზე
წვიმის თითებით
უკრავს როიალს,
ქარი ალუბლის
ტოტებს რომ არხევს,
თითქოს ანსამბლის
დირიჟორია.

გაზაფხულის მონატრება

მზე ღრუბლიდან იმზირება,
მთები ნისლში იძირება.

მარტი თვეთა რიგში დგება,
ხის ტოტებზე კვირტი სკდება.

მოფერება მომინდება,
მერცხალი რომ მოფრინდება.

არა, ზამთარს არ ვუჩივი,
თუმცა იყო ძალზე ცივი.

მახსოვს, როცა ციდან თოვდა,
მასაც თავის ხიბლი ჰქონდა.

აწ არ ველი ფიფქებს ციდან,
წუხელ წვიმა ჩუმად ცრიდა...

გაშიშვლებულ ხეთა მხატვრად,
გაზაფხული მომენატრა.

ციგა

ციგა რომ გავაკეთეთ,
ახმაურდნენ ბავშვები,
მთელი დღე ვერთობოდით
ფერდობებზე დაშვებით.

მურა ყეფით მოგვდევდა,
ვერ დამალა სიბრაზე,
თითქოს გვეუბნებოდა,
მეც დამსვითო ციგაზე.

წიწილა

კრუხს ჩამორჩა წიწილა,
იწივლა და იწივლა,
დედის რისხვა წიწილამ
თურმე ვერ აიცილა.

დიმიტრი მუხაშვილი

„ოქროს ვერძი“, ბაბურინი და გმირი ქალბატონი მარიუპოლიდან

ბიჭვინთა... მსოფლიოში ცნობილი კურორტი:

1990 წლის დეკემბრის სუსხიანი საღამო.

„ოქროს ვერძის“ მეთხუთმეტე სართულზე, ელიტარულ ბარში, როგორც ყოველთვის, ხალხმრავლობა იყო.

მუსიკა გრიალებდა. დარბაზში,მიბნედილ რიბორაბო შუქზე ოფიციანტები უხმოდ დასრიალებდნენ. რაც იშვიათობა იყო ბარისათვის.

ერთ სუფრასთან სამნი ისხდნენ. უკრაინელი ქალბატონი მეგობარ ქალებთან დაბადების დღეს იხდიდა.

ქალბატონები მოზიმზიმე ხალხს ყურადღებას არ აქცევნდნენ და ხმადაბლა მუსაიფობდნენ.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე,განსაკუთრებით ომის წინა პერიოდში აფხაზთა „ელიტარული საზოგადოება“ სწორედ „ზოლოტოე რუნოში“ იყრიდა თავს, სადაც რუსეთიდან ჩამობრძანებულ ემისრებს და მაღალ სახელმწიფო ჩინოვნიკებს მასპინძლობდნენ...

ასეთ შეხვედრებს, ჯერ კიდევ, 1978 წლის ცნობილი მოვლენების დროს ჩაეყარა საფუძველი, რის შემდეგ აფხაზებმა გამორჩეული პრივილეგირებული მდგომარეობა დაიმკვიდრეს, ხოლო აფხაზეთში მცხოვრები ქართველობა, რესპუბლიკის ხელისუფალთა დანაშაულებრივი წაყრუების წყალობით, ლამის მეორეხარისხოვან მოსახლეობად აღიქმებოდა...

ამიტომ, რა გასაკვირია, იმ დღეს ბარში ქართველები თითქმის არ იყვნენ.

ვინ იფიქრებდა,რომ იმ საღამოს ქართველთათვის გამოტანილი სისხლიანი განაჩენის ერთი ეპიზოდი იწერებოდა...

დარბაზის კუთხეში, მაგიდასთან რამდენიმე აფხაზი იჯდა. ისინი მეგობარ ქალბატონთა სუფრას თვალს არ აცილებდნენ.

მუსიკა გრიალებდა. ექსტაზში შესული მოცეკვავეები შეშლილებივით როკავდნენ. ვირტუოზი ბარმენის ალიაბრიკის გვერდით ბიჭვინთის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე გრივაფში გაბადრული იდგა და დარბაზს დახლიდან „დირიჟორობდა“...

როგორც იქნა,მუსიკა შეწყდა. ასამდე მოცეკვავე ერთაბაშად შედგა. დარბაზში მოცეკვავეთა სტვენა-შეძახილები და მუსიკით აღფრთოვანებულთა აპლოდისმენტები გაისმა. აქოშინებული,ვნებააშლილი წყვილები დიდი ხნის წინ მიტოვებულ სუფრებს მიუბრუნდნენ..

„სათვალთვალო“ მაგიდასთან მჯდომი შუა ხნის ბრგე აფხაზი ქალების სუფრას ჯიქურ მიუახლოვდა და შინაურულად მიესალმა. თავშეყრის მიზეზიც მოიკითხა, რომ გაიგო, უმალ შამპანური შეუკვეთა და იუბილარს დაბადების დღე მაღალფარდოვნად მიულოცა.

– იმ შენს მეზობელ ჟურნალისტს გადაეცი, ჭკუით იყოს, წინ ნუ გვეღობება, თორემ... თუ არ დაიშლის, მერე საკუთარ თავს დააბრალოს, რაც მოუვა... ვასწავლით ჭკუას, – ავად გამოსცრა, – აბა, კარგად იყავით და სასმისი გამოსცალა.

მამაკაცის ამაღლებული სადღეგრძელოს შემდეგ ასეთმა ფინალმა ქალბატონებს გუნება მოუშხამა.

– რა მოხდა, რით დაიმსახურა თქვენი რისხვა? – ჰკითხა იუბილარმა.

– ეს ჩვენ ვიცით, რა დააშავა. შენ ის გადაეცი, რაც გითხარი. თავად მიხვდება, რაც უნდა ქნას.

განრისხებული მამაკაცი ქალების სუფრას გაეცალა.

დარბაზში მხიარულება გრძელდებოდა. წყვილები თავდავიწყებით როკავდნენ.

უცებ ჩოჩქოლი ატყდა, მუსიკა შეწყდა.

ხალხის ჯგრო რაღაც უხილავმა ძალამ შუაზე გააპო. „ცოცხალი დერეფნის“ შუაში რამდენიმე ახალგაზრდა მოდიოდა. ახალგაზრდების ჯგუფს მონღოლოიდური სახის წვრილთვალება,თხელწვერა, ძვირფას კოსტიუმში გამოკვანწული ახალგაზრდა მოუძღოდა.

– ღმერთო ჩემო,ამას აქ რა უნდა! – წამოიკივლა ერთმა ქალბატონმა. ეს ხომ ბაბურინია. აფხაზების მთავარი დასაყრდენი მოსკოვში!

ახალგაზრდებმა ენერგიულად გაიარეს დარბაზი და გასასვლელში გაუჩინარდნენ...

* * *

ეს იყო 1992 წლის 4 სექტემბერს.

წინადღეს, 3 სექტემბერს მოსკოვში, სამმხრივი მოლაპარაკებების დროს რუსეთმა ნიღაბი საბოლოოდ ჩამოიხსნა. მისი ჭეშმარიტი სახე გამოჩნდა – იგი აფხაზ სეპარატისტთა მხარეზე დადგა. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ქართველ პატრიოტთა დევნა-დაპატიმრებები აფხაზეთის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც აფხაზთა მხარე აკონტროლებდა. ასეთ ტერიტორიად ითვლებოდა მთლიანად ბიჭვინთის კონცხი, სადაც ათი ათასამდე ქართველი საშიშროების ზონაში იყო!

მოსკოვში ე.წ. მოლაპარაკების სატელევიზიო გადაცემისა და მთელი თვის განმავლობაში კონსპირაციულ სამალავში ყოფნის შემდეგ, სამშვიდობოს გასვლის წინ სახლში დავბრუნდი. დამალვას აზრის არ ჰქონდა, რადგან, აფსუებმა რუსეთის აშკარა მხარდაჭერა იგრძნეს და თავს გავიდნენ. თან ჩემი სამალავიც გაშიფრული აღმოჩნდა.

სახლში უკრაინელი ქალბატონი შემეგება. ცოცხლად გადარჩენა გულით მომილოცა.

– შენთან ჯერ არ ყოფილან, ალბათ, შენთვის ჯერ ვერ მოიცალეს. მე კი ქურდებმა კარი გამიტეხეს და მაგნიტოფონი მომპარეს, ეს არის და ეს.

– საუზმემდე კარში დამატებით საკეტს ჩავსვამ, რომ ქურდებმა აღარ შეგაწუხონ-მეთქი და საქმეს შევუდექი.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ქალმა ქუჩაში ორი შეიარაღებული ახალგაზრდა დალანდა.

– ავტომატებიანი გვესტუმრნენ, შენს კვალს ხომ არავინ მოჰყვა? – ხმამაღლა მკითხა შეშფოთებულმა ქალმა.

კბილებამდე შეიარაღებულმა „ბოევიკებმა“ ჭიშკარი გააღეს და ეზოში შემოვიდნენ.

– ხაზეიკა! ხაზეიკა! – გაისმა ძახილი.

მე უკანა სარკმლიდან დავაპირე გადასვლა, მაგრამ უმალ მომაგონდა, ერთი თვის წინ სახურავი რომ გამოვცვალე, სახლის ლაფაროში, ბარდებში შიფერის ნატეხები ეყარა. მათზე ფეხის დადგმა უეჭველად „გამცემდა“.

– დაე მოხდეს, რაც მოსახდენია, – გავიფიქრე; ბედს შერიგებული ჩემს ოთახში შევედი და განგებას მივენდე.

ქალმა კარი საკეტით გარედან ჩარაზა და ეზოში გავიდა.

– გამოსვლას რატომ აგვიანებ? რახანია ეზოში ვართ, შენ კი არ ჩანხარ, – უსაყვედურა „ბოევიკმა“.

– რა ვქნა, საოჯახო საქმეებით ვარ დატვირთული, სახლში ქალის საქმეს რა გამოლევს?

– მამაკაცი თუ გყავს სახლში?

– ეჰ, რა ხანია კაციც დამავიწყდა და... ქალმა მორცხვად დახარა თავი.

– კარი რატომღა ჩაკეტე? – ქალს თვალებში ჩააშტერდა აფსუა.

– ააა! კეკლუცად გაიღიმა ქალმა. იმის ნაცვლად, რომ ჩემი მაგნიტოფონის ქურდს ეძებდეთ, მე მამოწმებთ? ქურდებმა კარი გამიტეხეს, საკეტი გამოვცვალე, სწორედ თქვენი მოსვლის წინ დავაყენე ახალი საკეტი.

– ის სად არის?

– ვინ ის? – თითქოს შეკითხვა ვერ გაიგო ქალმა.

– აი ის, ვინც აქ ცხოვრობს.

– ოოო! ახლა კი მივხვდი, რატომ მოხვედით. თავიდანვე გეთქვათ, თქვენ ვისაც ეძებთ, ის რახანია თბილისშია. მისი არსებობაც გადამავიწყდა, არც კი მახსოვს, როგორ გამოიყურება.

ქალის დამაჯერებელმა პასუხმა „ბოევიკები“ შეაფიქრიანა, მაგრამ წასვლას არ ჩქარობდნენ, შტაბში ხელცარიელებს არ უნდოდათ დაბრუნება.

დრო უსაშველოდ გაიწელა.

ქალმა იგრძნო, რომ დაყოვნება ორივეს ხიფათს უქადდა და თავად გადავიდა „შეტევაზე“.

– ბიჭებო, ხომ ვერ მეტყვით, როდის შეწყდება თქვენი სროლები?

ეს ისე მიამიტურად იკითხა ქალმა, რომ „ბოევიკებს“ მის გულწრფელობაში ეჭვიც არ შეპარვიათ.

– სროლები როდის დამთავრდება, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ იმ შენს ჟურნალისტს სადაც ვნახავთ, იქვე გავაგორებთ.

– რატომ? განა რა დააშავა, რომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეთ?

– ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის.

– რაო? თქვენს წინააღმდეგ ავტომატით ხელში იბრძვის?

– ეგ ჩვენ ვიცით, რით გვებრძვის.

„ბოევიკები“ წავიდნენ.

გაფითრებული ქალი ოთახში რომ შემობრუნდა, მხოლოდ შემდეგ გააცნობიერა, თუ რა მოხდა ორიოდე წუთის წინ... ორი ადამიანის სიცოცხლე ყოველ წამს ბეწვზე ეკიდა... მაგრამ ქალის გამბედაობამ და მოხერხებულობამ ორივე აშკარა სიკვდილისგან გვიხსნა...

სწორედ უკრაინელი ქალბატონის ლიდია საენკო-კოჩეგურას ძალისხმევით და პირადი შუამდგომლობით რუსმა მეზღვაურებმა საშვიდობოს გამიყვანეს. ჯერ გემით სოჭში ჩავედი, შემდეგ კი გაგრაში დავბრუნდი.

ეს იყო ქალაქის დაცემამდე ოცი დღით ადრე.

P.S. 1992 წლის 22 სექტემბერს, როცა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გაგრის რწმუნებულის, ბატონ ჯონი ლატარიას დავალებით, ქალაქის მოახლოებული საფრთხის შესატყობინებლად თბილისში გავემგზავრე, ხოლო უკრაინელი ქალბატონი ახლობლის დაკრძალვაზე ქ. მარიუპოლში იმყოფებოდა ჩვენი „ფინური“ სახლი შიგთავსით სეპარატისტებმა ცეცხლს მისცეს.

დაკრძალვიდან სახლში დაბრუნებულს სახლის ნაცვლად ნახშირის გროვა და აქა-იქ ნახევრად დამწვარი ნივთებიღა დახვდა, რომლებიც გულსაკლავად აფრქვევდნენ კვამლის მხრჩოლავ „ცრემლებს“...

სახლის დაწვა კი იმას ნიშნავდა, რომ იქ დარჩენა კი არა, დაყოვნებაც არ შეიძლებოდა. შეშინებული ქალი იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა და დედასთან გაემგზავრა...

ამ სათავგადასავლო ამბის მთხრობელი, თქვენი მონა-მორჩილი დიმიტრი მუხაშვილი 25 წლის მანძილზე ვცხოვრობდი და ჟურნალისტურ მოღვაწეობას ვეწეოდი აფხაზეთში.

ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პერიოდში,1990 წლის 24 ივნისის გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე, რომლის საკუთარი კორესპონდენტი გახლდით აფხაზეთში, გამოქვეყნდა ჩემი წერილი „კომისიის მუშაობა ჩაიშალა“. მასში აღბეჭდილი იყო აფხაზური სეპარატიზმის მამხილებელი მასალები, რაც იმ დროს მეხის გავარდნას ნიშნავდა მოწმენდილ ცაზე, რადგან ეს თემა ტაბუირებული იყო ხელისუფლებისაგან. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემი დევნა აფხაზი სეპარატისტებისაგან, რომლის ფინალური ეპიზოდი იმ უკრაინელი ქალბატონის თანდასწრებით წარიმართა,რომელიც წინამდებარე წერილის მთავარ გმირადაა წარმოდგენილი და მისმა გმირულმა თავდადებამ აშკარა სიკვდილისაგან მიხსნა.

P.S. 2008 წლის 8 აგვისტოს მოსკოვში ყოფნისას გავიგე, რომ ჩემმა ოჯახმა პატარა ბავშვების თანხლებით რუსული ჯარის ქვედანაყოფების შესვლის გამო მიატოვეს მამაპაპისეული სახლი ახალგორში და დაბრუნდნენ თბილისში. იმ დღიდან

რუსეთის ჩექმა უკრაინაში

მხატვარი ვასილ ბოსტაშვილი

ჩვენ უფლება არ გვაქვს შევიდეთ მშობლიურ სახლში,რომელიც უკვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება.

ამჟამად ორგზის დევნილს (აფხაზეთი, ახალგორი) თითქმის არ მაქვს საცხოვრისი. მაგრამ დღეს თუ ცოცხალი ვარ, მარიუპოლელი გმირის, ქალბატონი ლიდიას აშკარა დამსახურებაა. უმორჩილესად ვთხოვ მარიუპოლის საინფორმაციო საშუალებებს, შეძლებისდაგვარად, მიაკვლიონ ორ დაუცველ ქალბატონს და მათი სიცოცხლის გადასარჩენად მსურს მოვიწვიო ისინი თბილისში, ჩემი მეგობრის ბინაში საცხოვრებლად.

მისამართი: г. Мариуполь Донецкой области переулок Строительный д. № 20

Кочегура Лидия Николаевна. Саенко Надежда Илларионовна

სამსონ ფიცხელავა

რას მოგვიტანენ ბოლშევიკები

რუსეთის და ოსმალეთის კავშირი ბევრის მეტყველია, ძლიერ ბევრის. ერთის მხრით ეს არაჩვეულებრივი და თან არაბუნებრივი შეუღლებაა. დღევანდელი რუსეთი, ბოლშევიკების რუსეთი ქვეყნიერებას გამოუცხადდა უდიდესი თავისუფლების სახით, სოციალიზმის დროშით, რომელიც, რასაკვირველია, გულისხმობს ერების სრულ თვითგამორკვევას, მათ აღორძინებას და აღდგენას. ვინ უნდა მოუტანოს დამონებულ ერებს განთავისუფლება, თუ არა სოციალიზმის მქადაგებელმა!

ამავე დროს, ოსმალეთს ყველა ისე იცნობს, როგორც ერების თავისუფლების ჯალათს და მთელი ისტორია ოსმალეთისა დღევანდლამდე იყო და არის მხოლოდ სხვისი დაჩაგვრა, განადგურება, მოსპობა. მართალია, არც ის მოკავშირენი არიან ერთა თავისუფლების დიდი მოტრფიალენი, რომლებიც დღეს ოსმალეთის სახელმწიფოს დაშლას სცდილობენ, მაგრამ ყოველის შემთხვევაში ვერავინ შეადარებს ერთმანეთს ინგლის-საფრანგეთის და ოსმალეთის დამოკიდებულებას გარეშე ერებთან. ოსმალეთი მუდამ სამარე იყო სხვა ეროვნებისათვის და არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ აწინდელი ოსმალეთის დაცვით მის ფარგლებში მოქცეულ ერების მდგომარეობა ოდნავადაც არის გაუმჯობესდება? პირიქით, ოსმალეთის დაშლა-დანაწილება აუცილებელი პირობაა არა ერთისა და ორი ერის განთავისუფლებისა და გაბედნიერების.

ბოლშევიკურ-კომუნისტური, წითელი რუსეთი უერთდება დღეს მტარვალობის და უდიდესი დესპოტის სახელმწიფოს — იმიტომ ხომ არა, რომ ოსმალეთიც წითელია. წითელი მილიონ უდანაშაულო ბავშვის და სისხლში განბანილი? რუსეთის ბოლშევიკები თავს იმით იმართლებენ, რომ გვინდა ამით ლახვარი ჩავსცეთ მსოფლიო იმპერიალიზმს და საერთო რევოლუციის ცეცხლი გავაჩაღოთო. მაგრამ მართლა თუ ესეთი მისწრაფება ასულდგმულებს მათ გამოლაშქრებას, უფრო მოხერხებული არ იქნებოდა თავის ახლობელ მეზობლებს დახმარებოდნენ, აი თუნდ გერმანიას, და მასთან ეწარმოებინათ ჭეშმარიტად რევოლუციონური მოძრაობა და ბრძოლა?

არა, ნამდვილი მიზეზი სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. რუსეთის ბოლშევიკების მოძრაობაში მეტად დიდი ადგილი უკავია წმინდა რუსულ ნაციონალისტურ გარემოებას. თავიდანვე დაეტყოთ ბოლშევიკებს, რომ თავგამოდებით ცდილობდნენ ძველი რუსეთის სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენას და თუმცა სიტყვით გამოაცხადეს ეროვნული პიროვნების ხელშეუხებლობა, მაგრამ საქმით ყველგან გადაუთელეს ეროვნება. გავიხსენოთ მათი პოლიტიკა ფინლანდიის, ბალტიის სახელმწიფოების, უკარაინის, პოლონეთის და სხვების მიმართ. გავიხსენოთ მათი უკანასკნელი მოქმედება დაღესტანში და საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც დენიკინელებივით გასრისეს მთიელთა დამოუკიდებლობა. ტყვილად კი არ ამბობენ, რომ თვითმპყრობელობის მრავალი მსახური თავგანწირულად მუშაობს ლენინის ჯარში იმიტომ, რომ ბოლშევიკები რუსეთის გაერთიანებისათვის იბრძვიანო. ახლაც რომ ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ რუსის ბოლშევიკები და სისხლიან ოსმალეთს უკავშირდებიან — იგივე მიზანია მათი ხელმძღვანელი — ყველა განთავისუფლებული ერის დამორჩილება და ძველი რუსეთის საზღვრების აღდგენა. ამავე დროს ბოლშევიკებს ამოძრავებს ძველი ქიშპობა რუსეთისა და ინგლისის: წითელი რუსეთი განაგრძობს რუსის იმპერატორების ბრძოლას ინგლისის წინააღმდეგ აზიაში გაბატონებისათვის. სახე შეიცვალა, მაგრამ გული იგივეა. სოციალისტურ ქერქში გამოწყობილი იმპერიალიზმი ებრძვის ბურჟუაზიულ იმპერიალიზმს: ერთსაც და მეორესაც უნდა პატარა ერების დამორჩილება და მოსპობა, ორივე საშიშია, მაგრამ უფრო საშიშია ის, რომელიც სოციალისტურად მოკაზმულია, ვინაიდან მისი სიტყვა უფრო შემპარავია და მაცდური.

მართალია, როდესაც რუსეთის სოციალისტს — იმპერიალისტები შეუთანხმდნენ ოსმალეთის იმპერიალისტურ ფაშებს, ამით საკმაოდ ნათელჰყვეს თავისი არსებობა და ადამიანი მთლად ბრმა უნდა იყოს, რომ არ დაინახოს სავსებით ბოლშევიკების ნამდვილი განზრახვები. მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილე გვჭირია, რომ კიდევ არავინ ჩაგვითრიოს მოქარგულის სიტყვებით. არ განვიმეოროთ მეორე ტრაპიზონი, როცა ოსმალეთი მორიგებასა და ზავზე გველაპარაკებოდა და იმავე დროს ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლად ჯარებს აგზავნიდა.

ბოლშევიკები როგორადაც უნდა მოვიდნენ, ჩვენი თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოსასპობად მოვლენ და ყოვლად უწინარეს მათი მოსვლა, მათი მოახლოებაც კი მოგვიტანს ბათუმის ოლქის, ახალციხე-ჯავახეთის დაკარგვას. ისინი ხომ უკვე ქადაგებენ ბათუმის ოლქში საქართველოს დაფლეთას და ცდილობენ აჭარლებისაგან ცალკე ერების შექმნას. თავის რუსეთს აერთიანებენ, საქართველოს კი ანაწილებენ! საჭიროა ყველაფერ ამას ფხიზლად ჩაუკვირდეთ, ფართოდ შევაგნებინოთ ხალხს მდგომარეობის მთელი ვითარება და მტერს — ყოველგვარი სახის მტერს მტრულად დავხვდეთ.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 6 მაისი, №818.

მოამზადა ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილმა

ერთი ლექსი

იოსებ ხოხონიშვილი

ცად ავალ

სიყვარულის მიტროპოლიტს
თადეოზ იორამაშვილს

თვალწინ მიდგა სიყმაწვილის სცენები,
მომავალმა აწმყო დაისადავა,
წლები რბიან, ვით სადოღე ცხენები,
სადაცაა სული ისევ ცად ავა...
მაგონდება მეცხრე ჟამი მძაფრი და
ბრძოლის ჟინი ჩემი სუნთქვის ნაწილი,
ფიქრი სადღაც ზესკნელისკენ აფრინდა,
როგორც მგლებზე მონადირე არწივი.
მოვილოცე ბეთლემი და ვარძია,
მეკიდება ყელზე ცრემლის ცვარმძივი,
სამსხვერპლოსთან უბრად ვდგავარ ვერძივით,
უკვდავების წყაროს მასმევს ბარძიმი.
ეს საწუთრო კვლავ უკუღმა ტრიალებს,
არღარა მსურს ამაოსთვის ჯახირი.
ვეტრფი მთვარეს ღამით მოხეტიალეს,
როგორც ტატნობს რუხ ღრუბლების ნახირი.
ყმუის თოფი, ისმის ავი ძახილი,
მიწას აძევს ფერი წითელ ძახველის,
სახიერი ნათლის გვირგვინს დამიწნავს,
თუ დავტოვე ქვეყნად კაცის სახელი.
ცაცხვმა, რცხილამ იწყეს ფოთოლთცვენები,
თხილმა ფრთხილად ხელი გაასავსავა,
კართან დგანან უხილავი მცველები,
ასავალი დაეწია დასავალს.
წლები რბიან, როგორც დოღის ცხენები,
გარიჟრაჟმა ღამე დაისადავა,
არად მიღირს აქაური სცენები,
ცით მოვედი და ისევე ცად ავალ...

რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი



2014 წლის 19 დეკემბერს საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის „ერთი მოთხრობა“ გამარჯვებულების დაჯილდოება.

პირველი პრემია ბექა ჭურხულმა მოთხრობით – „წინა დღეს“ მოიპოვა, მეორე პრემია ნინო ქადაგიძემ – „ხმით ნატირალი“, მესამე პრემია – ნათია როსტიაშვილმა – „თბილისი-პერეთი“.

კონკურსის სპეციალური პრიზები გადაეცათ: ალექსანდრე პაიკიძეს მოთხრობისთვის „სახლი“, ლელა თოთაძეს – „ორი თოლია“, ნინო ჭინჭარაულს – „აქ იყო მუსიკა“. მათ მხატვრების – ვახილ ბოსტაშვილის, ალექსანდრე ციხელაშვილის, ნატო ხირბილაძის ნამუშევრები გადაეცათ.

პროექტის ავტორია ჟურნალ „ანეულის“ მთავარი რედაქტორი თამარ შაიშმელაშვილი. კონკურსი 2009 წელს დაარსდა.

წელს გაიმართა საიუბილეო კრებულის – „რევაზ ინანიშვილის ლიტერატურული კონკურსი: „ერთი მოთხრობა“ წარდგინებაც, რომელშიც 5 წლის მანძილზე გამარჯვებული ავტორების მოთხრობები დაიბეჭდა.

წლევანდელი და შარშანდელი კონკურსი და კრებულის გამოცემა მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა უზრუნველყო.

ლევან ფირფიტაძის ახალი ფოტოსერია

თამარ ფიცალი – ფოტოგრაფები

ფანტაზია ნიკოლოზის ზეიმგაკვეთილთან –
სათენა პაპუშეარი

წარმოი გარაბეთლს –
ნაზი კილასონია

ფუსრან მაჟავალიანის გაცხენება

ლეონი ჟვანია –
თეატრის პანფაკესთან ინტერვიუ

ნიკოლოზ გარაბაშვილის
ლექსთანარული თასი და
გარიგა სოლოლაკეთი – ეროსტეფისა

სოსო ნარიკაძის ახალი ლექსები

ანეული – ვეფხვიანის ხნული